მარქსის სახ. საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპ., № 24, ტელეფონი № 8—81.
ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

- შეერთ. შტატებში გვალვამ დააზარალა 300 რაიონი
- ჩინეთის წითელი არმიის ახალი წარმატებები.
- იტალია - რუმინეთის მოლაპარაკება.
- გერმანიაში ძლიერდება მშრომელთა მოძრაობა ახალი გადასახადების წინააღმდეგ.
- ფერადკანიან მეზღვაურების შეტაკება პოლიციასთან კარდიფში.
- საფრანგეთის არმიის გადიდების პროექტი.
- განაჩენის დამტკიცება გასტონელ ფეიქრების საქმეზე.

შაბათი, 23 აგვისტო 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 197 (2845)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ძალღონე საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას

სოციალისტური შეჯიბრება არაჩვეულებრივი ტემპით ფართოვდება. ის ყოველდღე გვაძლევს მუშათა შრომითი ენტუზიაზმის საუკეთესო ნიმუშებს. სოციალისტური შეჯიბრების გაღრმავებამ წარმოშვა ისეთი მძლავრი მასიური მოძრაობა, როგორიცაა დამკვრელობა და ამ უკანასკნელად შემხვედრი საწარმოო-საფინანსო გეგმის პრაქტიკა. სოციალისტური შეჯიბრების განვითარება გადაიქცა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების ერთ-ერთ ძირითად პირობად.

ყოველივე ეს მოწმობს, თუ რამდენად დაუშრეტელია მუშათა მასების შემოქმედებითი ინიციატივა. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მუშათა ამ მძლავრ მოძრაობას არ ახლავს დეფექტები და ზოგ შემთხვევაში მეტად სერიოზული დეფექტებიც. ჩვენ მხედველობაში გვაქვს უმთავრესად **ცრუშეჯიბრება და ცრუდამკვრელობა**. ეს სენი საკმაოდ გავრცელებულია ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებში. ის ძირს უთხრის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის წარმოებულ ბრძოლას: **სცემს შრომის ნაყოფიერებას, აუარესებს პროდუქციის ხარისხს და ადიდებს ნამუშევრის ღირებულებას.** ამასთან ცრუშეჯიბრებას და ცრუდამკვრელობას დემორალიზაცია შეაქვს მუშათა შორის, ის ჩირქს სცხებს ნამდვილ დამკვრელთა, ნამდვილ შეჯიბრებაში მონაწილეთა საპატიო სახელს.

მაგალითებისათვის შორს წასვლა არ მოგვიხდება. საკმარისია გავიხსენოთ თბილისის ავეჯეულობის ფაბრიკა. აქ სოციალისტური შეჯიბრება თითქმის ფართოდ იყო გაშლილი, წარმოებაც მოწინავე რიგებში იდგა. ავეჯეულობის ფაბრიკამ არა ერთი ქება მიიღო პროფკავშირებისა და პრესისაგანაც საუკეთესო მუშაობისათვის. სინამდვილემ კი სულ სხვა დაგვანახვა. გამოირკვა, რომ ავეჯეულობის ფაბრიკის ყველა ეს მიღწევები მხოლოდ ქაღალდზე არსებობდნენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება აქ მხოლოდ მოჩვენებითი ხასიათის იყო, რომ საწარმოო-საფინანსო გეგმა გაცილებით იმაზე უფრო ნაკლებ ვარაუდობს ითვალისწინებდა, რის შესაძლებლობასაც იძლეოდა ფაბრიკა. ყოველივე ამის შედეგად გეგმა „გადაჭარბებით" სრულდებოდა, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ავეჯეულობის ფაბრიკა სანიმუშო წარმოებაა.

ვის რათ უნდა ასეთი მოჩვენებითი მიღწევები? ის მხოლოდ აღუნებს ჩვენს სიფხიზლეს, ის უძნელებს ხელმძღვანელ სამეურნეო ორგანოებს განვლილი მუშაობის შეფასებასა და მორიგი ამოცანების დასახვას. ყოველ თითეულ მუშისათვის აშკარა უნდა იყოს, თუ რა დიდ დაბრკოლებებს ჰქმნის ცრუშეჯიბრება და ცრუდამკვრელობა საწარმოო - საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

მაგრამ მარტო ამით არ ამოიწურება ის მახინჯი მოვლენანი, რომელთაც ადგილი აქვთ ფაბრიკა-ქარხნებში და რომელნიც აგრეთვე დიდ სიძნელეებს ჰქმნიან საწარმოო-საფინანსო გეგმების უკლებლივ და გადაჭარბებით შესრულებაში. ვლაპარაკობთ იმ სენზე, რომელიც მოჰყვა თავისთავად უაღრესად დადებით მოვლენას, საბჭოთა ხელისუფლების უდიდეს მიღწევას—უმუშევრობის არაჩვეულებრივად შემცირებას. ამ ნიადაგზე ჩვენი ფაბრიკა-ქარხნები, რომელნიც თავიდანვე განიცდიდნენ მუშა-ხელის სიმცირეს, დღეს განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში არიან. ასეთი პირობებით სარგებლობენ მუშათა ოჯახის ზოგიერთი მახინჯი წევრები. ისინი მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი ინტერესებით ხელმძღვანელობენ და სრულიადაც ანგარიშს არ უწევენ წარმოების წინაშე მდგომ ამოცანებს, პროლეტარულ მოვალეობას პროლეტარულ სახელმწიფოში. ასეთი წაგლეჯის განწყობილებით შეპყრობილი პირები დიდი ხელფასის ძებნაში მუდმივ მოგზაურობენ ერთი საწარმოდან მეორეში, რითაც არღვევენ მუშა ხელის რაციონალურად გამოყენებისა და შრომის ხელფასის რეგულიაციის საქმეს. ლენინი სწერდა— არიან მუშები, „რომელნიც მაგრად ჩასჭიდებიან კაპიტალიზმის ტრადიციებსა და ჩვეულებებს და ძველებურად უყურებენ საბჭოთა სახელმწიფოს: იმუშაოს „მისთვის" (სახელმწიფოსთვის) უფრო ცოტა, პროდუქცია დაამზადოს უფრო ცუდი და წაგლიჯოს „მას" უფრო მეტი".

ასეთ მახინჯ მოვლენებს მუშათა შორის უსასტიკესი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. ეს პირველ ყოვლისა, უნდა იკისრონ თვით მუშებმა და მუშათა ადგილობრივ ორგანიზაციებმა. ისინი უკეთ ხედავენ ვინ არცხვენს მუშათა ოჯახის სახელს, ვინ ცდილობს თვალი აუხვიოს სხვებს ცრუშეჯიბრებით და ცრუდამკვრელობით. ამ მხრივ, სხვათა შორის, მეტად საყურადღებო მაგალითი მოიყვანა თავის სიტყვაში საკავშირო კომპარტიის მე-16 ყრილობაზე ამხ. შვერნიკმა. მან აღნიშნა, თუ როგორ ებრძვიან დნეპროპეტროვსკის მუშები ცრუშეჯიბრებას. ამ ცუღლუტობაში შემჩნეულ პირთა სურათებს შესაფერისი წარწერით ჰკიდებენ მუშათა კლუბებში საყოველთაო ყურადღებისათვის.

საჭიროა ადგილობრივ ორგანიზაციებმა გამოსძებნონ ამხანაგური ზეგავლენის ყველა საშუალებები, რომ ცრუდამკვრელობა და ცრუშეჯიბრება ძირშივე იქნას აღკვეთილი. არ უნდა დაგვავიწყდეს რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ სენის წინააღმდეგ ბრძოლას სწორედ ეხლა—ხუთწლედის მესამე წლის მიჯნაზე.

ჩვენი მიზანია საწარმოო-საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ამ ამოცანის განხორციელება კი თვითეულ დაზგას განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას აკისრებს. ვინც ამას არ გრძნობს, ვინც სახელს უტეხს სოციალისტურ შეჯიბრების იდეას—ის მტერია ჩვენი წარმოების და, მაშასადამე, სოციალისტური მშენებლობის. დაუზოგავად აღმოვფხვრათ მუშათა ოჯახის შემარცხვენელი მახინჯი მოვლენანი.

მთელი ძალღონე საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებას!

მუშების დახმარება შემოდგომის თესვას

ამჟამად მთელს საბჭოთა კავშირში გაძლიერებული მზადება სწარმოებს შემოდგომის თესვისათვის. მთელ რიგ რაიონებში თესვის კამპანია უკვე დაიწყო. კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის ორგანიზაციული და ტეხნიკური დახმარების გასაწევად შემოდგომის თესვის კამპანიისათვის მზადების და თესვის პერიოდში პროფორგანიზაციებმა და ფაბრიკა-ქარხნებმა სოფლად უნდა გაგზავნონ მუშათა ბრიგადები.

მე-16 პარტიულმა ყრილობამ აღნიშნა, რომ პროფკავშირები, რადგან პროფმოძრაობას მემარჯვენე ოპორტუნისტები უწევდნენ ხელმძღვანელობას, სათანადოთ ვერ აფასებდნენ „პროლეტარიატის ხელმძღვანელ როლს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში".

პროფმოძრაობის ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, პროფკავშირების დამოკიდებულება სოფლის მეურნეობისადმი, სოფლისათვის რეგულიარული დახმარების გაწევის საქმისადმი რადიკალურად შეიცვალა. ამას საკმაო სიცხადით მოწმობენ თუნდაც ისეთი ფაქტები, როგორიცაა არის 25 ათასი მუშის მობილიზაცია, პროფკავშირების მონაწილეობა გაზაფხულის თესვის კამპანიაში და სხვ. პროფკავშირების მონაწილეობა შემოდგომის თესვის კამპანიაში სოფლად მუშათა ბრიგადების გაგზავნით უნდა წარმოადგენდეს სოფლის მეურნეობის სოციალისტურ გარდაქმნაში იმ მონაწილეობის გაგრძელებას და განმტკიცებას, რომელსაც ადგილი ჰქონდა პროფკავშირების წევრების მხრით.

შემოდგომის თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ ბრიგადებს მეტად საპასუხისმგებლო და მძიმე ამოცანა ევალებათ. მათ ხელი უნდა შეუწყონ არა მარტო ნათესის არეს გაფართოებას, არამედ, უმთავრესად, ვრცლად უნდა გააცნონ კოლმეურნეებს და გლეხებს პარტიის პოლიტიკა სოფლად, კოლექტივიზაციის მნიშვნელობა და მსხვილი კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა წვრილ ინდივიდუალურ მეურნეობასთან შედარებით.

სოფლად მიმავალ მუშებს, რომლებიც მე-16 პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებებს უნდა დაეყრდნონ, დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ საკოლმეურნეო მოძრაობის გასაძლიერებლად და გასაფართოებლად, კოლმეურნეობებში გლეხების ჩასაბმელად.

გაზაფხულის თესვამ, მისმა შედეგებმა და მოსავლის აღების კამპანიამ განამტკიცეს არსებული კოლმეურნეობები და კოლმეურნეობების გარეშე დარჩენილ გლეხებს დაანახვეს, თუ რამდენად სწორია პარტიის პოლიტიკა, რომელსაც გლეხობა მიჰყავს კოლექტივიზაციის გზით, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის გზით. მუშათა ბრიგადებმა ეს მნიშვნელოვანი მომენტი ფართოდ უნდა გამოიყენონ. სწორი ახსნა-განმარტებით, კონკრეტული ფაქტების და მაგალითების მოყვანით ბრიგადებმა ხელი უნდა შეუწყონ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის შემდგომ გაშლას. გზადაგზა გლეხებს უნდა განუმარტონ საკოლმეურნეო მშენებლობის რომელი სახე უფრო მისაღები და [illegible]. ამჟამად, ასეთ ახსნა-განმარტებას ბრიგადებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ამის შესახებ მე-16 პარტიული ყრილობა ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ამბობს: „**კოლმეურნეობის მთავარ ფორმას ეხლანდელ სტადიაში წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო არტელი.** იმის მოთხოვნა, რომ გლეხებმა არტელში შესვლის დროს დაუყოვნებლივ ხელი აიღონ ყოველგვარ ინდივიდუალურ ჩვევებზე და ინტერესებზე, საზოგადო მეურნეობის გვერდით დამატებით პირად მეურნეობის (ძროხა, ცხვარი, ფრინველი, ბოსტანი ეზოში) შექმნის შესაძლებლობაზე, გარეშე სამუშაოს გამოყენების შესაძლებლობაზე და სხვ.,—ამის მოთხოვნა მარქსიზმ-ლენინიზმის ანბანის დავიწყებას ნიშნავს".

საკოლმეურნეო მოძრაობის ფართოდ გაშლამ საშუალება მისცა პარტიას თავის პრაქტიკულ მუშაობაში კულაკების ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

მუშათა ბრიგადების ამოცანას შეადგენს— **გააგრძელონ და გააძლიერონ ბრძოლა სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, განავითარონ გადამწყვეტი შეტევა კულაკზე და ყოველნაირად ხელი შეუშალონ კულაკების ცდას შევიდნენ კოლმეურნეობებში.**

დიდი მუშაობის გაწევა მოუხდებათ ბრიგადებს აგრეთვე მოჯამაგირეების და ღარიბ გლეხების შესამჭიდროვებლად კოლმეურნეობებში და კოლმეურნეობაში საშუალო გლეხის როლის და ადგილის გასაშუქებლად. **ჯერ კიდევ ხშირად აქვს ადგილი კოლმეურნეობაში მყოფ საშუალო გლეხისადმი არასწორ დამოკიდებულებას, რომელიც ეწინააღმდეგება პარტიის ხაზს.**

საჭიროა მტკიცედ გვახსოვდეს მე-16 პარტყრილობის შემდეგი მითითება: „ინდივიდუალურ მეურნეობიდან კოლექტიურ მეურნეობაზე გადასვლა შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის საშუალო გლეხთან კავშირის საფუძველზე, რაც გვავალებს სისტემატიურად ჩავაბათ **საშუალო გლეხები საკოლმეურნეო ხელმძღვანელობაში**". (რეზოლიუცია ამხ. იაკოვლევის მოხსენების გამო).

მუშათა ბრიგადები უნდა ეცადონ, რომ შემოდგომის თესვის გეგმას ყოველი მეურნეობა იცნობდეს. აუცილებლად უნდა შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რომ ყოველმა რაიონმა, ყოველმა, კოლმეურნეობამ ზედმიწევნით აღრიცხონ მათ განკარგულებაში არსებული მიწის ფონდები და დასახონ კონკრეტული ღონისძიებები მათი გამოყენებისათვის. ყოველი თავისუფალი მიწის ნაკვეთი, რომელიც დღემდე არ ითესებოდა და რომლის გამოყენებაც შეიძლება შემოდგომის ნათესისათვის, უნდა შევიდეს შემოდგომის თესვის გეგმაში. შემდეგ საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ კოლმეურნეობის გამგეობის ან რაიაღმასკომის მიერ განხილული და დამტკიცებული გეგმა აუცილებლად განიხილოს კოლმეურნეობის საერთო კრებამ ან სოფლის ყრილობამ, რათა მიღებულ გეგმას თესვის ყოველი მონაწილე იცნობდეს.

აქტიური მუშაობის გაჩაღებით თესვის გეგმის გასაცნობად კოლმეურნეობებისა და სოფლისათვის, მუშათა ბრიგადები კიდევ ერთ რთულ და ჩვენი ქვეყნისათვის საჭირო ამოცანას გადასჭრიან—გააფართოებენ ნათესის არეს როგორც კოლმეურნეობებში, ისე ინდივიდუალურ მეურნეობებში.

თავის თავად ცხადია, რომ ეს მუშაობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვცემს საჭირო შედეგებს, თუ მუშები შესძლებენ კოლმეურნეების და გლეხების ყურადღების მიპყრობას ამ მუშაობაზე. **მაშასადამე, ამ მუშაობაში [illegible] მნიშვნელობა აქვს კოლმეურნეების, ღარიბი და საშუალო გლეხების ძალებისა და ყურადღების მობილიზაციას.**

მე-16 პარტიული ყრილობა ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო მიღებულ რეზოლიუციაში ხაზგასმით აღნიშნავს **ინდივიდუალურ მეურნისადმი** განსაკუთრებით ფრთხილი მოპყრობის აუცილებლობას: „სწორი დამოკიდებულების დამყარება ინდივიდუალურ მეურნეობასთან, რაც შემდეგში გაადვილებდა კოლექტივიზაციას, რამდენადმე კოლმეურნეების და ინდივიდუალურ მეურნეების ურთიერთობის საკითხად არის გადაქცეული. წელს გაზაფხულზე მთელ რიგ ადგილებში კოლმეურნეობიდან გასვლის და კოლექტივიზაციის საქმის ერთგულ და აქტიურ კოლმეურნეების მიერ კოლმეურნეობების შენარჩუნებისათვის ბრძოლის წარმოების ნიადაგზე წარმოშობილი გამწვავებული დამოკიდებულება კოლმეურნეებსა და ინდივიდუალურ მეურნეებს შორის—აფერხებს შემდგომ კოლექტივიზაციას. ამიტომ ყრილობა ავალებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს ეცადონ, რომ კოლმეურნეების დამოკიდებულებაში ინდივიდუალურ მეურნეებთან დამყარდეს წესი: **ნუ სდევნი ინდივიდუალურ მეურნეებს, პირიქით, დახმარება გაუწიე მათ და მთლიანად ჩააბი კოლმეურნეობაში.**"

ყრილობის ეს მითითება მუშათა ბრიგადებმა უნდა გამოიყენონ როგორც უძლიერესი იარაღი საკოლმეურნეო მოძრაობის განვითარების საქმეში. მუშათა ბრიგადებმა ყოველ კოლმეურნეს უნდა აუხსნან ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ფართო დახმარება გაუწიონ ინდივიდუალურ მეურნეებს თესვის დროს. ეს დახმარება უნდა გამოიხატებოდეს ინდივიდუალურ მეურნეობების მარტივ სასოფ.-სამეურ. მანქანებით მომარაგებაში. ინდივიდუალურ მეურნეობებისათვის ასეთი დახმარების გაწევა საუკეთესო აგიტაცია იქნება კოლექტივიზაციისათვის.

ა. ტ

812 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური საბჭ. კავშირში

ფინეთი არ იღებს მონაწილეობას ვარშავის კონფერენციაზე —ლატვიის პრესა კონფერენციის წინააღმდეგ

ამერიკა და საბჭოთა კავშირი

„ჟორნელ ოფ კომერს"-ი ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. საგარეო წრეების ორგანო „ჟორნელ ოფ კომერს"-ი მოწინავე წერილს უძღვნის ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობას.

გაზეთი სასურველად არ სთვლის საბჭოთა კავშირთან ვაჭრობის სრულიად შეწყვეტას. „აი რატომ იყო აუცილებლად საჭირო, სწერს გაზეთი, ახალი მოლაპარაკების დაწყება და საბჭოთა მთავრობის არსებობის ცნობა. ნუ თუ ჰუვერი ფიქრობს, რომ ახლა შესაფერი მომენტია იმისათვის, რომ დავკარგოთ საგარეო ვაჭრობის ერთი უდიდესი მხარე და უარი ვთქვათ საბჭოთა კავშირთან საქმიან ურთიერთობაზე ისეთივე საფუძვლებზე, როგორც სხვა ქვეყნებთან გვაქვს" (ადს).

ვარშავის კონფერენცია ჩაშლის წინ

ფინეთმა უარი განაცხადა პოლონეთის მიწვევის მიღებაზე

რიგა, 22 აგვისტო. „პედეა ბრიდის" ცნობებით, ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა აცნობა პოლონეთს, რომ ფინეთი არ მიიღებს მონაწილეობას აგრარულ კონფერენციაზე, ვინაიდან თვლის, რომ მას არავითარი საერთო ინტერესები არა აქვს ბალკანეთის სახელმწიფოებთან.

ამის გამო „სოციალ-დემოკრატი" სწერს: „ამრიგად პოლონეთის მიერ მიპატიჟებულმა ბალტიის ორმა სახელმწიფომ უკვე სთქვა უარი და არ იღებენ მონაწილეობას კონფერენციაზე. თუ როგორ მოიქცევიან ბალკანეთის ქვეყნები, ჯერ გამორკვეული არ არის. ადვილი შესაძლებელია, რომ ისინიც უარს იტყვიან. ამ შემთხვევაში კონფერენციას დაესწრებიან მხოლოდ პოლონეთი და ესტონია. მდგომარეობა საკმაოდ კურიოზულია. „იზვესტია"-მ უკვე განაცხადა, რომ მონაწილეობა ვარშავის კონფერენციაზე შეფასებული იქნება, როგორც აშკარად მტრული დემონსტრაცია საბჭ. კავშირის წინააღმდეგ. ხომ უმჯობესი არ იქნებოდა ჩვენთვისო,—კითხულობს გაზეთი,—ჩვენი სამეურნეო ინტერესებისა და დამოუკიდებლობის ინტერესების მიხედვით, გავაუქმოთ ჩვენი თანხმობა? (ადს).

„დეიჩე ალგემეინე ცეიტუნგ"-ის ოცნება

ჩინეთის ბაზარი, როგორც წამალი მსოფლიო კრიზისის წინააღმდეგ

ბერლინი, 22 აგვისტო. მძიმე მრეწველობის ორგანომ „დოიჩე ალგემეინე ცაიტუნგმა" წამოაყენა „ჩინეთის კონფერენციის" მოწყობის საკითხი. ეს კონფერენცია, გაზეთის აზრით, „ხელს შეუწყობს ჩინეთის ბაზრის სისტემატიურ დაპყრობას".

გაზეთის სიტყვით, ჩინეთის ბაზრის დაპყრობა შეიქნებოდა მსოფლიო ეკონომიური კრიზისის პრობლემის პრაქტიკულად გადაჭრის დასაწყისი და ნიადაგს გამოაცლიდა ჩინეთში დაწყებულ მოძრაობას, რომელიც ემუქრება არა მარტო მსოფლიო მეურნეობას, არამედ საყოველთაო მშვიდობიანობასაც (ადს).

საფრანგეთის არმიის გადიდების პროექტი

პარიზი, 22 აგვისტო. საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ გაზ. „ჟურნალ"-ისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ აუცილებელია არმიის მუდმივი შემადგენლობის გადიდება. სამხედრო სამსახურში დაქირავების წესით, ჩაბმული იქნებიან კერძო პირნი. ქვეყნის უშიშროების უზრუნველსაყოფად, — განაცხადა მაჟინომ, — საჭიროა უკან არ დავიხიოთ არავითარი ხარჯების წინაშე (ადს).

ტანკები და იარაღები

რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად ჩინეთსა და ინდოეთში

პარიზი, 21 აგვისტო. „ლუმანიტე"-მ გამოაქვეყნა წერილი მარსელიდან (ნავთსადგური სამხრეთ საფრანგეთში), რომელშიაც ნავთსადგურის მუშა იტყობინება, რომ ამ დღეებში მარსელიდან საიგონში (ინდო-ჩინეთში) გავიდა გემი „კარლ ბარელლა", რომელიც დატვირთული იყო ხუთი ტანკით და სამხედრო მასალებით გავსებული 6 დიდი ყუთით. მარსელში მოელიან კიდევ ტანკების ერთი პარტიის მიღებას. წერილის ავტორის სიტყვით, იარაღი იგზავნება რევოლიუციონური მოძრაობის ჩასაქრობად ინდო-ჩინეთსა და ჩინეთში (ადს).

ინგლისის სამხედრო გემები კონსტანცაში

ვენა, 22 აგვისტო. კონსტანცაში მოვიდა ინგლისის ესკადრა. ესკადრის მისვლასთან დაკავშირებით მთავრობის პრესა იხილავს საზღვაო ბაზის შექმნის საკითხს, ბაზათ ასახელებენ პუნქტს ბესარაბიის საზღვარზე.

ფაშისტური „ეპოქა" ინგლისის ესკადრის სტუმრობას აფასებს, როგორც ანტი-საბჭოთა პოლიტიკურ დემონსტრაციას.

„ბესარაბსკოე სლოვო"-ს სიტყვით, ინგლისი თავისი ესკადრის გაგზავნით კონსტანცაში, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ შავ ზღვაზე მარტო საბჭოთა ფლოტი არ უნდა ბატონობდეს (ადს).

ინდოელი ნაციონალისტები უკან იხევენ

რევოლიუციონური მოძრაობის შიში

ინდოელ ნაციონალისტების უკან დახევის პროგრამა

ლონდონი, 22 აგვისტო. განდის მიერ მეფის ნაცვლისათვის გაგზავნილ წერილში წამოყენებული პირობები წარმოადგენენ პირვანდელ ლოზუნგებისაგან უკან დახევის პროგრამას.

პირობების სრული ტექსტი ჯერ გამოქვეყნებული არ არის, მაგრამ მათი ძირითადი შინაარსი უკვე გამორკვეულია.

განდი პრინციპიალურად მხარს უჭერს ინდოეთის საკითხის გადაჭრას მშვიდობიანი გზით და მზად არის ინდოეთისათვის მიიღოს დომინიონის პირობები მრავალი შეზღუდვებით. ეს შეზღუდვებია: ინგლისის არმიის დატოვება ინდოეთში და უარის თქმა დამოუკიდებლობაზე საგარეო პოლიტიკის დარგში. განდი მოითხოვს ამნისტიას პოლიტიკურ პატიმრებისათვის. თუ ნაციონალური კონგრესი მიიღებს ამ პირობებს, ეს იქნება ურჩობის კამპანიაზე ხელის აღების მომასწავებელი. კონგრესმა უნდა მიიღოს აგრეთვე რეზოლიუცია ინდოეთის „ნებაყოფლობით" გაერთიანების შესახებ ბრიტანეთის იმპერიასთან (ადს).

ინდოეთში გრძელდება საფეიქრო მრეწველობის შეკვეცა

სტამბოლი, 22 აგვისტო. როგორც ბომბეიდან იტყობინებიან, ინდოეთის სამრეწველო ცენტრებში გრძელდება საფეიქრო მრეწველობის შეკვეცა. ფაბრიკების დახურვის გამო, ბომბეიში სამუშაო დაჰკარგა 30 ათასამდე ფეიქარმა. აგვისტოს დამლევს მოელიან ახალ საწარმოთა დახურვას და კიდევ 50 ათას ფეიქრის დათხოვნას.

აჰმედაბადშიაც გადაწყვეტილია დაიხუროს მთელი რიგი ფაბრიკები (ადს).

ჩერჩილის განცხადება: „ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწეები სიკვდილამდე ვერ ეღირსებიან დომინიონის უფლებებს"

ლონდონი, 22 აგვისტო. ჩერჩილი პრესაში გამოვიდა განცხადებით, რომელშიც ნათქვამია: დანაშაულია ინდოეთის წარმომადგენლების მოტყუება „რგვალი მაგიდის" კონფერენციაზე და მათთვის თავის მოქონვა ბუნდოვანი დაპირებებით დომინიონის უფლებების მინიჭების შესახებ იმ დროს, როცა ინდოეთის პოლიტიკური მოღვაწეები ამ უფლებებს სიკვდილამდე ვერ ეღირსებიან (ადს).

რასიული შეტაკება

ლონდონი, 22 აგვისტო. ინგლისური გაზეთების ცნობით, „ნაციონალურ-რასიული ომი", რომელიც სუკურში დაიწყო და მახლობელ რაიონებში გავრცელდა, ახლა სწარმოებს უზარმაზარ ტერიტორიაზე—ინდის ორივე ნაპირზე. ინგლის-ინდოეთის ხელისუფლება აღიარებს, რომ მდგომარეობა სუკკურში მეტად გართულებულია. გრძელდება ჯარისა და პოლიციის გაგზავნა ამ რაიონში (ადს).

შეტაკება პოლიციასა და მოსახლეობას შორის

ლონდონი, 22 აგვისტო. აჰმედაბადში (ბომბეის პროვინცია) მოხდა ადგილობრივ მოსახლეობის დიდი შეტაკება პოლიციასთან. ადგილობრივი ქალთა სკოლის მოწაფეებს სურდათ ნაციონალური დროშის გამოფენა, რაც აკრძალულია ინგლისელების მიერ. პოლიციამ წინააღმდეგობა გაუწია მოწაფეებს. შეგროვილმა ხალხმა სცადა პოლიციელების გარეკვა. უკანასკნელები ბამბუკის ჯოხებით დაერივნენ ხალხს და ასი კაცი დასჭრეს. დააპატიმრეს 20 ვაჟი და 10 ქალი—მოწაფეები (ადს).

იტალია-რუმინეთის მოლაპარაკება

ვენა, 21 აგვისტო. როგორც სამხრეთ-სლავიის გაზეთები იუწყებიან, ვენეციაში, სადაც ამჟამად იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი გრანდი იმყოფება, ჩავიდა რუმინეთის ლონდონელი ელჩი ტიტულესკუ. გაზეთები იუწყებიან, რომ ვენეციაში ჩამოვიდა აგრეთვე რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრი მირონესკუ. ტიტულესკუს, მირონესკუს და გრანდის შეხვედრა შემთხვევითი არ არის. სამხრეთ-სლავიის გაზეთების სიტყვით, მოლაპარაკება სწარმოებს იტალიის შუამავლობის შესახებ უნგრეთ-რუმინეთის ეკონომიური თანამშრომლობის მისაღწევად და იტალია-საბჭოთა შეთანხმების შედეგების შესახებ რუმინეთის საქონლის ექსპორტისათვის იტალიაში (ადს).

პროფინტერნის V კონგრესი

კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 22 აგვისტო. 20 აგვისტოს დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენებისა და ამხ. გეკკერტის თანამოხსენების გამო.

დიდი სიტყვით გამოვიდა ამხ. **აუერი** (გერმანია), რომელმაც ანალიზი გაუკეთა რეფორმისტულ პროფკავშირების გაძლიერების მიზეზებს.

„გერმანიაში, — ამბობს ამხ. აუერი, — შრომის პირობები და ხელფასი 12 მილიონ მუშისათვის წესრიგდება ხელშეკრულებებით, რომლებსაც სდებენ რეფორმისტული პროფკავშირები. თავის მოღალატურ საკოლხელშეკრულებო პოლიტიკას რეფორმისტები სცდილობენ გაამართლონ მითითებით საბჭოთა პროფკავშირების მაგალითზე, რომლებიც სამეურნეო ორგანოებთან აგრეთვე სდებენ კოლექტიურ ხელშეკრულებებს. რეფორმისტული პროფბელადები აქ ივიწყებენ ერთ „წვრილმანს" სახელდობრ იმას, რომ საბჭოთა კავშირში შენდება სოციალისტური მრეწველობა და ითრგუნებიან კაპიტალისტური ელემენტები იმ დროს, როცა რეფორმისტული პროფკავშირები ეხმარებიან კაპიტალისტებს მოგების მიღებაში და მუშათა კლასის დათრგუნვაში.

რეფორმისტების მძლავრი მონოპოლიას კოლხელშეკრულებების დადების დარგში მრეწველობის ინტერესების სასარგებლოდ, ზურგს უმაგრებს გაიძვერული თეორია, რომელიც ქადაგობს, რომ საჭიროა ხელშეკრულებების „პირნათლად დაცვა და დაუშვებელია გაფიცვების გამოცხადება რეფორმისტების დასტურის გარეშე. ასეთ გაფიცვებს ისინი უწოდებენ „ველურს".

ჩვენ მოვუწოდებთ მუშებს ასეთი „ველური" გაფიცვები ასობით და ათასობით გამოაცხადონ პროლეტარიატის ინტერესებისათვის. **ჩვენ მოვუწოდებთ მუშებს, ბოლომდე გაანადგურონ გაკოტრებული რეფორმისტული საკოლხელშეკრულებო პოლიტიკა და ოპორტუნისტული იდეოლოგია და შესცვალონ იგი კლასობრივი ბრძოლით და პროფინტერნის რევოლიუციონური საგაფიცვო სტრატეგიით**".

მქუხარე აპლოდისმენტებით ხვდებიან კონგრესის დელეგატები **ჩინეთის მეზღვაურთა დელეგატს**, რომელიც ამბობს: ამჟამად ჩინეთის მეზღვაურთა 40 პროცენტი უმუშევრად არის დარჩენილი, ჩინეთში კი არ არსებობს დაზღვევა არც უმუშევრობისგან და არც ინვალიდობის შემთხვევაში. გონკონგში ადგილობრივი ხელისუფლება აწყობს საერთოო საცხოვრებლებს ე. წ. „წენდოს", რომლის დროს უმუშევარ მეზღვაურებს ქუჩაში ჰყრიან.

მეზღვაურთა რევოლიუციონური პროფკავშირი განაგრძობს თავის ბრძოლას არალეგალურ მდგომარეობაში. მეზღვაურთა წითელ პროფკავშირის საბჭოს აქვს განყოფილებები შანხაიში, გონკონგში, კანტონში, სინგაპურში, ტიანძინში და სხვა ნავთსადგურებში.

ასეთივე მხურვალე აპლოდისმენტებით ხვდება კონგრესი **ინდოელ მუშას**, რომელმაც მე-5 კონგრესს და საბჭოთა კავშირის მშრომელებს გადასცა ინდოეთის მუშების მისალმება. ინდოელი დელეგატი უსაყვედურებს ინგლისელ ამხანაგებს უმცირესობის მოძრაობიდან იმას, რომ ისინი ინდოეთის პროლეტარიატს უფრო სიტყვებით ეხმარებიან, ვიდრე საქმით. საიმონის კომისიის მოხსენებასთან დაკავშირებით ინგლისელ ამხანაგები დაკმაყოფილდნენ მხოლოდ თანაგრძნობით და არავითარი კონკრეტული ღონისძიება არ მიუღიათ.

ზანგი მუშა **ბელლი** (შეერთებული შტატები) წინადადებას იძლევა ზანგებს შორის მუშაობის გასაძლიერებლად დაარსდეს პროფინტერნის ინგლის - ამერიკის სექციის ზანგთა ქვე-კომიტეტი.

ლატვიის დელეგატი ლაპარაკობს ლატვიაში გამეფებულ საშინელ ტერორზე. 1-ლ მაისს დაპატიმრებულ იქნა 1.000 კაცი. 1-ლ აგვისტოს მარტო რიგაში დააპატიმრეს 300 მუშა. ტერორის მიუხედავად რევოლიუციონური პროფკავშირები მიმდინარე წელს ხელმძღვანელობდენ მუშების თითქმის ყველა გაფიცვებს.

20 აგვისტოს, საღამოს სხდომაზე გამოვიდნენ კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების მთელი რიგი წარმომადგენლები.

სპარსეთის წარმომადგენელი იუწყება, რომ სპარსეთში ითვლება 500 ათასამდე მუშა. **ჩამორჩენილი სპარსელი მუშებიც კი იწყებენ გაფიცვას.** 1929 წელს მოხდა ნავთის სარეწაოების მუშების გაფიცვა და გაფიცულთა დაპატიმრების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 40 ათასმა მუშამ. შემდეგ გაფიცვაში ნავთის სარეწაოებზე მონაწილეობა მიიღო 20 ათასმა კაცმა და იგი ჩააქრეს მხოლოდ სამხედრო ძალების საშუალებით. იმავე წელს ორჯერ გაიფიცნენ რკინისგზელები მაზანდერანში. საგაფიცვო მოძრაობაში ხელმძღვანელ როლს თამაშობდენ წითელი პროფკავშირები. ყველა პროფკავშირები დახურეს და ისინი გადავიდნენ არალეგალურ მდგომარეობაზე.

რუმინეთის დელეგატი ლაპარაკობს, რომ რუმინეთის პროლეტარიატს ტერორის მიუხედავად არ შეუსუსტებია თავისი მებრძოლი განწყობილება. წარსულ წელს ლუპენში მომხდარ გაფიცვის დროს მუშებმა ხელში ჩაიგდეს ელექტრონის სადგური და 36 საათის განმავლობაში ჰქონდათ იგი დაკავებული. ჟანდარმებისათვის წინააღმდეგობის დროს 60 კაცი იქნა მოკლული. სისხლისმღვრელი შეტაკებები მოხდა აგრეთვე ტემეშვარში და ბუხუსში.

კუბის წარმომადგენელი უამბობს კონგრესს, რომ დაპატიმრება, გაფიცვების ლიდერების მოკვლა და რევოლიუციონური ორგანიზაციების დაშლა მუშათა მოძრაობის დევნის ჩვეულებრივ მეთოდებს წარმოადგენს კუბაზე. მუშების ერთი ლიდერი ზღვაში გადააგდეს, მეორე „უგზოუკვლოდ" დაიკარგა. რევოლიუციონურ ბრძოლაში კუბაზე ფრიად აქტიურ მონაწილეობას იღებენ ქალები და მუშა - ახალგაზრდები.

შვეციის რევოლიუციონური პროფმოძრაობის წარმომადგენელი ამხ. **გუნნელი** აშკარავებს რენეგატების თეორიას შვეციის კაპიტალიზმის სტაბილიზაციისა და განსაკუთრებულ მდგომარეობის შესახებ. შვეცია უკვე არის ჩათრეული მსოფლიო ეკონომიურ კრიზისში. უმუშევართა რიცხვი 100 ათასამდე აღწევს.

იაპონიის მუშა ახალგაზრდობის **წარმომადგენელი** წინადადებას იძლევა, რომ პროფინტერნის ახალგაზრდობის სამდივნომ მეტი ყურადღება დაუთმოს აღმოსავლეთის მუშა - ახალგაზრდობას.

ამხ. **ლიაპომი** (საფრანგეთი) მიუთითებს, რომ საფრანგეთის ვასსალები — პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხო - სლოვაკია გააფთრებით იარაღდებიან. თვით საფრანგეთში ასეული ქარხნები მუშაობენ სამხედრო საჭიროებისათვის. რევოლიუციონური პროფკავშირების ბაზა სამხედრო ქარხნებში ძლიერ სუსტია.

იტალიის დელეგატი თვლის, რომ ტეზისებში საკმაო ყურადღება არა აქვს დათმობილი მუშაობას სასოფლო - სამეურნეო მუშებს შორის.

ამხ. **სმოლიანსკი** (კომინტერნის აღმასკომი) აღნიშნავს. უკანასკნელი დროის გაფიცვების შემდეგ დამახასიათებელ თვისებებს: საგაფიცვო მოძრაობა იზრდება მრეწველობის სწორედ იმ დარგებში, რომლებშიდაც კრიზისი არის გავრცელებული; გაფიცვები ატარებენ პრინციპიალურ ხასიათს; მუშები თავდაცვიდან შეტევაზე გადადიან და საგაფიცვო მოძრაობა ატარებს სტიქიურ ხასიათს. ჩვენი ამოცანაა ამჟამად დავრაზმოთ შეუკავშირებელი მუშები და მეტი ყურადღება დაუთმოთ შეკავშირებულ კვალიფიციურ მუშებს.

ამხ. **სანტო** (პროფინტერნი) კონგრესის ყურადღებას მიაქცევს პროფმოძრაობის ნაკლოვანებებზე ბალკანეთის ქვეყნებში.

რევოლიუციონური პროფმოძრაობის სუსტ მხარეებზე იაპონიაში დაწვრილებით ჩერდება ამხ. კატაიამა, რომელსაც კონგრესი მხურვალე ოვაციებით შეხვდა.

მტკიცე დასაყრდენის უქონლობა საწარმოებში, პროფკავშირების მცირერიცხოვანობა, გაფიცვების მომზადების უცოდინარობა და საერთაშორისო სოლიდარობის უქონლობა—აი იაპონიის რევოლიუციონური პროფმოძრაობის ნაკლოვანებები.

21 აგვისტოს დილის სხდომაზე პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს წევრი ამხ. **ჯერმანეტო** თავის სიტყვას უძღვნის მუშაობას მუშათა ემიგრაციაში.

„ამ საკითხს, ამბობს ამხ. ჯერმანეტო, — თითქმის არავინ არ შეხებია. ამავე დროს კი თვით ბურჟუაზიული სტატისტიკის მიხედვით **მუშა-ემიგრანტების რიცხვი 22 მილიონამდე აღწევს.** ეკონომიურმა კრიზისმა ეჭვს გარეშე გაადიდა ეს ციფრი.

ჩვენს უმოქმედობას,—ამბობს ამხ. ჯერმანეტო,—იყენებენ ფაშისტები და ჩვენს მიმართ მტრულად განწყობილი სხვა ორგანიზაციები. პოლონეთის ფაშიზმმა, მაგალითად, ემიგრანტებს შორის სამუშაოდ საფრანგეთში გაგზავნა 60 ქსენძი და 150 მასწავლებელი და უშვებს 12 გაზეთს, რომელთაგან 3 ყოველდღიურია. იტალიის ფაშიზმს ემიგრანტებს შორის აქვს 583 ფაშისტური ორგანიზაცია და უშვებს 20 ყოველდღიურ გაზეთს. ერთის მხრივ საფრანგეთსა და მეორე მხრივ პოლონეთსა, სამხრეთ სლავიასა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებს შორის დადებულია ხელშეკრულება, რომლის ძალით **საფრანგეთს ომის შემთხვევაში აქვს უფლება მოახდინოს ამ ქვეყნების მუშა ემიგრანტების მობილიზაცია.** ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა მოუღოთ ბოლო პასივობას მუშა-ემიგრანტების მიმართ. საჭიროა ენერგიულად შეუდგეთ პროფინტერნის უკვე არსებულ გადაწყვეტილებების შესრულებას და ამ მუშაობაში ჩავაბათ თვითონ მუშა-ემიგრანტები".

შრომის საყოველთაო უნიტარული კონფედერაციის მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ ლაპარაკობს ამხ. **გრანდელი** (საფრანგეთი).

ინგლისის უმცირესობის მოძრაობის მუშაობის ნაკლოვანებების შესახებ ლაპარაკობს ამხ. **უოლში.**

ამხ. **კირკიჟი** (საკავშირო პროფსაბჭო) ამბობს, რომ რევოლიუციონურ პროფორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ უსწავლიათ ამსტერდამელების მოღალატეობის კონკრეტული ფაქტების გამოაშკარავება. საკმაოა, მაგალითად, გადავათვალიეროთ, თუ რას აკეთებდა ამსტერდამის უკანასკნელი კონგრესი. იმ დროს, როდესაც მუშათა კლასი აწარმოებს კონტრ-შეტევას კაპიტალისტების წინააღმდეგ, რომლებიც სცდილობენ კრიზისის მთელი სიმძიმე მუშათა კლასის მხრებზე გადაიტანონ, ამსტერდამის ინტერნაციონალს თავის კონგრესზე არ განუხილავს არც ერთი საკითხი, რომელიც შეეხებოდა მუშათა კლასის მატერიალურ მდგომარეობას, კლასობრივ ბრძოლას და პროლეტარიატის კონტრ - შეტევას. ყველაფერი ეს შემთხვევითი არ არის. მუშათა კლასის ღალატის ამგვარი მაგალითების მოყვანა ყოველდღიურად შეიძლება კაპიტალისტური ქვეყნების ყოველ საწარმოს პრაქტიკიდან. ამ მხრივ მეტად ძვირფასია რუს - ბოლშევიკების ბრძოლა მენშევიკებთან მეფის რუსეთში. მენშევიკებს ჩვენ ვაშკარავებდით პირველ ყოვლისა კონკრეტულ ფაქტებზე. ამხ. კირკიჟი აღნიშნავს, რომ საკავშირო პროფსაბჭოს ახალი ხელმძღვანელობა მუშაობს სრულ კონტაქტში პროფინტერნის ხელმძღვანელობასთან.

—:—

კონგრესის დღიური

მოსკოვი, 22 აგვისტო. კონგრესის 21 აგვისტოს დილის სხდომაზე გამოვიდა **ვეისტონი** (შეერთებული შტატები), **ჯონსონი** (პროფინტერნი), **უოტკინსი** (ინგლისი), **კვალეკი** (გერმანია), პოლონეთის, კოლუმბიის, ჩინეთის და იაპონიის დელეგატები. სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის სახელით კონგრესს მიესალმა ამხ. **დეევი** და უსინათლოთა საკავშირო საზოგადოების სახელით ამხ. **ვიკრატოვი.**

21 აგვისტოს საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი ამხ. ლოზოვსკის მოხსენების გარშემო. გამოვიდნენ ამხ. **ნაუდი** (შვეიცარია), ამხ. **პავლოვი** (ახალგაზრდობის კომინტერნის აღმასკომი), ამხ. **განდებლოუ** (ბელგია), ამხ. **კორიჩონერი**, ამხ. **ვეზერი** (ჩეხო - სლოვაკია), ამხ. **ვანდენბურგი** (ბელგია), ამხ. **ვიტკოვსკი** (პროფინტერნი), ამხ. **ტბოლინი** (საკავშირო პროფსაბჭო) და კუბის, ბულგარეთის, სამხრეთ აფრიკის, რუმინეთის, იტალიის, კანადისა და პოლონეთის დელეგატები.

პრაქტიკული ღონისძიებები

საოლქო პარტორგანიზაციების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. 1930 წ. 16 აგვისტოს დადგენილება

მოსკოვი, 22 აგვისტო. საკონტროლო კომისიის — მუშათა და გლეხთა ინსპექციის შესაქმნელად და საოლქო მუშაკებით რაიონულ და საქალაქო პარტკომების განსამტკიცებლად ღონისძიებების განხორციელებასთან დაკავშირებით, საჭიროა ჩატარდეს პარტიული კონფერენციები საკ. კ. პ. (ბ) ყველა რაიონული და საქალაქო ორგანიზაციებში.

ამ კონფერენციების დღის წესრიგში, გარდა ხელმძღვანელ პარტორგანოების არჩევის საკითხისა, სასოფლო რაიონებში საჭიროა შეტანილ იქნას პურის დამზადების და შემოდგომის თესვის კამპანიის მორიგ ამოცანების, სამრეწველო რაიონებში კი — ხუთწლედის მეორე წლის სამრეწველო - საფინანსო გეგმის შესრულების შედეგების, გეგმის შეუსრულებლობის წინააღმდეგ ბრძოლის და მესამე წლის პერსპექტივების საკითხები (ადს).

უპრინციპო დაჯგუფება ციმბირის პარტორგანიზაციაში

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 22 აგვისტო. საკ. კ. პ. (ბ) ცკამ მიიღო დადგენილება უპრინციპო დაჯგუფების შესახებ ციმბირის პარტორგანიზაციაში.

საოლქო კომიტეტის ზედა ფენაში უკანასკნელ ხანებში ამხ. კლიმენკოს და კუზნეცოვის მეთაურობით შეიქმნა ჯგუფი, რომელმაც დაიწყო დაუშვებელი უპრინციპო ბრძოლა საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ; ჯგუფი ამ ბრძოლას ასაბუთებდა აშკარად უსაფუძვლო და ყალბი ბრალდებებით საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ეიხეს მიმართ.

ცკამ დაადგინა: უპრინციპო დაჯგუფებისა და არაპარტიულ მოქმედებისათვის საყვედური გამოეცხადოს ციმბირის რაიონულ კომიტეტის ბიუროს წევრებს ამხ. კლიმენკოს, კუზნეცოვს, ბაზოვსკის, ეგერს, ბირანკინს, აბრამოვს, კრილოვს და საოლქო საკონტროლო კომისიის თავმჯდომარეს ამხ. ლიაკსუტკინს.

მოხსნილი იქნეს ციმბირში მუშაობიდან ამხ. კლიმენკო, კუზნეცოვი, ბაზოვსკი და ეგერი, როგორც დაჯგუფების ყველაზე უფრო აქტიური მონაწილენი.

ცკა ურჩევს ციმბირის ორგანიზაციას დასავლეთ-ციმბირის საოლქო კომიტეტის მეორე მდივნად ამხ. ზაიცევს და საოლქო აღმასკომის თავმჯდომარედ ამხ. გრიადინსკის (ადს).

812 ახალი სამანქანო-სატრაქტორო სადგური

სატრაქტორო ცენტრის საწარმოო პროგრამა 8-ჯერ დიდდება

მოსკოვი, 22 აგვისტო. სატრაქტორო ცენტრმა შეიმუშავა საკონტროლო ციფრები 1930-31 წლისათვის. **განზრახულია 812 სადგურის მოწყობა. ამ სადგურებში თავმოყრილ ტრაქტორების სიმრავლე განზრახულია აყვანილ იქნას 554 ათას ცხენის ძალამდე,** რაც საშუალებას მისცემს სატრაქტორო ცენტრის სამანქანო - სატრაქტორო **სადგურებს დააკმაყოფილონ მთელი საბჭოთა კავშირის ნათესების ფართობის საჭიროების ⅓.** სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მშენებლობა უმთავრესად იწარმოებს ხორბლეულის, მებამბეობის, სელისა და ჭარხლის რაიონებში.

საკონტროლო ციფრებით, **სამანქანო - სატრაქტორო სადგურები მოხნავენ 20,7 მილიონ ჰექტარ მიწას. სატრაქტორო ცენტრის საწარმოო პროგრამა დიდდება 8-ჯერ.** ნათესების საერთო ფართობი გადიდებული იქნება 41 პროც.-ით.

სამანქანო - სატრაქტორო სადგურების ხორბლეულის ნათესების ფართობი 1930-31 წელს შეადგენს საბჭ. კავშირის ხორბლეულის ნათესების საერთო სივრცის 13 პროც. **სატრაქტორო ცენტრის სადგურებმა უნდა მოგვცეს მთელი სასაქონლო პურის 23,3 პროც., ბამბის —50 პროც., ჭარხლის — 20 პროც. და სელის 15 პროც.** სატრაქტორო ცენტრის სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა ხელშეკრულება უნდა დასდონ 16—20.000 კოლმეურნეობასთან (ადს).

საარჩევნო სამზადისი გერმანიაში

გერმანიის მთავრობამ შეიმუშავა ახალი საარჩევნო კანონის პროექტი

ბერლინი, 21 აგვისტო. მთავრობამ მიიღო ახალი საარჩევნო კანონის პროექტი.

პროექტით გათვალისწინებულია მანდატების რიცხვის შემცირება საერთო-სახელმწიფო პარტიული სიების გაუქმებისა და ერთი დეპუტატის ასარჩევად საჭირო 60.000 ხმის 70.000 ხმამდე გადიდების საშუალებით. პროექტი ითვალისწინებს აგრეთვე საარჩევნო ოლქების რიცხვის გადიდებას, რითაც მიღწეული იქნება ისეთი მდგომარეობა, რომ პირველ რიგში საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ინტერესების ნაცვლად წამოყენებული იქნება ადგილობრივი და სხვადასხვა პარტიულ ჯგუფების პირადი ინტერესები. კანონპროექტი წარედგინება სახელმწიფო საბჭოს, რის შემდეგ ის დასამტკიცებლად გადაეცემა ახალ რეიხსტაგს (ადს).

საზავო ხელშეკრულების გადასინჯვა საარჩევნო აგიტაციის ცენტრში.

ბერლინი. 21 აგვისტო. გერმანიის მთავრობის კაბინეტის წევრის ტრევირანუსის ცნობილი სიტყვის შემდეგ, რომელშიაც ის მოითხოვდა გერმანიის აღმოსავლეთის საზღვრების გადასინჯვას, **საარჩევნო კამპანიის დროს გამოსვლების ერთ უდიდეს საკითხად ითვლება საზავო ხელშეკრულებათა გადასინჯვის საკითხი.**

საზავო ხელშეკრულებათა გადასინჯვის საკითხს ცენტრალური ადგილი აქვს დათმობილი აგრეთვე კონსერვატიული სახალხო პარტიის (რომელსაც მეთაურობენ ტრევირანუსი და ვესტარპი) **საგარეო-პოლიტიკურ პროგრამაშიაც.** ამ პარტიის საარჩევნო მოწოდება მოითხოვს გერმანიის აღმოსავლეთ საზღვრების გადასინჯვასა და შეცვლას, იუნგის გეგმის გადასინჯვას, გერმანიისათვის საარის ოლქის დაბრუნებას და, ბოლოს, „**გამარჯვებული ქვეყნების განიარაღებას**" იმისათვის, რომ გათანასწორებულ იქნას შეიარაღებული ძალები (ადს).

ტრევირანუსის ჯგუფის შეთანხმება ლანდბუნდთან

ბერლინი, 22 აგვისტო. სახალხო კონსერვატიულმა პარტიამ (ტრევირანუსის და ვესტარპის ჯგუფი) და ლანდბუნდმა (კულაკური გლეხური პარტია) გადასწყვიტეს არჩევნების დროს გამოვიდნენ ერთიანი ფრონტით. ორი პარტია არჩევნებში გამოდის საერთო სიით (ადს).

ინდოეთი.

ჰუვერის პოლიტიკის მკაცრი კრიტიკა

უნებლიეთ თქმული სიმართლე შეერთებული შტატების „აყვავების" შესახებ

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ჩრდ.-ამერიკის შეერთებულ შტატებში დაიწყო საგიტაციო კამპანია კონგრესის წევრთა გადარჩევასთან დაკავშირებით, რაც ნოემბერში უნდა მოხდეს.

ვაშინგტონში წინასწარ საარჩევნო კრებაზე გამოსულმა დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო მოღვაწემ **ხაურმა მეტის-მეტად მკაცრად გაილაშქრა ჰუვერის წინააღმდეგ.** ხაურმა განაცხადა, რომ **ჰუვერის პოლიტიკა სრულიად დამარცხდა. რომ ჰუვერი, რომელიც „აყვავებას" სახავდა, როგორც რესპუბლიკანელების დამსახურებას მთლიანად პასუხს აგებს ამერიკის მეურნეობის დაცემისათვის.** ხაუსი ბრალს სდებს ჰუვერს იმაში, რომ მან დაუმალა საზოგადოებრიობას მეურნეობის ნამდვილი მდგომარეობა და უმუშევრობის ნამდვილი ფარგლები. ხაუსმა გააკრიტიკა ჰუვერის მიერ შემოღებული ახალი საბაჟო ტარიფი და განაცხადა, რომ ამ ტარიფს არავითარი სარგებლობა არ მოუტანია ფერმერებისათვის, არამედ მხოლოდ შექმნა საზღვარგარეთ არასასურველი განწყობილება ჩრდ.-ამერიკის შეერთებული შტატებისადმი (ადს).

გვალვების შედეგები შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 21 აგვისტო. ჩრდილოეთ-ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჰუვერმა დანიშნა გვალვისაგან დაზარალებული რაიონების დამხმარე ნაციონალური კომისია. კომისიის პირველ სხდომაზე ჰუვერმა განაცხადა, რომ დაზარალებული რაიონების რიცხვი აღწევს 300 და უბედურება იმდენად განუზომელია, რომ მისი მძიმე შედეგების შემსუბუქება მეტად ძნელი იქნებაო. განსაკუთრებით გაძნელდება საძოვრების აღმოჩენა ზამთარში (ადს).

(დეპეშების გაგრძელება იხ. მე-2 გვ.)

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის № 195 მოთავსებულ საქ. კ.პ. (ბ) ცეკას დადგენილებაში „გაზაფხულის თევზის ჭერის შედეგები და მზადება შემოდგომისათვის" გაპარა შეცდომა.

უკანასკნელ აბზაცში სწერია: „არარაციონალურად იქნეს აღიარებული „საქართველოს თევზი"-ს ძირითადი აპარატის გადაყვანა ფოთში. შრომის სახალხო კომისარიატმა დამუშაოს საკითხი ამის შესახებ და წარუდგინოს დასამტკიცებლად ც. კ-ს".

უნდა იყოს: „რაციონალურად იქნას აღიარებული „საქართველოს თევზი"-ს ძირითადი აპარატის გადაყვანა ფოთში. ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა დამუშაოს საკითხი ამის შესახებ და წარუდგინოს დასამტკიცებლად ც. კ-ს".

სილოსების მშენებლობაში გარდატეხა არ მომხდარა

სენაკის რაიონში დღემდე არ გაუკეთებიათ არც ერთი სასილოსო ორმო. გორის რაიონში სასილოსო ორმოები უყურადღებობით ფუჭდება და ირღვევა

ფართო გზა კომკავშირის ინიციატივას სილოსების მშენებლობაში

ყურადღება სასილოსო ორმოებს

(კასპის რაიონი)

კასპის რაიაღმასკომმა შეადგინა სასილოსე მშენებლობის გეგმა, რომლის მიხედვით წელს რაიონში ამოღებულ უნდა იქნას 21 ორმო. კადრების უყოლობისა და საჭირო გამოცდილების უქონლობის გამო წელს დასილოსება მოხდება მხოლოდ 7 ორმოში. ასე, რომ თვითეულ კოლმეურნეობაში თითო ორმო წელს ვერ მოეწყობა. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი დაწესებულებები ბიუროკრატიულად ეკიდებიან სასილოსო მშენებლობას. მაგ., კასპიდან გორში გაიგზავნა 15 კაცი კურსებზე, რომლებმაც მხოლოდ 5 დღე იმეცადინეს. ცხადია, ამგვარად საამისო ცოდნას ვერ შეითვისებენ.

გარდა ამისა, უკვე ამოღებულ ორმოების ამოსაშენებლად არ არის აგური და თავის დროზე არ ყოფილა მიღებული ზომები დასასილოსებელი მასალის მოსამარაგებლად. ამის გამო წელს დასილოსებული იქნება არაუმეტეს 28 ტონა საკვებისა.

მიბაძეთ კომკავშირს

კასპის რაიონის კომკავშირი აქტიურ მონაწილეობას ღებულობს სასილოსე კამპანიაში. რაიონის 30 უჯრედში დამუშავდა საკითხი სილოსის მნიშვნელობის შესახებ, რის შემდეგაც დაიწყო პრაქტიკული მუშაობა. კომკავშირის ორგანიზაციამ დღემდე ამოიღო სილოსის 16 ორმო. აგრეთვე ერთი ორმო ამოთხარა ქვ. ჭალის გლეხურ ახალგაზრდობის სკოლამ. კომკავშირის ინიციატივით მოეწყო ლაშქრობა სილოსისათვის. ამ მიზნით რაიონში გაიმართა შაბათობები შვიდჯერ. ახალგაზრდობა სილოსის ორმოებს აწყობს აგრო-პერსონალის უშუალო ხელმძღვანელობით.

20 აგვისტოს შესდგა ა.ლ.კ.კ. კასპის აქტივის კრება, რომელმაც გადასწყვიტა რაიაგრონომ დემუროვის ხელმძღვანელობით კასპში ამოთხაროს საჩვენებლი სილოსის ორმო. ორმოს ამოღებას შეუდგა ცემენტის ქარხნისა და სოფლის უჯრედი.

აღსანიშნავია, რომ კომკავშირის ორგანიზაციას ამ საქმეში საჭირო დახმარებას არ უწევს კოლმეურნეობათა რაიკავშირი: ა.ლ.კ.კ. რაიკომს რაიონში უნდა ამოეღო 25 ორმო, მაგრამ ვინაიდან რაიკავშირმა ფიცრები და ცემენტი არ შეიძინა, ეს საქმე ბრკოლდება. რაიკავშირმა განაცხადა, რომ „თანხის გამონახვას ვცდილობთო", მაგრამ უკვე ერთ კვირაზე მეტია „სცდილობენ" და დასილოსების ვადა დასასრულს უახლოვდება. ამ საქმისათვის საჭიროა 8.400 მან. ეს თანხა რაიკავშირმა დროით უნდა გამონახოს.

კომკავშირის ორგანიზაცია აქედანვე შეუდგა დასასილოსებელ საკვების შეგროვებას. ქვემო-ჭალის ბრტელს დათესილი აქვს 4 ჰექტარი კართოფილი, რომლის ღეროების შესაგროვებლად კომკავშირი აწყობს შაბათობას. აგრეთვე კომკავშირელები შეაგროვებენ კომბოსტოს ფოთლებს, სიმინდის ღეროებს და საზამთროს ქერქებს.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

არც ერთი კოშკი, არც ერთი ორმო

(სენაკი)

სენაკის რაიონის სოფლებში სასილოსო მშენებლობისათვის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. პარტიულ ორგანიზაციებს და სოფლის საბჭოებს ეს საკითხი დღემდე არც კი განუხილავთ. ნოქალაქევის, უშაფათის, ფოცხოს და ლეძაძამეს თემებში გლეხობამ და კოლექტივებმა სასილოსო მშენებლობის შესახებ არაფერი არ იციან.

სენაკის რაიონი მწვავედ განიცდის საქონლის საკვების დეფიციტს და ერთად ერთი გამოსავალი მესაქონლეობის განვითარებისა მხოლოდ საკვების დასილოსებაა. ეს კი როგორც ზევით აღვნიშნეთ უმწეო მდგომარეობაშია.

საჭიროა საჩქაროთ ზომები, მიღება თორემ წელს მთელს რაიონში არც ერთი რიგიანი სასილოსო კოშკი და ორმო არ გაკეთდება. ამ საქმის ინიციატივა პარტორგანიზაციებმა და სოფლის საბჭოებმ უნდა მიიღონ. დაგვიანება დანაშაულს უდრის. საჭიროა საჩქარო გარდატეხა.

კირცხალია.

საქონლის საკვების დასილოსება

საქ. მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის ზოოტეხნიკურმა განყოფილებამ საქონლის საკვების დასილოსების საქმის საუკეთესოდ დასაყენებლად, სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სომხეთის და აზერბეიჯანის მიწადმოქ. კომისარიატების ზოოტეხნიკური განყოფილებები.

საქ. მიწსახკომის ზოოტეხნიკურმა განყოფილებამ იკისრა კოლმეურნეობაში და საბჭოთა მეურნეობებში მოაწყოს თითო სასილოსო ორმო. სულ მოწყობილი იქნება 500 სასილოსო ორმო, რომელთა საერთო ტევადობა იქნება 615.000 ტონის.

საქმე კანცელარიასა და კრებებს არ სცილდება

(ფოთი)

ფოთში და მის ირგვლივ მდებ. სოფლებში სასილოსე მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა. ეს საკითხი ხელმძღვანელ ორგანოებს არ განუხილავთ და საამისოდ არც არავითარი პრაქტიკული ნაბიჯებია დღემდე გადადგმული.

სასილოსო მშენებლობის კვირეულის ჩატარება მინდობილი ჰქონდა ორ აგრონომს, მაგრამ ეს მინდობილობა ქაღალდზე დარჩა და მათ იმედები არ გაამართლეს. დღემდე არც ერთი მოკლე ვადიანი კურსები არ მოუწყვიათ და არც სხვა რაიმე ზომებია მიღებული სასილოსო მშენებლობის კადრების მომზადებისათვის.

კომკავშირის ორგანიზაციამ ერთხელ მოიწვია თათბირი, სადაც დასმული იყო კითხვა სილოსების მშენებლობის შესახებ. ამ კრებამ მთელი რიგი დადგენილებები მიიღო, მაგრამ კომკავშირის ორგანიზაციას არავითარი ნაბიჯი არ გადაუდგამს მის განსახორციელებლად.

საერთოდ ეს საქმე უკანა რიგში სდგას და არავინ არ გრძნობს პასუხისმგებლობას ამ საქმის შესრულებისათვის. მდგომარეობა თუ ასე გაგრძელდა სასილოსო მშენებლობა ფოთის რაიონში უეჭველია ჩაიშლება.

გ. ჟღენტი.

დასილოსების გეგმა შესრულებული უნდა იქნეს

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას დადგენილება

მოსკოვი, 22 აგვ. ს. ა. ლ. კ. კ.-ის ც. კ.-მა განიხილა სილოსის კამპანიის მიმდინარეობისა და შედეგების საკითხი სასილოსო ორმოების და თხრილების დამზადებისა და ამ ორმოებსა და თხრილებში საკვების ჩასაყრელად არსებულ დავალებათა შესრულება უმნიშვნელო პროცენტს იძლევა. გამორკვეულია, რომ მასების ფართო მოძრაობას სილოსისათვის, რაც დაიწყო ლენინური კომკავშირის თაოსნობით, დროზე არ დაუჭირეს მხარი ადგილობრივმა სამიწათმოქმედო ორგანოებში.

ს. ა. კ. ლ. კ.-ის ც. კ.-მა გადაჭრით დაგმო დასილოსების დარგში მიცემულ დავალებათა „შემცირების ტენდენციები" და დაადგინა: — მოეთხოვოს ყველა კომკავშირულ ორგანიზაციებს, რათა მათ დაუყოვნებლივ მიიღონ გარდამწყვეტი ზომები სასილოსო კამპანიის ჩაშლის წინააღმდეგ.

როგორ უნდა გაკეთდეს სილოსი

ზომაზე მეტი ნესტიანი და მშრალი მცენარის დასილოსება არ ვარგა, ამის გასაგებად მცენარის კონა ხელში მაგრად უნდა დაიწურეხოს, თუ წვენი წვეთებად არ გამოდის, შეიძლება სილოსად მისი ჩადება. თუ წვენი წვეთებად გამოდის, ეს იმის ნიშანია, რომ მწვანე მასა ძალზე ნესტიანია, მაშინ თუ შესაძლებელია ის ცოტათი მზეზე უნდა შეხმეს (შეჭკნეს).

თუ გაშრობა შეუძლებელია, მაშინ მწვანე მასას უნდა მიემატოს დაახლოვებით მეოთხედი ნაწილი მშრალი ბზე ან დაკეპილი ჩალა. ეს ყოველთვის საჭიროა, როცა ამჟავებენ თალგამის ალერდს.

თალგამის ალერდი ძალიან ზევრს სინესტეს შეიცავს. დამჟავებისას სინესტე იმდენად გამოიყოფა, რომ ალერდი შიგ ცურავს და სილოსი ცუდი გამოდის; ამიტომ მისი დამჟავება გაუშრობლად ან მშრალი საკვების მიუმატებლად არ ივარგებს.

მზესუმზირა და განსაკუთრებით სიმინდი დასამჟავებლად, რაც შეიძლება წვრილად უნდა დაიკეპოს. დიდი სილოსის კოშკებისათვის არის სილოსის საჭრელი მანქანები. წვრილად დაკეპილი გროვა მილებით გადადის ზევით კოშკში და მას შიგნით რამოდენიმე კაცი ტკეპნის.

თუ საკვებს ორმოებში ან თხრილებში ვამჟავებთ მწვანე მცენარე უნდა დაიჭრას წვრილად ჩალის საჭრელით ან მსხვილი რკინის ნიჩბით ფიცრულზე ორმოს ან თხრილის ახლო.

დაჭრილ მასას ჩაყრიან და რაც შეიძლება მაგრად უტკეპნიან. განსაკუთრებით მჭიდროდ უნდა დაიტკეპნოს კიდეები.

სილოსს დამარილება არ უნდა არც ორმოში, არც თხრილში და არც კოშკებში, მაგრამ მეტად სასარგებლოა, რომ შეუსხუროს მოხდილი მჟავე რძე ერთ ტონა (61 ფუთი) სილოსზე საკმარისია ერთი ლიტრა რძე.

მუშაობის შეჩერების დროს, საჭიროა სილოსი დაიჯღორგოს (თავზე დაეწყოს) ფიცრების ნაჭრები და მაზედ რაიმე სიმძიმე, დიდრონი ქვები დაიდოს, რაც მეტს დაიწევს სილოსი, მით უკეთესი გამოდის.

როცა ორმო ან თხრილი ამოივსება ისე, რომ მძიმე დაწოლით ის აღარ დაიწევს, ზედ დააფარებენ ნედლ ბალახს, ან ხის ფოთლიან შტოებს, შემდეგ დააყრიან მიწას 20 სანტ. სისქეზე. ასე სტოვებენ ყინვების დაწყებამდე.

მიწა უნდა დაეყაროს მჭიდროთ და თანაბრად; თუ მიწის დაწევის დროს მიწა დასკდა — ის უნდა დაიგლისოს, რომ არც წვიმა და არც ჰაერი არ ჩავიდეს სილოსში, ზევით კარგია, რომ დაეყაროს ჩალა ან ხის შტოები.

როცა ყინვები დადგება ეს თავი უნდა გადაიხადოს და დაიფაროს ჩალიანი ნეხვით ან ხმელი ფოთლებით 30 სანტ. სისქეზე და ზევით კიდევ მიწა დაეყაროს და ხის შტოებით, ან ჩალით დაიფაროს; ასე სტოვებენ სილოსს დასამზადებლად.

სიმინდის სილოსი ყველაზე უფრო ადრე შემოდის და მზად არის საქონლის საკვებად ერთი თვის შემდეგ.

ყველაზე გვიან შემოდის იონჯა; იონჯა შემოდის 3-4 თვის შემდეგ. ყველა დანარჩენი მცენარეები შემოდიან ორი თვის შემდეგ.

ყველა ზემოხსენებული წესები ზედმიწევნით უნდა იქნას დაცული თორემ მცირეოდენ უყურადღებობას შეუძლია დასილოსებული საკვების მთლიანად გაფუჭება. ეს გლეხების თვალში სახელს გაუტეხს სასილოსე მშენებლობას და მის მნიშვნელობას.

აგრონომი ერ. ნაკაშიძე.

კენიგსბერგის ბაზრობა

ბერლინი, 22 აგვისტო. კენისბერგის ბაზრობა დიდ წარმატებით დამთავრდა. „ბერლინერ ტაგებლატ"-ი აღნიშნავს, რომ საბჭოთა განყოფილებამ ხელი შეუწყო ვაჭრობის განვითარებას საბჭოთა კავშირსა და გერმანიას შორის (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

თეთრგვარდიელთა ყრილობა ბულგარეთში

მოსკოვი, 22 აგვისტო. „იზვესტია"-ს კორესპოდენტი იუწყება: სოფიაში (ბულგარეთი) სწარმოებს განსაკუთრებით ფართო სამზადისი თეთრგვარდიელთა ყრილობისათვის, რომელიც ამ დღეებში უნდა გახსნილიყო, მაგრამ 14 სექტემბრისათვის გადასდევს. ყრილობას ეწოდება რუსეთის მეცნიერთა, მწერლების და პოეტების კონგრესი. მას დაესწრებიან თეთრგვარდიელთა ემიგრაციის ყველა გამოჩენილი მოღვაწეები პარიზიდან, ლონდონიდან და პრაღიდან, მილიუკოვი, სტრუვე და სხვ. ბულგარეთის მთავრობა და მეფის ვარეულობასთან დაახლოვებული წრეები ყრილობის მონაწილეებს უმზადებენ საზეიმო შეხვედრას. ყრილობის მონაწილეებისათვის დანიშნული ბინები და აგრეთვე ფაეტები და მუზეუმები მორთულია მეფის დროშებით. განზრახულია კონგრესის მონაწილეთა საზეიმო დარბაზობის მოწყობა მეფე ბორისთან. ყრილობის მზადების საზეიმო ხასიათი აიხსნება პარიზის ზეგავლენით ბულგარეთის მთავრობაზე; სოფიას არჩევა ყრილობის ადგილად კი — სიახლოვეთ საბჭოთა კავშირთან და ენერგიული მზადებით ანტი - საბჭოთა ომისათვის ბალკანეთზე. ეს ერთის მხრივ, მეორეს მხრივ რუს თეთრგვარდიელებს სურთ გამოასწორონ თავიანთი დანაშაული სოფიას წინაშე.

საქმე იმაშია, რომ ბულგარეთის ოხრანკამ აღმოაჩინა დიდი ბანდა, რომელიც ამზადებდა ბულგარეთის ყალბ ბანკნოტებს. **ბანდის ყველა მონაწილეები აღმოჩნდენ გამოჩენილი თეთრგვარდიელები. ბელგრადში აღმოაჩინეს ჯაშუშთა ორგანიზაცია,** რომელიც იტალიის დავალებით მუშაობდა. **ჯაშუშთა ორგანიზაციის სათავეში იყვნენ რუსი თეთრგვარდიელი გენერლები.**

თეთრგვარდიელთა „კონგრესმა" სოფიაში უნდა შეანელოს „მოძმე სლავიანების" ინტერესებით ვაჭრობით გამოწვეული შთაბეჭდილება.

ამერიკელი მუშა ლუისი პატიებას სთხოვს საბჭოთა კავშირს

მოსკოვი, 22 აგვისტო. „პრავდა"-ს სტალინგრადიდან ატყობინებენ: ამერიკელ მუშის ლუისის მიერ ზანგ მუშის ცემის საქმის გარჩევა გადაიდო.

ლუისმა შეიტანა განცხადება, რომელშიც აღიარებს დანაშაულს, საბჭოთა კავშირის მუშებს სთხოვს პატიებას და პირობას იძლევა, რომ გასწორდება.

ამერიკელების კოლონიის კომიტეტმა დაჰგმო ლუისის უმსგავსო საქციელი ზანგ მუშების მიმართ.

ტრაქტორების და კომბაინების შექმნა შეერთ. შტატებში

მოსკოვი, 22 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის (1930-31 წლის ბიუჯეტი) შეერთებულ შტატებში უკვე შეძენილია 29.868 ტრაქტორი, 2000 კომბაინი და სათადარიგო ნაწილების დიდი რაოდენობა. შეერთებულ შტატებში შეძენილი სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღების საერთო ღირებულება 90 მილიონ მანეთს უდრის. გერმანიაში შეძენილია ტრაქტორზე მისაბმელი 10000 გუთანი და 8 მილიონ მანეთის მიწის სასუქი ბამბების მთავარი კომიტეტისათვის.

შეძენილ ტრაქტორების საერთო სიმძლავრე უდრის 620,000 ცხენის ძალას. ტრაქტორების მიღება საბჭოთა კავშირში დაიწყება ნოემბერში და დამთავრდება თებერვალში.

დავიცვათ სათბობი მასალის ეკონომია

მოსკოვი, 22 აგვისტო. სათბობი მასალის ნაკლებობასთან დაკავშირებით, საკ. ს.მ.უ. საბჭომ წინადადება მისცა სამრეწველო გაერთიანებებს შემცირონ სათბობი მასალის ხარჯვა რაციონალიზატორული ღონისძიებების გატარებით და დაიცვან სასტიკი ეკონომია სათბობი მასალის ხარჯვაში, მოაგვარონ სათბობი მასალების ნარჩენების და გადამუშავებული სათბობი მასალის უტილიზაციის საქმე. ადგილებზე უნდა ჩატარდეს შესაფერი კამპანია.

4-ჯერ მეტი, ვიდრე ომამდე

მოსკოვი 22 აგვისტო. გამოქვეყნდა საკ. ს.მ.უ. საბჭოს თავმჯდომარის ამხ. კუიბიშევის ბრძანება, რომელშიც აღნიშნულია ის ბუმბერაზული ამოცანები, რომლებიც სოფლის კოლექტივიზაციასთან და ტრაქტორიზაციასთან დაკავშირებით ისმება ნავთის მრეწველობის წინაშე. ნავთისა და გაზის მოპოება 1932-33 წლისათვის უნდა გაიზარდოს 42 მილიონ ტონამდე, ესე იგი 4-ჯერ მეტად ომის წინადროინდელ დონესთან შედარებით.

მდგომარეობა ჩინეთში

წითლების ოპერაციები ჩინეთში

შანხაი, 21 აგვისტო. ხანკოუსთან სატელეგრაფო კავშირის გაწყვეტის გამო, ნამდვილი ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება უსიუეში (იანძის მნიშვნელოვანი ნავთსადგური ხანკოუსა და ძიუ-ძიანს შორის), არ მოიპოება. ფიქრობენ, რომ უსიუე დაკავებულია წითელი ჯარების მიერ, რომლებიც, წინაღმდეგ გაზეთების მტკიცებისა, როგორც ირკვევა, განაგრძობენ მოქმედებას მდ. იანძის ნაპირებზე. ხანკოუდან უსიუეში სასწრაფოდ გაიგზავნა ჩინეთის განმანადგურებლები. უსიუედან 40 კილომეტრის მანძილზე დიდი ბრძოლები სწარმოებს წითელი არმიის რაზმებსა და ნანკინის ჯარებს შორის.

ჩანშაში ისევ მძვინვარებს თეთრი ტერორი. თვით რეიტერის სააგენტოც კი იძულებულია აღიაროს, რომ ხე-ძიანის განკარგულებით დახოცილ იქნა 4.000 კომუნისტი (ადს).

კლასობრივი სასამართლოს განაჩენი

უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი გასტონელ ფეიქრების საქმეზე

ნიუ-იორკი, 22 აგვისტო. ჩრდილოეთ კაროლინას შტატის უზენაესმა სასამართლომ დაამტკიცა განაჩენი გასტონიის ფეიქართა იმ შვიდი ხელმძღვანელის საქმეზე, რომელთაც პოლიციის უფროსის მოკვლა ბრალდებოდა. როგორც დეპეშები იუწყებოდნენ თავის დროზე, გასტონელი ფეიქრები, მათ მიერ გაფიცვის გამოცხადების შემდეგ, მრეწველებმა ოჯახის წევრებთან ერთად გამოასახლეს ბინებიდან და ისინი იძულებული შეიქნენ მოთავსებულიყვნენ ბანაკში, რომელსაც შეიარაღებული გაფიცულები იცავდნენ. ბანაკს თავს დაესხნენ მთვრალი პოლიციელები, რომლებმაც ასტეხეს სროლა. თავდასხმის დროს მოკლულ იქნა პოლიციის უფროსი. თუ რა პირობებში მოხდა მკვლელობა, გამორკვეული არ არის. ამ საბაბით ხელისუფლებამ დააპატიმრა საგაფიცვო კომიტეტის ყველა წევრები და წაუყენა მათ ბრალდება მკვლელობაში. პირველი ინსტანციის სასამართლომ ბრალდებულებს მიუსაჯა დაპატიმრება 7-დან 15 წლის ვადით, თუმცა მათი დანაშაულის არავითარი დამამტკიცებელი საბუთი არ მოეპოვებოდა (ადს).

ფერად კანიან მეზღვაურების შეტაკება პოლიციასთან

ლონდონი, 22 აგვისტო. კარდიფში (დიდი საქვანახშირო ნავთსადგური) **მოხდა უმუშევარ არაბ და სომალიელ მეზღვაურების სერიოზული შეტაკება პოლიციასთან.**

გემის პატრონთა კომპანიის მიერ პროფბიუროკრატებთან და მეზღვაურთა რეფორმისტულ კავშირთან მიღწეულ შეთანხმების ძალით, შემოღებულია ფერადკანიან მეზღვაურების რეგისტრაციის განსაკუთრებული სისტემა. ეს გარემოება ფერადკანიან მეზღვაურებს გაცილებით უარეს მდგომარეობაში აყენებს, ვიდრე თეთრკანიანებს. **ფერადკანიან მეზღვაურთა შორის დაიწყო მოძრაობა მთელი ამ სისტემის წინააღმდეგ.** ფერადკანიანებით დასახლებულ კვარტალებში და აგრეთვე დოკებში დაიწყო საპროტესტო დემონსტრაციები ფერადკანიანთა რეგისტრაციის სისტემის წინააღმდეგ. პოლიცია შეეცადა გაეფანტა დემონსტრანტები, რამაც გამოიწვია შეტაკება. ხუთი მეზღვაური დააპატიმრეს (ადს).

სპარსეთის მეჯლისი

დეპუტატ ფაროხის ოპოზიციონური გამოსვლა

თეირანი, 22 აგვისტო. სპარსეთის მეჯლისის სხდომაზე სასოფლო-სამეურნეო ბანკის დაარსების კანონის განხილვის დროს გამოვიდა მეჯლისის დეპუტატი **ფაროხი** და მკაცრად გააკრიტიკა მთავრობა. მან სთქვა, რომ **ბანკი სარგებლობას მოუტანს მხოლოდ მემამულეებს, გლეხობის მთელი მასა კი ვერავითარ დახმარებას ვერ მიიღებს იქიდანო.** ფაროხი მოითხოვდა ბანკის საშუალებით მიწის რეფორმის გატარებას სპარსეთში.

შემდეგ მან აღნიშნა სპარსეთის ეკონომიკის მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა. ფუფუნების საგანთა შემოზიდვა სპარსეთში დიდად აღემატება სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვას. სპარსეთის გლეხობა ღატაკდება.

შემდეგ ფაროხი შეეხო არჩევნების სისტემას მეჯლისში და სთქვა, რომ **მთავრობა ახშობს არჩევნების თავისუფლებას და გაჰყავს პარლამენტში თავისთვის სასურველი კანდიდატებიო. „სპარსეთში არ არსებობს კონსტიტუცია"** — განაცხადა ფაროხმა. ამ განცხადებამ დიდი აღელვება გამოიწვია მეჯლისის დეპუტატებს შორის. **ფაროხი ჩამოათრიეს ტრიბუნიდან.** (ადს).

სხვადასხვა

● შუა გერმანიაში განსაკუთრებით იზრდება მასიური მოძრაობა იმ საგადასახადო კანონების წინააღმდეგ, რომლებიც მიღებულია კონსტიტუციის 48-ე მუხლის ძალით.

● „ლუმანიტე"-ს დახმარების ფონდში შეგროვებულია 200.000 ფრანკი.

● გერმანიის მთავრობას განზრახული აქვს უმუშევრობის გამო დაზღვევის ანარიცხების შემდგომი გადიდება 1—1 ნახევ. პროცენტით. სწარმოებს მოლაპარაკება უმუშევრების გამო დახმარების შემცირების შესახებ (ადს).

გადაფრენა ბერლინი-მოსკოვი-ტოკიო

მოსკოვი, 22 აგვისტო. იაპონელი მფრინავი იოსიხარა, რომელიც გამოფრინდა ბერლინიდან და მოსკოვის გავლით უნდა გადაფრინდეს ტოკიოში, დაეშვა მოსკოვის აერო სადგურზე 20 აგვისტოს და იმავე დღეს გაფრინდა აღმოსავლეთისაკენ (ადს).

„პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლაა" (ლენინი)

კულაკობამ მთელი მისი სასაქონლო პური დაუყოვნებლივ უნდა ჩააბაროს პროლეტარულ სახელმწიფოს

სტალინისის რაიონში კულაკობას კოოპერაციისათვის დღემდე არ ჩაუბარებია პური, სოფლის საბჭოები არ იღებენ ზომებს პურის დამზადების გეგმის კულაკურ მეურნეობამდე დაყვანისათვის

„პურს დავწვავთ და თქვენ კი არ ჩაგაბარებთ"

(სტალინისი, ყოფ. გორის ოლქი)

სტალინისის რაიონში უნდა დამზადდეს 100.000 ფუთი პური. პურის დამზადებას აქ სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს. უნდა აღინიშნოს, რომ კოოპერაციის უტაქტიკო მუშაობით სარგებლობენ კულაკები და მათ არევ - დარევა შეაქვთ დამზადების მსვლელობაში: პირველ ხანებში კოოპერაციას დაურღვევია პურის ჩამბარებლებზე ფართლის გაცემის ნორმები და გაუცია ფართალი ნაცვლად 15 პროცენტისა 30 პროცენტი. ამის გამო კოოპერაციას სულ მალე შემოაკლდა ფართალი, და მან ერთბაშად უარი გამოუცხადა ჩამბარებლებს ფართლის მიცემაზე.

ამას გამო შეიქნა დიდი უკმაყოფილება, რამაც უსათუოდ გააძლიერა კულაკობის პოზიციები. **ჯერ - ჯერობით კულაკებს არ დაუწყიათ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარება.** კულაკები აშკარად გაიძახიან: „ჩვენს პურს ცეცხლში დავწვავთ და თქვენ კი არ ჩაგაბარებთო". კულაკების ამ თავხედობას გასავალი ეძლევა იმისათვის, რომ ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები არ იღებენ საჭირო ზომებს გათავხედებული კულაკების წინააღმდეგ.

გარდა ამისა, პურის გალეწვა მთელს რაიონში მიმდინარეობს სუსტად. სამომხმარებლო კოოპერაციას ხელშეკრულება ჰქონია დადებული კოლმეურნეობებთან პურის გალეწვის ჩასატარებლად, მაგრამ ეს ხელშეკრულება კოლმეურნეობებმა ვერ შეასრულეს სალეწი მანქანების საკმაო რაოდენობის უქონლობის გამო.

დამზადების გეგმის დროზე შესასრულებლად საჭიროა: **სამრეწველო საქონლის მიწოდების მოგვარება. პურის გალეწვის დაჩქარება და პურის დამზადების გეგმის საჩქაროდ დაყვანა კულაკურ მეურნეობამდე: კულაკობამ პური დაუყოვნებლივ უნდა ჩააბაროს სახელმწიფოს.**

გაზ. „კომუნისტი"-ს ბრიგადა:
მიხ. ბოკუჩავა.

გამოვიყენოთ თელავის რაიონის გამოცდილება

თელავის რაიონი ემზადება მასიური მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისათვის. იქ ატარებენ გლეხებთან უბნობრივ და ინდივიდუალურ საუბრებს. **შექმნილია ღარიბ გლეხთა და გლეხ - ქალთა ბრიგადები,** რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ პურის დამზადების საქმეს, რათა დროზე იქნას შესრულებული საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული გეგმა. ბრიგადები ახსნა - განმარტებებს ატარებენ გლეხებს შორის პურის დამზადების ირგვლივ. ისინი უნდა გადაიქცნენ აქტიურ დამხმარე ძალათ პურის დამზადებაში. გლეხების და გლეხი - ქალების ბრიგადების შექმნა აუცილებლად ფრთებს შეუკვეცავს კულაკების პროვოკაციას და გააძლიერებს პურის დამზადების ტემპს.

იქ, სადაც პურის დამზადების კამპანიის ირგვლივ გლეხის ქალები არ არიან შეკავშირებულები — კულაკობა ადვილად იყენებს მათ დამზადების მსვლელობისათვის ხელის შესაშლელად. ამისათვის გლეხ - ქალთა ბრიგადების შექმნის დარგში თელავის რაიონის მეტად სასარგებლო გამოცდილება ფართოდ უნდა გამოიყენონ ყველა პურის დამამზადებელ რაიონებმა და სოფლებმა.

გაზ. „კომუნისტი"-ს ბრიგადა
ვ. მთვრალაშვილი.

რა გვიშლის ხელს

(ს. მეჯვრისხევი, გორის რაიონი)

პურის დამზადების საკონტროლო ციფრის მიხედვით, სოფელ მეჯვრისხევმა უნდა დაამზადოს 1522 ფუთი პური. ამ გეგმის შესრულებას წინ ეღობება მრავალი დაბრკოლებები: უპირველესად ყოვლისა, აღსანიშნავია დიდი მოუსავლობა; განსაკუთრებით მცირე იყო ხორბლის მოსავალი. არა ხელსაყრელმა ამინდებმა ყანები ადრე გააფუჭეს და ნავარაუდევი მოსავლის ერთი მესამედიც არ აუკრეფია გლეხობას.

ამას ზედ ერთვის სალეწი მანქანის უქონლობა, რაც აგვიანებს მოსავლის აღებას და პურის დამზადებასაც; გლეხობა და კოლექტივები პურს პრიმიტიული წესით ლეწენ და ეს საგრძნობლად აჭიანურებს საქმეს.

მესამე ხელისშემშლელი მიზეზი არის კულაკობის წინააღმდეგობა და ჩავნებლობა: კულაკობა გარდა იმისა, რომ გაბოროტებულ პროვოკაციას ეწევა პურის დამზადების წინააღმდეგ—ყველგან აგვიანებს თავის ხორბლის გალეწვას. ისინი თავს იმართლებენ იმით, რომ გასალეწი საშუალება არა აქვთ და ამგვარად თავს აძვრენენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულებას.

მიუხედავად ამ ხელის შემშლელი გარემოებებისა დამზადების საქმე პირველ აგვისტოდან საგრძნობლად გამოსწორდა. 22 აგვისტოს გორის დამამზადებელ პუნქტს მეჯვრისხეველებმა საზეიმოდ ჩააბარეს დამზადებული პურის დიდი პარტია.

დამზადების ტემპის დასაჩქარებლად **საჭიროა ხორბლის ლეწვის საჩქაროდ მოთავება და კულაკების მახინაციების ალკვეთა.** კულაკებს უნდა მიეცეთ წინადადება, რათა მათ მთელი თავიანთი ზედმეტი პური უმოკლეს ვადაში ჩააბარონ სახელმწიფოს.

ბრიგადელი.

ბოლო უნდა მოეღოს პურით სპეკულიაციას

მოსკოვი, 22 აგვისტო. ჩრდილოეთ-კავკასიის მთელ რიგ რაიონებში შემჩნეულია პურით სპეკულიაცია და „მეშოჩნიკობა". ამ სპეკულიაციას ხელს უწყობენ სოფლის საბჭოებიც, რომლებიც სხვადასხვა პირებს აძლევენ მოწმობებს პურის შესყიდვის უფლებაზე.

საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა თავის დროზე სასტიკი დირექტივა მისცა ქვედა საფეხურის აპარატს — არ დაუშვან დაწესებულ ფასების ჩამლა. საკავშირო განყოფილებებმა დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ ზომები „მეშოჩნიკობის" სასწრაფოდ აღმოსაფხვრელად და ამის შესახებ დასვან საკითხი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოების წინაშე. სოფლის საბჭოების მიერ გაცემული მოწმობები პურის შესყიდვის უფლებაზე არ ჩაითვლება ნამდვილ მოწმობებად. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატმა განკარგულება გასცა — პასუხისგებაში მისცენ ხელისუფლების ის წარმომადგენლები, რომლებიც ასეთ ნებართვებს გასცემენ.

კომკავშირელები—პედაგოგიურ ასპარეზზე

მოსკოვი, 22 აგვისტო. საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ.-ის მიერ საყოველთაო პირველდაწყებითი სწავლების შესახებ მიღებულ დადგენილებით, კომკავშირს დაევალა უახლოესი სამი წლის განმავლობაში მოამზადოს 60.000 კომკავშირელი პედაგოგიურ ასპარეზზე სამუშაოდ.

ს. ა. კ. ლ. კ.-ის ც. კ.-მა დაადგინა: 15 სექტემბრისათვის მობილიზაციის წესით გაიწვიოს 3.000 კომკავშირელი მუშა, მოჯამაგირე და კოლმეურნე, მათი პედაგოგიურ ტეხნიკუმებში გასაგზავნად; 6.000 კომკავშირელი, რომელთაც უმუშავნიათ პიონერთა ორგანიზაციებში და აქვთ საერთო მომზადება შვიდწლედის ფარგლებში, უშუალოდ პედაგოგიურ მუშაობისათვის სავალდებულო პირველდაწყებითი სკოლებში და 5.000 კომკავშირელი, რომელთაც აქვთ საერთო განათლება ცხრაწლედის ფარგლებში—უშუალოდ პედაგოგიურ მუშაობისათვის პირველდაწყებით სკოლებში. ამ ჯგუფში მუშები უნდა შეადგენდენ არა ნაკლებ 50 პროცენტისა.

1931 წლის 1 იანვარს კიდევ დამატებით იქნება გაწვეული 5.000 კომკავშირელი პედ. ტეხნიკუმებში და 30.000 კომკავშირელი პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში.

ს. ა. კ. ლ. კ.-ის ც. კ.-მა წინადადება მისცა ყველა ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ ყველა კომკავშირელი, რომელიც კი დაამთავრებს ცხრაწლედს პედაგოგიური განხრით, აუცილებლად და მხოლოდ პედაგოგიურ ასპარეზზე სამუშაოდ უნდა იქნას გაგზავნილი.

მრეწველობის წლიური გეგმის შესრულება

მოსკოვი, 22 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. ს.-ის ცნობით, კავშირის მთელმა მსხვილმა მრეწველობამ მიმდინარე სამეურნეო წლის 10 თვის განმავლობაში გამოუშვა 12,8 მილიარდ მანეთის (1926-27 წლის ფასებში) პროდუქცია, სულ შესრულებულია წლიური გეგმის 78,4 პროცენტი.

შავი ქვის მრეწველობამ შეასრულა გეგმის 78 პროც. (გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით მომატება შეადგენს 24,3 პროცენტს), ნავთის მრეწველობამ — 80,5 პროც. (მომატება 25,1 პროც.), შავი ლითონის მრეწველობამ (თუჯის) — 77,6 პროც. (მომატება 26,2 პროც.), ფოლადის მრეწველობამ — 72,6 პროც. (მომატება 19,2 პროც.), მანქანათ-მშენებლობაში შესრულებულია წლიური გეგმის 77,5 პროც., ელექტროტეხნიკურმა მრეწველობამ — 75 პროც.

შრომის ნაყოფიერება ქვანახშირის მრეწველობაში დაეცა 3,1-ით, შავი ლითონის მრეწველობაში — 11,5 პროც.-ით (ადს).

აფეთქება მაღაროში

ხარკოვი, 22 აგვისტო. მაღარო „კაპიტალნაია"-ში, სტალინისის ოლქში, მოხდა აფეთქება. დაიღუპა 10 კაცი. 5 მუშის ბედი ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია (ადს).

ხარკოვი, 22 აგვისტო. უკრაინის ცაკის პრეზიდიუმი და სახკომსაბჭო ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ჯგუფური შემთხვევის— მაღარო „კაპიტალნაია"-ში აფეთქების დროს მუშების დაღუპვის გამო (ადს).

ხარკოვი, 22 აგვისტო. აფეთქების მიზეზის გამოსარკვევად მოეწყო მთავრობის კომისია უკრაინის შრომის სახალხო კომისრის ამხ. პისკარიოვის თავმჯდომარეობით. (ადს).

უთავბოლობის შედეგი

(ს. შაშიანი. კახეთი)

დიდი ჯაფისა და დავიდარაბის შემდეგ ს. შაშიანმა მიიღო ერთი საუკეთესო სალეწი მანქანა. ეს მანქანა გადაეცა სოფ. კალაურის სას.-სამ. არტელს. კოლექტივის წევრების და მთელი ღარიბი-საშუალო გლეხების სიხარულს საზღვარი არ ქონდა სალეწი მანქანის მიღების გამო.

სამწუხაროდ სანამ მანქანა მუშაობდა ადგილი ქონდა უკანონო მოქმედებას და მექრთამეობას: სალეწი მანქანა პირველ რიგში იმის ხორბალს ლეწავდა, ვინც ქათმებს და ღვინოს მიუტანდა მანქანაზე მომუშავეებს. ცხადია, ასეთ პირობებში კლასობრივი ხაზის დამახინჯება ხშირი იყო და კულაკობაც უფრო შეღავათიან პირობებში ახერხებდა სალეწი მანქანით სარგებლობას.

გარდა ამისა, კოლექტივის გამგეობის უყურადღებობის და მემანქანის უცოდინარობის გამო სრულიად ახალი მანქანა დაზიანდა და გაჩერდა, გასალეწი პურის ძნები კი გორებად სდგას მანქანის ირგვლივ. ეს ხელისშემშლელი პირობები, რომ არ ყოფილიყო და სალეწ მანქანას სრული დატვირთვით ემუშავნა — შაშიანში პურის დამზადების გეგმა შესრულებული იქნებოდა 10 სექტემბრამდე.

ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს და საუკეთესო სალეწ მანქანას უნდა მიუჩინონ რიგიანი და გულშემატკივარი პატრონი.

კაკიანთხეველი.

უძლეველი ფასიძე

(წერილი ლაგოდეხის რაიონიდან)

საუბედუროთ ზოგიერთ სოფლებში ჯერ კიდევ გვყავს ისეთი პასუხისმგებელი მუშაკები, რომლენიც არ ამართლებენ იმედებს. ავალაპარაკოთ ფაქტები: ლელიანის სას. საბჭოს ფარგლებში სარაიონო გეგმის თანახმად, წელს უნდა დამზადდეს 25 ათასი ფუთი პური. მაგრამ ლელიანის სას. საბჭოს თავმჯდომარის დემენტი ფასიძის ახირებული მოქმედების გამო ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელი ხდება.

ფასიძის აშკარა დაუდევრობით, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი არ გრძნობს პასუხისმგებლობას არავის წინაშე, დაიწვა 15 ათასი ფუთი პური. ამას გარდა ფასიძე „დაძმაკაცდა" ახალისოფლის აღმასკომის თავმჯდომარეს. ეს ორი „მთვარე" პურის დამზადებისათვის გახურებულ მუშაობის დროს ლოთობას ეწევიან და პურის დამზადების საქმეს უკანა რიგში აყენებენ. ფასიძისა და ახალი სოფლის აღმასკომის თავმჯდომარის მეგობრობა იქამდის მიდის, რომ ფასიძე ეთანხმება, მოხსნას სოფ. ბალღოჯიანში მომუშავე სალეწი მანქანა, სადაც დაახლოებით გასალეწია 60 ათასი ფუთი პური და გადაიტანოს იგი ახალსოფელს, რომელსაც გასალეწი აქვს მხოლოდ 10 ათასი ფუთი პური.

ასეც ხდება. ა.-წ. 9 და 10 აგვისტოს სოფ. ბალღოჯიანში ჩამოდის ახალი სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე და მანქანაზე მომუშავე მუშებს უბრძანებს—თავი გაანებონ მუშაობას, რადგანაც მანქანა „ჩვენ ჩაგვაბარესო"—გლეხების განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა. ღვინით გალეშილი თავმჯდომარე თავისას არ იშლიდა და ძალით მიჰქონდა მანქანა. ამის გამო ჩხუბ- და ალიაქოთი შეიქმნა, ბალღოჯიანელ გლეხებმა სალეწი მანქანას მოხსნეს ტრაქტორი,—მოიწადინეს ფასიძის ნახვა და საქმის ვითარების გამორკვევა. ამ დროს ვიღაცებმა ფასიძეს ამბავი მიუტანეს, თითქოს ბალღოჯიანის გლეხობა მის მოსაკლავად (!) წამოვიდაო; ამის გამო ფასიძემ ასტეხა განგაში და რამდენიმე კომკავშირელ შეაიარაღა თავის დასაცავად. თვითონ ფასიძე გალეშილი ჩაიკეტა აღმასკომის ოთახში და იქიდან იძლეოდა განკარგულებებს, რომ ახლოს არავინ მოეშვათ. როცა აღმასკომის შენობას მიუახლოვდა სალეწი მანქანის საქმის გამოსარკვევად წამოსული გლეხობა,—კომკავშირელებმა მათ სროლა აუტეხეს. ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს საბედისწერო შემთხვევა, რომ ამ დროს აღმასკომში არ გამოცხადებულიყო ოლქიდან მოვლინებული პარტიული ამხანაგი ალექსანდრე ლალიევი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ იმ ოთახს, რომელშიაც გალეშილი ფასიძე იმყოფებოდა, დარაჯობდა შეიარაღებული კომკავშირელი, რომელიც წინ აღუდგა ამხ. ლალიევს.

ლალიევის ჩარევით საქმე შეთანხმებით მოგვარდა, მაგრამ ფასიძის ასეთი მოქმედება ფაქტად დარჩა, რაც უეჭველია ლაპარაკობს იმას, რომ ფასიძე მკაცრად უნდა დაისაჯოს.

ფასიძის მიმართ სამართლიან გულისწყრომას და უკმაყოფილებას გამოთქვამს ადგილობრივი გლეხობა. პასუხს სათანადო ორგანოებისაგან მოელით.

კავალერისტები.

კულაკები პურს არ აბარებენ

(კასპის რაიონი, ქართლი).

საკონტროლო ციფრების მიხედვით წელს კასპის რაიონში უნდა დამზადდეს 20.000 ფუთი პური. აქ პურის დამზადება მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს: 20 აგვისტომდე დამზადებულია მხოლოდ 3.075 ფუთი პური. (დამზადების გეგმა შესრულებულია 15,3 პროც.).

კულაკებს მტკიცე დავალება ქონდათ მიცემული, რომ 20 აგვისტომდე ჩაებარებიათ სასაქონლო პური, მაგრამ ამ რიცხვისათვის **1,220 ფუთის ნაცვლად კულაკებმა ჩააბარეს მხოლოდ 40 ფუთი.** კულაკები სხვადასხვა ხრიკებით თავს არიდებენ პურის ჩაბარებას. მაგ. სოფ. დოესში კულაკებმა (ხორბალაძე, აბუაშვილი, უხრუგუნაშვილი, ბორჯაძე, გოგოლაშვილი) პურის ჩაბარებაზე უარი განაცხადეს „მოუსავლიანობის" მიზეზით; ნამდვილად კი მათ გადამალეს სასაქონლო პური. მიღებულია ზომები პურეულის აღმოსაჩენად.

ამას გარდა, პურის დამზადებას აფერხებს რკინეულის უქონლობა, რომელზედაც დიდი მოთხოვნილებაა გლეხებში.

პურის დამზადებას ხელს უშლის სალეწი მანქანების უქონლობა. აღაიანის კომუნაში, რომელმაც უნდა დაამზადოს 1.400 ფ. პური, მხოლოდ 21 აგვისტოს დაიწყო ლეწვა.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

პურის მოსავალი აფხაზეთში ნაკლებია

სოხუმი, 19 აგვისტო. საბჭოთა მეურნეობაში „მესამე ინტერნაციონალი" დამთავრდა მარცვლეულის მოსავლის აკრეფა და გალეწვა. სარეველა ბალახებმა მინდორშივე დაღუპეს 4 ჰექტარის მოსავალი. დანარჩენ 17 ჰექტარზე მოკრეფილია 22,2 ტონა.

იმის მიუხედავად, რომ მოსავალი შედარებით მდარეა, საბჭოთა მეურნეობას მაინც მეტი მოუვიდა, ვიდრე კერძო მეურნეებს. მდარე მოსავლის მიზეზი, მხოლოდ და მხოლოდ წლევანდელი მეტეოროლოგიური პირობებია.

პურის მარცვალი ძალზე ცუდი ქონდა. ამიტომ, მერმისას გეგმაში მიწსახკომს წლევანდელ 5.700 ჰექტრის მაგივრად 1.500 ჰექტარი შეაქვს (ადს).

ა.-კ. ფედერაციაში

აზერბაიჯანი

მშენებლობა აზერბეიჯანში

ბაქო, 22 აგვისტო. ბაქოში დაიწყო დიდი სამკერვალო ფაბრიკის აგება, რომელიც 2 მილიონი მანეთი დაჯდება. ფაბრიკაში გატარებული იქნება სრული მექანიზაცია და გამოყენებული იქნება კონვეიერის სისტემა.

იწყება პირველი მექანიზაციაქმნილ კირის ქარხნის აგება ბაქოში ქარხანა 500000 მან. დაჯდება.

დაიწყო მოსამზადებელი მუშაობა ჰიდროელსადგურის ასაგებად ზუმოვკაში (სალიანის რაიონი). სადგურის სიმძლავრე 15.000 კილოვატს შეადგენს (ადს).

შემოდგომაზე კოლმეურნეობები 125.000 ჰექტარს დასთესენ

ბაქო, 22 აგვისტო. შემოდგომაზე კოლმეურნეობები აზერბეიჯანში 125,000 ჰექტარს დასთესენ, რაც შემოდგომის მთელი ნათესების 14,8 პროცენტს შეადგენს, შარშან კოლმეურნეობებმა დასთესეს 26.582 ჰექტარი—ნათესების საერთო ფართობის 3,3 პროცენტი. ამჟამად აზერბეიჯანის კოლმეურნეობებში 41.505 გლეხური მეურნეობაა გაერთიანებული (ადს).

„კოოპერატორები" — პურის დამზადების ჩამშლელნი

შამქორი, 21 აგვისტო. 14 აგვისტოს შამქორის პურის დამამზადებელ პუნქტის გამგემ აცნობა კოოპერატივის გამგეს, რომ პარასკევს 15 აგვისტოს, მოიტანენ ურმებით პურს და სთხოვა გაეღო კოოპერატივი. კოოპერატივის გამგემ გაფრთხილებისა მიუხედავად პარასკევს არ გააღო კოოპერატივი და პურის ჩამბარებელ გლეხებს მთელი დღე და ღამე აცდევინა შამქორში იმისათვის, რომ მათ სამრეწველო საქონელი მიეღოთ (ადს).

გერანი, 21 აგვისტო. გერანის კოოპერატივის გამგემ თავის მაგიერ დასტოვა მოლარე და თვითონ გაემგზავრა სააგარაკოდ აჯიკენდში. იმავე დღეს მოლარემ კოოპერატივს დაადო ბოქლომი და „გასასეირნებლად" განჯისაკენ გასწია.

გლეხებმა, რომლებმაც პური მიიტანეს ჩასაბარებელ პუნქტზე, ორი დღე უცადეს „კოოპერატორებს" სამრეწველო საქონლის მისაღებად. მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამ საზიზღარ ფაქტის შესახებ აცნობეს განჯის პროკურორს, „კოოპერატორები" დაბრუნდნენ და პურის ჩამბარებელ გლეხებს მისცეს სამრეწველო საქონელი.

გერანის კოოპერატივის გამგე და მოლარე დაპატიმრებულია და პურის დამზადების ჩაშლისათვის პასუხისგებაში არიან მიცემული (ადს).

სესხის რეალიზაციას არ ექცევა ყურადღება

განჯა, 22 აგვისტო. განჯის ოლქისათვის ახალი სესხის რეალიზაციის საკონტროლო ციფრი 870,000 მან. შეადგენს.

ჯერ-ჯერობით 200.000 მან. ობლიგაციებზე მოაწერეს ხელი, ხელის მოწერა კი ჩამოყალიბებულია მხოლოდ 15.000 მანეთზე.

დამნაშავენი არიან საკრედიტო დაწესებულებები, რომლებიც არ ამოწმებენ მათზე მიმაგრებულ კოლექტივებს და არ აძლევენ ინსტრუქციებს ხელის შემწყობ კომისიებს, უკანასკნელები კი ადმინისტრაციას არ უდგენენ ხელის მოსაწერ ფურცლებს.

სრულებით არ ტარდება ხელის მოწერა რკინის გზაზე. თვიური ხელფასის 270.000 მან. ფონდიდან ჯერ-ჯერობით არც ერთი ხელის მოწერა არ არის.

სართავ-საქსოვი ფაბრიკის 1.900 მუშიდან სესხზე 400 კაცმა მოაწერა ხელი.

სართავ - საქსოვი ფაბრიკის აშენებაზე მომუშავე 289 კაციდან სესხზე 134 მოაწერა ხელი.

კარგად ჩატარდა ხელის მოწერა ქალაქის საბჭოს კოლეგიაში.

ორჯერ იქნა მოწვეული ხელის შემწყობი კომისიების კონფერენცია, მაგრამ რადგან არავინ არ გამოცხადდა, ამიტომ კონფერენცია ორივეჯერ ჩაიშალა.

სოფლად სესხის გავრცელების შესახებ ადგილობრივი ორგანიზაციები არავითარ ცნობებს არ გზავნიან (ადს).

გარდატეხა კიდევ არ მომხდარა

განჯა, 22 აგვისტო. აგვისტოს მეოთხე ხუთდღეულში ორ რაიონში დამზადდა — 1 035 ცენტნერი პური (ხორბალი 748 ცენტ. და შვრია—287). კულაკებმა ამ ხუთდღეულში 59 ცენტნერი ჩააბარეს. ყაზახის და ტაუზის რაიონებს ხუთდღეულის განმავლობაში არც ერთი კილო პური არ ჩაუბარებიათ.

დამზადების გეგმის 12,2 პროცენტიდან, რომელიც კულაკებზე მოდის, დღემდე მხოლოდ 1 პროცენტია ჩაბარებული (ადს).

მანევრები განამტკიცებენ წითელ-ჯარის ბრძოლის უნარიანობას

ფართოდ გამოვიყენოთ მანევრები მშრომელთა გასაცნობად ბრძოლისა და თავდაცვის ხერხებთან

წარმატებით ჩავატაროთ მანევრები

მთავრდება წითელი არმიის საზაფხულო სწავლების პერიოდი. კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის ნაწილები უკვე შეუდგნენ მზადებას მანევრებისათვის. მათი მოქმედება მანევრებზე საშუალებას მოგვცემს შევაჯამოთ ის უდიდესი მუშაობა, რომელიც სწარმოებდა ყაზარმაში ერთი წლის განმავლობაში.

მანევრები, როგორც ყოველთვის, აგვირგვინებენ სწავლებას და მოითხოვენ ძალთა უაღრესად დაძაბვას. მხოლოდ მანევრებზე (ბრძოლის პირობებში) შეიძლება იმის გამორკვევა, თუ რა მიღწევები გვაქვს ტეხნიკური სწავლებისა და ნაწილთა და ცალკე ერთეულების შემჭიდროების საქმეში. მანევრებმა უნდა დაგვანახოს ჩვენი ჯარის მოქნილობა, სწრაფი მოძრაობის უნარიანობა.

კავკასიის წითელ-დროშოვანი არმიის მებრძოლებმა უნდა იცოდნენ, რომ მანევრების მძიმე და რთული პირობები გააკაჟებს მათ, რაც, სამხედრო ხელოვნების საუკეთესოდ შეთვისებასთან ერთად გამოამჟღავნებს ჩვენი მუშურ-გლეხური წითელი არმიის ლეგიონების, დივიზიების, საზღვაო და საჰაერო ფლოტის მზადყოფნას—დაიცვან მტრების თავდასხმისაგან სოციალისტური მშენებლობა და საბჭოთა კავშირის წითელი საზღვრები.

ისევე, როგორც გასული წლის მანევრების დროსაც, მომქმედ ნაწილთა მებრძოლები მანევრების დროს დაუკავშირდებიან გლეხობას. ეს გარემოება მებრძოლებმა მთლიანად უნდა გამოიყენონ ამიერ-კავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური კავშირის გასამტკიცებლად, კავშირის, რომელიც დღითი-დღე ძლიერდება და უზრუნველჰყოფს საბჭოთა ქვეყნის თავდაცვის უნარს.

მანევრებზე გამოსული წითელი არმიის ნაწილების მთელმა შემადგენლობამ, პარტპოლიტორგანიზაციების მეთაურობით და თაოსნობით, სწავლების დროს დახმარება უნდა გაუწიონ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება, მშრომელ გლეხობას იმ უდიდესი საკითხების მოგვარებაში, როგორიცაა, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სოციალისტურ საფუძვლებზე გარდაქმნა.

ჩვენს მანევრებში, ისევე როგორც წინადაც, მონაწილეობას მიიღებენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები და დაზგის მუშები, რომლებიც ორგანიზაციულად ჩამოყალიბებული არიან თავდაცვა-ავიაქიმის ერთეულებად. ამ რაზმების საშუალებით მანევრებისა და ალლუმების დროს კიდევ უფრო უნდა განვამტკიცოთ მუშურ-გლეხურ წითელი არმიის კავშირი მუშათა კლასთან, რომელიც ანხორციელებს პროლეტარიატის დიქტატურას.

მებრძოლი პროლეტარული მთლიანობის დროშის ქვეშ უნდა ჩატარდეს და ჩავატარებთ კიდეც მრავალეროვნებიან კავკასიის წითელ-დროშოვან არმიის მანევრებს.

პ. ავქსენტიევსკი.

სამზადისი წითელ ჯარში

ამხ. სტალინის სახელობის 1-ლი ქართ. მსრ. დივიზიის ნაწილები გაცხოველებით ემზადებიან მომავალი მანევრებისათვის.

ლეგიონები გადიან ცალკე ტაქტიკური მეცადინეობის ჩასატარებლად, რომ წინასწარ შეითვისონ ყველა საჭირო ცოდნა, რომელიც საჭიროა დიდი მანევრების დროს.

ამ დღეებში № ქართ. მსრ. ლეგიონმა ჩაატარა ტაქტიკური მეცადინეობა, რომლის მიზანი იყო იმის გამორკვევა, თუ მებრძოლებს და მეთაურებს როგორ აქვთ შეთვისებული ღამით მოძრაობის და მოულოდნელი იერიშის მიტანის ხერხები. „წითლების“ ნაწილებმა „ბრძოლის“ შემდეგ დაიკავეს „ლურჯების“ ყველა პოზიციები. მეცადინეობამ გამოაშკარავა, რომ მებრძოლებს ზაფხულის პერიოდში შეუთვისებიათ საკმაოდ დიდი ცოდნა და ამ ცოდნას იყენებენ სარგებლიანად და მოხერხებულად.

ლეგიონის პარტ. პოლიტაპარატმა სწავლების დროს გამოიჩინა მოქნილობა და თავისი უშუალო მონაწილეობით უზრუნველჰყო მეცადინეობის წარმატებით ჩატარება. მეცადინეობის დროს სწარმოებდა საუბრები, გამოცემულ იქნა კედლის გაზეთი და ბიულეტენი.

წითელ არმიელთა მთელი მასის გასაცნობად მომავალი მანევრების მიზნებსა და ამოცანებთან, ლეგიონებში მიმდინარეობს საუბრები, მოხსენებები. თვით ლეგიონების მეთაურები აკეთებენ მოხსენებებს მანევრების შესახებ. ამ დღეებში გამოვა მრავალტირაჟიანი გაზეთის სპეციალური ნომერი, სადაც ფართოდ იქნება გაშუქებული მანევრების მნიშვნელობა.

ცალკე ასეულების კედლის გაზეთები, თავისი მხრივ, მიაწვდიან არმიელებს საჭირო ცნობებს მანევრების ირგვლივ. კლუბები ამზადებენ ლოზუნგებს, პლაკატებს და მასალას, რომელიც საჭიროა სოფლად მუშაობის დროს.

აღსანიშნავია, რომ წითელი არმიელები დიდათ არიან დაინტერესებულნი მანევრებით, რაც თავდებია იმის, რომ დივიზია წარმატებით შეასრულებს დასახულ გეგმას და აჩვენებს ყველას, რომ იგი წარმოადგენს მძლავრ ერთეულს, რომელიც მზად არის გაუმკლავდეს მშრომელთა მტრებს.

ზ.

ავიაქიმი მანევრებზე

წითელი არმიის მომავალ მანევრებზე საქ. ავიაქიმის ქუთაისის ორგანიზაცია გზავნის ერთ ასეულს, რომლის ჩამოყალიბება და შეკრება უკვე დაწყებულია. ასეულის მთელი შემადგენლობის 8 პროც. იქნება კომკავშირელები, 10 პროც. ქალები. ასეული ივსება ავიაქიმის იმ წევრებით, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო ცოდნათა წრეების (1-ლი საფეხურის) მთლიანი კურსი.

საქ. ავიაქიმმა შუამდგომლობა აღძრა საქ. ტერიტორიალური სამმართველოს წინაშე ასეულისათვის მეთაურების გამოყოფის შესახებ თადარიგის მეთაურთა შემადგენლობიდან.

თბილისიდან ასეულის შესავსებად იგზავნება 6 საკავშირიოელი, ძაღლები და საფოსტო მტრედები.

ავიაქიმელები მანევრების დროს უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით.

მანევრების დაწყების წინ ქუთაისის ავიაქიმი ჩაატარებს წინასწარ კამპანიას იმ რაიონში, სადაც იწარმოებს მანევრები.

რადიო ემზადება მანევრებისათვის

რადიოს მეგობართა საზოგადოება შეუდგა სამზადისს მანევრებში მონაწილეობის მისაღებად. მანევრებზე მივლინებული იქნება 20 რადიოს მოყვარული 4 მოკლე ტალღიანი სადგურით.

რადიოს მოყვარულთაგან, რომლებიც წრეულ მიიღებენ მონაწილეობას მანევრებში, ბევრი არ იცნობს სამხედრო საქმეს და არა აქვთ არავითარი წარმოდგენა მანევრების მიზნებსა და ამოცანებზე. ამიტომ საჭიროა, რომ მანევრების დაწყებამდე ამ ამხანაგებთან ჩატარდეს წინასწარი მოსამზადებელი მუშაობა, რომ მანევრების დროს მათ შეეძლოთ დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულება.

საჭიროა აგრეთვე რომ რადიო-მოყვარულთა საზოგადოებამ ამ თავითვე იზრუნოს მანევრებზე მივლინებულ ამხანაგების მოსამზადებლად სამხედრო ტანისამოსით, საჭურველით და საჭირო ნივთებით.

26-ის რაიკომის პლენუმი

20 აგვისტოს მშენებელ მუშაკთა კლუბში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) 26-ის რაიკომის გაფართოებული პლენუმი, უჯრედების ბიუროების მდივნების და საქარხნო-საფაბრიკო კომიტეტების ფრაქციების წევრების თანდასწრებით.

პლენუმის დღის წესრიგში იდგა მხოლოდ 2 საკითხი: მოხსენება რაიონის პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ და 1929—30 წლის პარტსწავლების შედეგები და 1930-31 წლის პარტგანათლების ამოცანები.

რაიონის პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ მოხსენება გააკეთა საქ. კ. პ. (ბ) ცკის ინსტრუქტორმა ამხ. ზუბკოვმა.

მოხსენებამ გამოიწვია გაცხოველებული კამათი. კამათში გამოსული ორატორები ერთხმად იწონებდნენ საქ. კ. პ. (ბ) ცკას მიერ მიღებულ დადგენილებას 26-ის რაიონის პარტორგანიზაციის ზრდის და მოწესრიგების შესახებ. კამათში გამოსულ ამხანაგებს შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებები პარტიის რიგებში მუშათა ფართო მასების მიღებისა და მიღებულთა შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის გაძლიერებისათვის.

კამათისა და მოხსენების საბოლოო სიტყვის შემდეგ პლენუმმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ 26-ის რაიკომის პლენუმი მთლიანად იწონებს საქ. კ. პ. (ბ) ცკას დადგენილებას 26-ის რაიონის პარტორგანიზაციის ზრდისა და მოწესრიგების შესახებ. პლენუმი ცნობს ამ დადგენილებას სავსებით სწორად და დროულად. გარდა ამისა პლენუმის მიერ მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია რომ მომავალში მუშების პარტიაში მიღების დროს განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მუშა ქალების პარტიაში მიზიდვას; მიღებულ იქნეს ზომები, რათა მასიურად გაიშალოს სადელეგატო კრებები და ამ კრებებზე ჩაბმულ იქნეს მუშა ქალები. მუშა-ქალების პარტიაში მასიურად მიღების მიზნით მათ შორის უნდა გაძლიერდეს პოლიტიკურ-კულტურული მუშაობა.

1929-30 სამოსწავლო წლის შედეგებსა და მომავალი წლის პარტგანათლების ამოცანებზე მოხსენება გააკეთა ამხ. მაილიანმა.

მომხსენებელი შეჩერდა გასული წლის პარტგანათლების დეფექტებზე და მომავალი სამოსწავლო წლის პარტგანათლების ქსელის კიდევ უფრო ფართოდ გაშლაზე.

მოხსენების გარშემო გამართული კამათის დროს გამოსული ორატორები (ტომაევი, დანელიანი, კაზაროვი, კვაჭაძე და სხვა) აღნიშნავდნენ, რომ გასულ წელს პარტგანათლების სკოლები ბინებით არ იყვნენ უზრუნველყოფილი; მუშებს ცივ—ფანჯარაო ბინებში უხდებოდათ მეცადინეობა; არ ჰქონდათ სახელმძღვანელოები; განსაკუთრებით ნაკლებობა იყო ლიტერატურისა ნაციონალურ ენებზე; არ იყვნენ შერჩეული ხელმძღვანელები; ხშირად ხელმძღვანელები არ დადიოდნენ მეცადინეობაზე და სხვ. კამათის დროს გამოსულ ამხანაგებს შემოჰქონდათ საქმიანი წინადადებები მომავალი სამოსწავლო წლის პარტგანათლების ქსელის ფართოდ გაშლისათვის და სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის.

სათანადო რეზოლიუციის მიღების შემდეგ პლენუმი დაიხურა.

მისალმება საქ. კ. პ. (ბ) ცეკას

ხონის აბრეშუმის ძაფ-სალები ქარხნის მუშების საფაბრიკო კონფერენცია მხურვალე, ბოლშევიკურ სალამს უძღვნის საქ. კ. პ. (ბ) ცკას. ხონის ძაფ-სალებ ქარხნის მუშებმა სოც. შეჯიბრებისა და დამკვრელობის ფართოდ გაშლის საფუძველზე ივლისისთვის გეგმა 103 პროცენტით შეასრულეს. წინად ქარხანა საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ვერ ასრულებდა საწარმოო გეგმას. დღეს კი ფაბრიკამ მუშათა მასების ენტუზიაზმით შეძლო დანაკლისის ანაზღაურება. ქარხნის მუშები მომავალშიაც იბრძოლებენ საწარმოო საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად, იბრძოლებენ 5 წლიანი გეგმის—4 წელში შესრულებისათვის. ქარხნის მუშები თავს აცხადებენ მე-16 პარტყრილობის სახელობის დამკვრელებად. ჩვენ ქარხნის მუშები მტკიცედ ვიბრძოლებთ პარტიის გენერალურ ხაზის შეურყევლად გატარებისათვის.

საფაბრიკო კონფერენციის პრეზიდიუმი.

შრომის ორდენი

საქ. განათლების მუშაკთა კავშირს

მიმდინარე წლის საკონტროლო ციფრების თანახმად განათლების მუშაკთა კავშირს წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა ჩაეტარებინა 22.500 კაცს შორის. ამ საქმეს განათლების მუშაკებმა ადგილებზე განსაკუთრებული ხალისით მოჰკიდეს ხელი. ყველა ოლქებსა და მაზრებში გაგზავნილ იქნენ მუშაკები, გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა თვითეულ რაიონში. მიუხედავად იმისა, რომ ამ საქმეში განათლების მუშაკებს სხვადასხვა დაბრკოლებები ეღობებოდა წინ, ისინი მაინც მხნეთ განაგრძობდნენ მუშაობას, რამაც დიდი ნაყოფი გამოიღო არა მარტო ქალაქებსა და ქალაქების მახლობელ რაიონებში, არამედ მივარდნილ და ჩამორჩენილ რაიონებშიაც კი, სადაც განათლებას და კულტურას აქამდე ალმაცერად უყურებდნენ. მათი ასეთი ენერგიული მუშაობის შედეგად წერა - კითხვის უცოდინარობა აღმოფხვრილ იქნა 60.647 მშრომელ მოქალაქეს შორის. აქედან პროფკავშირის წევრებისა და მათი ოჯახის წევრთა რაოდენობა უდრის 1.0870, კოლმეურნეთა 8.250, საშუალო გლეხობა 14.418 კაცი, ღარიბი გლეხობა—24.469, მოჯამაგირე—957 და სხვ.

საქართველოს პროფსაბჭოს პლენუმმა შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ცაკის წინაშე, რათა ამ თავდადებული მუშაობისათვის განათლების მუშაკთა კავშირი დაჯილდოებული იქნას წითელი დროშის შრომის ორდენით.

საჰაერო გზა ქუთაისი-მესტია

ამიერ - კავკასიაში სამოქალაქო ავიაციის განვითარების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია უკვე მომქმედ ხაზებს 1931-32 წ. დაემატოს მხოლოდ ერთი ახალი გზა თბილისი - ერევანი.

ამჟამად საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიაში მუშავდება ხუთწლიან გეგმის დამატებები. ამიტომ საჭიროა ყოველივე ვიღონოთ, რომ გეგმაში შეტანილ იქნას საჰაერო გზა ქუთაისი - მესტია. ეს გზა ყოველმხრივ დიდად მნიშვნელოვანია.

სვანეთისა და საქართველოს ადმინისტრატიულ - პოლიტიკურ ცენტრის შემაერთებელ გზების სიძნელენი ახალი ამბავი არ არის.

საავტომობილო და, საერთოდ, საურმე გზების სრული უქონლობის გამო ტვირთს ცხენის საპალნეებით ეზიდებიან ბილიკებზე. ამ ბილიკებზედაც ზამთრის 6-8 თვეს მოძრაობა სრულიად შესწყდება ხოლმე. ყველა ეს მიზეზები ყოველთვის შემაფერხებელი იქნება სვანეთის, საქართველოს ამ ყოველი მხრით ჩამორჩენილ კუთხის, პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებისათვის. საგზაო მშენებლობა, თუნდაც ფართო მასშტაბით, კლიმატიურ პირობების გამო სვანეთის სატრანსპორტო სიძნელეებს ვერ დასძლევს. ვერ დასძლევს მახლობელ წლებში მაინც და ეს იმ დროს, როცა საქართველო კულტურულად გამალებით ვითარდება.

საჰაერო გზა ქუთაისი - მესტია დიდ დახმარებას გაუწევს სვანეთს. ეს კი ძალიან მოკლე დროში შეიძლება მოხდეს და უნდა მოხდეს კიდეც.

გზა ქუთაისი - მესტია ზუგდიდ-ჯვარის მიმართულებით 150 კილომეტრია, ხოლო ლაკფარის უღელტეხილზე 80 კილომეტრს უდრის. ამჟამად ამ გზის გავლას 4-5 დღე სჭირდება, აეროპლანით კი მხოლოდ ერთი საათი დასჭირდება ან საათ-ნახევარი, ატმოსფერული პირობების მიუხედავათაც კი. ხელის შემშლელი ამინდი (ბურუსი, დაბალი ღრუბლები) რასაკვირველია, წესიერ ფრენას შეაფერხებს, მაგრამ ასეთი შეფერხება, თუნდაც მან 1-2 დღეს გასტანოს, ფრენის სისწრაფით იქნება ანაზღაურებული.

ქუთაის - მესტიის საჰაერო გზა ნაფიქრი გვაქვს როგორც შტო არსებულ მაგისტრალისა — ბაქო - თბილისი - ქუთაისი - სოხუმი-სოჭი-როსტოვი.

მარტო ის გარემოება, რომ ქუთაისში საკვანძო სადგურია და მისი გამოყენება შეიძლება, თავისთავად ამარტივებს და აჩქარებს ამ ხაზის გამართვას, თანაც ამცირებს საორგანიზაციო და საექსპლოატაციო ხარჯებს.

საქართველოს ავიაქიმი - თავდაცვის საზოგადოებამ 1929 წლის ზაფხულში გამოიკვლია ზემო სვანეთში ადგილები. ქ. მესტიის მახლობლად 2-3 კილომეტრის დაშორებით გამოსადეგი მოედანი აღმოჩნდა.

საბჭოთა ავიომრეწველობა იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ გავმართოთ მუშაობა ამ ხაზზე. ჩვენ გვაქვს ისეთი ტიპის აეროპლანები, ექსპლოატაციით უკვე გამოცდილები, რომლებსაც შეიძლება თვლები და თხილამურები გაუკეთდეს. მაშინ საშიში არ იქნება სვანეთის მთიან რაიონის არც ტოპოგრაფიული და არც კლიმატიური პირობები.

ეს ხაზი ხარჯებს, რასაკვირველია, ვერ დაფარავს. საჰაერო ხაზები არც ჩვენში და არც ევროპაში ან ამერიკაში უსუბსიდიოთ ვერ მუშაობენ.

მაგრამ საჰაერო საზოგადოებები ფინანსიურად ყოველ წლივ მაგრდებიან, მთავრობისაგან დოტაციები მცირდება და სწრაფად ახლოვდება ის დღე, როცა საჰაერო გზები „თავისავე ფრთებით“ უზრუნველყოფენ თავის თავს მატერიალურად.

მ. მაჭავარიანი.

„ხუთწლიანი გეგმა—4 წელიწადში“

სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი კომისია

სესხის „ხუთწლედი—ოთხ წელიწადში“ უფრო წარმატებით რეალიზაციის მიზნით, ა.-კ. ცაკის დადგენილებით, შექმნილია სესხის რეალიზაციის ხელისშემწყობი ამიერ-კავკასიის კომისია, რომელშიაც შედიან ამხ. ვ. სტურუა (თავმჯდომარე), ა. ბეკზადიანი (თავმჯდ. მოადგილე), ფოლიანი, ანდრეევი, ხუმარიანი, იაკუბოვი, ლაკტიონოვი, კუზნეცოვი, პოზდეევი, კაკაბაძე და გიკი.

სესხის რეალიზაცია ამიერ-კავკასიაში.

20 აგვისტოსათვის ამიერ-კავკასიაში გასაღებული იყო 8.500.000 მან. ობლიგაცია. კერძოდ **აზერბეიჯანში** გასაღებულია 4.500.000 მან., **საქართველოში**—2.800.000 მან., **სომხეთში**—1.200.000 მან. ობლიგაცია.

პროფკავშირების მონაწილეობა სესხის რეალიზაციის კამპანიაში

ახალი სესხის „ხუთწლედი 4 წელიწადში“ წარმატებით გავრცელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ინდუსტრიალიზაციის ტემპის გაშლისათვის, ამიტომ მის გავრცელებას განსაკუთრებული გულისყურით უნდა მოეკიდონ პირველ რიგში პროფკავშირები, მაგრამ სამწუხაროდ ზოგიერთი პროფკავშირები ამ მხრივ სრულ უმოქმედობას იჩენს, ზოგი კიდევ ზერელედ მუშაობს. პროფკავშირები მეტ ნაწილად ჩამორჩებიან მასების ენტუზიაზმს. ძირითად პროფორგანოების სისუსტის გამო სესხზე ხელის მოწერა ვერ ტარდება ორგანიზაციულად. მუშების ჩამორჩენილ ნაწილში არ სწარმოებს შესაფერი ახსნა-განმარტება და სესხის მნიშვნელობის დამუშავება, სესხის უკეთეს გავრცელებისათვის არაა გაშლილი სოცშეჯიბრება და სხ.

ყველა ეს დეფექტები აღმოჩენილ იქნა სესხის გავრცელებაში პროფკავშირების მონაწილეობის შემოწმების დროს, სესხის გავრცელებაში განსაკუთრებით ჩამორჩება მშენებელთა კავშირი, რომელიც სუსტად ხელმძღვანელობს ძირითად პროფორგანოებს და სეზონურ მუშებს შორის არ აწარმოებს შესაფერ მუშაობას.

ზოგ შემთხვევაში, კავშირის ხელმძღვანელობის გარეშე, თვით მუშები იჩენენ ენტუზიაზმს და 2 კვირის ნაცვლად სესხზე ხელს აწერენ 1 თვის და მეტი ხელფასის რაოდენობით. ასე, მაგალითად, საამშენებლო სასწავლებლის მსმენელებმა, რომელთა 2 კვირის ხელფასი არ აღემატება 2437 მანეთს, სესხზე ხელი მოაწერეს 8005 მანეთის რაოდენობით.

ნაწილობრივ ასეთებს ადგილი აქვს ფეიქართა შორისაც. ფეიქართა კავშირში შედის 9 წარმოების მუშები. მათი 2 კვირის ხელფასის საერთო რაოდენობა უდრის 49.322 მანეთს, სესხზე ხელის მოწერა კი აღემატება 54.516 მანეთს.

საბჭოთა სავაჭრო მუშაკების კავშირმა არც კი იცის, თუ რა თანხის ობლიგაციებია მის წევრებს შორის გავრცელებული. კავშირის განცხადებით, საკონტროლო ციფრი შესრულებულია 100 პროცენტით, მაგრამ ადგილებზე შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ სესხზე ხელის მოწერა სუსტად სწარმოებს.

მელითონეთა კავშირში შედის 12 წარმოების მუშები, რომელთა 2 კვირის ხელფასი უდრის 138.211 მანეთს. მელითონეთა შორის სესხის საკონტროლო ციფრი შესრულებულია მხოლოდ 67 პროცენტით. ყველა წარმოებას სესხის გავრცელებაში ჩამორჩება 26 კომუნარის სახელობის ქარხანა. სესხზე ხელის მოწერა წარმატებით იქნა ჩატარებული მე2- ქარხკომში და თელასში.

მედსანშრომის მუშაკთა კავშირში ძალზე ჩამორჩენილია. მედსანშრომის მუშაკთა ორი კვირის ხელფასი უდრის 77.000 მანეთს, დღემდე კი გავრცელებულია მხოლოდ—30.000 მანეთის ობლიგაცია.

კომუნალურ მუშაკთა შორის ნაცვლად 82.805 მანეთისა გავრცელებული იქნა 57.523 მანეთის ობლიგაცია, ხოლო ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა შორის — ნაცვლად 60.000 მანეთისა, სესხზე ხელის მოწერა უდრის 57.000 მანეთს.

სხვა კავშირებში (მბეჭდავები, გამოკვება, სახ. კვება). არავითარი ცნობები არ მოეპოვებათ თავიანთ წევრთა შორის გავრცელებულ სესხის რაოდენობის შესახებ.

საჭიროა საჩქარო ზომების მიღება თოუყოვნებლივ გამოსასწორებლად, პროფსაბჭომ მიიღო სათანადო ზომები.

საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვება და სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაცია

(თათბირი საქ. ვაჭრობის კომისარიატში)

საქართველოს ვაჭრობის სახალხო კომისარიატში შესდგა სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების წარმომადგენელთა თათბირი საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებისა და სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაციის მსვლელობის შესახებ.

ვაჭრობის კომისარიატის წარმომადგენელ ამხ. კაკიტელაშვილის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებას ადგილებზე თითქმის არსად არ ექცევა სერიოზული ყურადღება და დამზადების გეგმა უმეტეს რაიონებში შეუსრულებელია. მიმდინარე სამეურნეო წლის პირველი ნახევრის დამზადების გეგმა აჭარისტანს შესრულებული აქვს 130 პროც-ს და თბილისის ოლქს 26 პროც-ს გადაჭარბებით. დანარჩენ რაიონებში ეს გეგმები შესრულებულია მხოლოდ 6-დან (სენაკის მაზრა) 85 პროც-მდე (კახეთის ოლქი).

ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება იმით, რომ „ზაკუტილი“-ს ქსელი ადგილებზე ვერ დგას სათანადო სიმაღლეზე; ადგილობრივ მუშაკებს არ ეძლევათ არავითარი მითითებები და ინსტრუქციები; „ზაკუტილი“-ს წარმომადგენლებსა და ადგილობრივ პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის არ არსებობს არავითარი კავშირი. ხშირად რაიონებში ამზადებენ საუტილიზაციო ნედლეულს, მაგრამ დამზადებული საქონელი რაიონიდან აღარ მიაქვთ და უნაყოფოდ ფუჭდება. დამზადებების დარაიონება სრულიად მოუგვარებელია. მაგ., ოზურგეთის რაიონში დამზადებას აწარმოებენ „ზაკუტილ“-ის ბათომისა და ქუთაისის პუნქტები, რასაც შედეგად მოჰყვა გაუგებრობები და დამზადება ამ რაიონში ჩაიშალა.

მთელ რიგ რაიონებში გამოუყენებელი დარჩა საუტილიზაციო ნედლეულის დასამზადებლად გამოყოფილი სამრეწველო საქონელი. არავითარი ყურადღება არ ექცევა აგრეთვე საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებას კოლმეურნეობებში. „ზაკუტილი“-ს გამგეობამ დამზადების შესახებ ხელშეკრულება დასდო საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრთან და ამით დაამთავრა თავისი საქმიანობა კოლმეურნეობებში, კოლმეურნეობათა ცენტრი კი საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებას არავითარ ყურადღებას არ აქცევს.

საუტილიზაციო ნედლეულის დამზადება სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული სამომხმარებლო კოოპერაციის მიერაც. სამომხმარებლო კოოპ. ადგილობრივ მუშაობის მეტი ნაწილი არ იცნობს ამ ნედლეულის დამზადების წესებს.

დასავლეთ საქართველოში ქალთა ორგანიზაციები სრულიად არ იღებენ მონაწილეობას ამ საქმეში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საუტილიზაციო ნედლეულის მთელი რაოდენობა დამზადებულია მხოლოდ კომკავშირის მიერ, რომლებმაც განსაკუთრებული ენერგია გამოიჩინეს ამ საქმეში. უკანასკნელ დროს კომკავშირსაც აუცრუვდა გული საუტილიზაციო ნედლეულის დამზადებაზე, ვინაიდან მათ მიერ დამზადებული საქონელი დიდი ხნობით რჩება ადგილზევე („ზაკუტილის“ პუნქტები არ იბარებენ) და ფუჭდება.

დამამზადებელ ორგანიზაციას („ზაკუტილ“-ს) დამზადების გეგმები არა აქვს დანაწილებული რაიონებზე. გამოკვლევის დროს დამტკიცდა, რომ დამზადების გეგმის შესრულება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ დამამზადებელი აპარატი ამ გეგმებს დაუნაწილებს ადგილებს და მუშაობას გააცხოველებს.

ასეთივე მდგომარეობაშია სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაცია, რომლის გეგმაც შესრულებულია მხოლოდ 0,4 პროცით.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თათბირმა წინადადება მისცა „ზაკუტილ“-ს სასწრაფოდ მიიღოს ზომები დამამზადებელი აპარატის გასაუმჯობესებლად ადგილებზე; დაუყოვნებლივ დაგზავნოს რაიონებში ინსტრუქტორები და განუმარტოს ადგილებს დამზადებისა და ჩაბარების წესები და ტეხნიკა; დაუყოვნებლივ გამოზიდოს რაიონებიდან დამზადებული საქონლის მთელი რაოდენობა და მომავალში აღარ დაუშვას დამზადებული საქონლის ადგილებზე დატოვება.

მასვე წინადადება მიეცა დამზადების შესახებ კონკრეტული ხელშეკრულებები ჩამოაყალიბოს კომკავშირთან, ქალთა ორგანიზაციასთან და სამომხმარებლო კოოპერაციასთან. დამზადების გეგმა ფოთის რაიონისათვის 178 ტონიდან შემცირდა 100 ტონამდე და ეს განსხვავება განაწილდა თბილისის ოლქსა და აჭარისტანს შორის.

კოლმეურნეობათა ცენტრს, ქალთა კომისიას და ცეკავშირს ეთხოვა მისცენ ადგილებს კატეგორიული წინადადება საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვების გაძლიერების შესახებ.

საქართველოს პროფსაბჭოს ეთხოვა გადამჭრელი ზომები მიიღოს სატრაქტორო ვალდებულებათა რეალიზაციის გასაცხოველებლად.

გამომცემლობა „ქართული წიგნი“

ამას წინედ მომხდარ ამხანაგობის წევრთა წლიურ კრებაზე, სადაც მოსმენილ იქნა ძველი გამგეობის წარსული მოღვაწეობის ანგარიში, საკმაოდ ნათელი გახდა გამომცემლობის მომავალი მუშაობის დიდი პერსპექტივები.

საზოგადო კრებამ საჭიროდ დაინახა, რომ ამხანაგობა „ქართული წიგნი“-ს მომავალი საქმიანობა გამოსულიყო ერთგვარ კარჩაკეტილობის მდგომარეობიდან, რომ ამხანაგობის საქმიანობაში აქტიურად ჩარეულიყო საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო წრეები და საგრძნობლად გადახალისებულიყო, როგორც ამხანაგობის მატერიალური ფუძე, აგრეთვე მისი საგამომცემლო-სარედაქციო გეგმებიც.

ამასთან დაკავშირებით საზოგადო კრებამ ჩამოაყალიბა ახალი გამგეობის შემადგენლობა ისეთნაირად, რომ საშუალება მისცა საბჭოთა აღმშენებლობისა და კერძოთ კულტურულ ფრონტზე აქტიურად მომუშავე ჯგუფებისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, თავისი წვლილი შეიტანონ „ქართული წიგნი“-ს მომავალი მუშაობის გაძლიერებისა და გაფართოების საქმეში.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ნ. მიწიშვილი, ს. დევდარიანი, ლ. ქიაჩელი, ს. დოლიძე, ს. ხუნდაძე, შ. რადიანი, ს. წერეთავა, ს. აბაშელი, ს. ჩიქოვანი, პ. ინგოროყვა, დ. გოჩიტაშვილი.

კანდიდატებათ: კოსტ. ლორთქიფანიძე, კრ. რაჭველიშვილი, დ. დემეტრაძე, პროფ. გ. ახვლედიანი. სარევიზიო კომისიაში: ს. ეული, ბ. ეღნატი, ინწკირველი, ვ. რუხაძე, ს. ყაუხჩიშვილი.

გამგეობამ თავის პირველ სხდომაზე შემდეგნაირად ჩამოაყალიბა თავისი სამუშაო აპარატი: გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ამხ. ს. ხუნდაძე, გამგეობის მდივნად ამხ. ს. ჩიქოვანი, გამომცემლობის დირექტორად ამხ. ნ მიწიშვილი, რომელსაც დაევალა გამომცემლობის მიმდინარე ოპერატიული მუშაობის პრაქტიკული ხელმძღვანელობა. გამომცემლობის შტატი დარჩა უცვლელად.

იმ მოკლე ხნის განმავლობაში, რომელიც გავიდა ამ სამუშაო აპარატის ჩამოყალიბების შემდეგ, ჩატარებულ იქნა მთელი რიგი მნიშვნელოვან-პრაქტიკული ღონისძიებებისა, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა „ქართული წიგნი“-ს აწინდელ მუშაობაში.

1) სათანადო ხელმძღვანელ ორგანიზაციებთან მოლაპარაკების შედეგად ამ ორგანიზაციების მიერ საბოლოოდ იქნა დადასტურებული რომ „ქართული წიგნი“ მიჩნეულ იქნას იმ ძირითად საგამომცემლო ორგანიზაციად, რომლის ხელშიაც მოთავსებულ იქნება ქართველი, რუსი და უცხოელი კლასიკოსების გამოცემა.

ამრიგად, „ქართულ წიგნს“ მიენიჭა ძირითადი უპირატესობა კლასიკური მწერლობის გამოცემის საქმეში და, მაშასადამე, ეს გამომცემლობა აღიარებულია კლასიკური მწერლობის გამომცემელ ერთად-ერთ ორგანიზაციად. თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს გამომცემლობისათვის ამ გადაწყვეტილებას, ამის განმარტება, ვფიქრობ საჭირო აღარაა.

2) ყოველგვარი პარალელიზმის თავიდან ასაცილებლად მიჩნეულ იქნა საჭიროდ, რათა გადაეცეს ქართულ წიგნს ყველა იმ კლასიკოსების თხზულებანი, რომელნიც ამჟამად სახელგამის პორტფელშია, ან დასაბეჭდათაა გამზადილი, ან უკვე იბეჭდება.

ამ ნიადაგზე გამომცემლობამ უკვე გამართა სახელგამთან პრაქტიკული მოლაპარაკება და მიიღო მისგან დასტური ყველა ზემოხსენებული ხასიათის წიგნების „ქართულ წიგნზე“ გადაცემის შესახებ.

როგორც ვიცით აქამდე სახელგამთან არსებობდა კლასიკური მწერლობის სექცია. ამ სექციის ხაზით და აგრეთვე სახელგამის სარედაქციო კოლეგიის მიერ გამზადებულ იქნა დასაბეჭდათ შემდეგი ავტორები: 1) ვაჟა-ფშაველა, — „პოემები“, ს. აბაშელის რედაქციით. დაახლოებით ვ.-ფშაველას თხზულებანი გამოვა 6 ტომად. 2) დ. გურამიშვილი — „დავითიანი“, ლექსთა სრული კრებული [illegible] ლის და ა. ბარამიძის რედაქციით და პროფ. კეკელიძის საერთო ხელმძღვანელობით. 3) ნოდარ ციციშვილი — „ბარამ გურიანი“, სპარსულიდან თარგმნილი ჯერ გამოუქვეყნებელი პოემა პროფ. კეკელიძის რედაქციით. 4) გ. წერეთელი—„თხზულებათა სრული კრებული“ ს. ხუნდაძის რედაქციით, იბეჭდება პირველი ტომი -პოლიტიკური წერილები. 5) მელიქსეთ-ბეგი — „საიათნოვა“ მონოგრაფია. 6) ე. ნინოშვილი—„თხზულებათა სრული კრებული“ ს. ხუნდაძის რედაქციით. 7) ი. ევდოშვილი — „ლექსები“ მ. ზანდუკელის და ს. აბაშელის რედაქციით, 8) ერკმან შატრიანი — გლეხი კაცის ისტორია“ ივ. მაჭავარიანის თარგმანი ფრანგულიდან. 9) ალფონს დოდე — „ტარტარენ—ტარასკონელი“ ივ. მაჭავარიანის თარგმანი ფრანგულიდან. 10) ჰ. ბალზაკი — „შაგრენის ტყავი“. რომანი გ. ქიქოძის მიერ თარგმნილი ფრანგულიდან. 11) დანიელ ჭონქაძე — „სურამის ციხე“ ავტორის ბიოგრაფიით, ამხ. ფ. მახარაძის წინასიტყვაობით და მ. ზანდუკელის რედაქციით. 12) გ. მოპასანი — „ლამაზი მეგობარი“ რომანი. ფრანგულიდან თარგმნილი მიხ. ჯავახიშვილის მიერ. 13) „ვისრამიანი“ — პროფ. კ. კეკელიძის რედაქციით. 14) ხალხური ზეპირ-სიტყვიერება (მთა) ჯერ გამოუქვეყნებელი, ტასალა პროფ. აკ. შანიძის რედაქციით.

ზემოხსენებული წიგნებიდან ა.-წ. დამლევამდე გამოვა ვაჟას პოემები, „გლეხი კაცის ისტორია“, ბარამ გურიანი“, გ. წერეთლის პოლიტიკური წერილები, დ. გურამიშვილის ლექსთა კრებული, საიათნოვა, ალფონს დოდე, ხალხური ზეპირ-სიტყვიერება და ქართული წიგნის ხაზით ადრევე სტამბაზე გადაცემული „რუსულ-ქართული ლექსიკონი“, პროფ. გ. ახვლედიანის რედაქციით, ნიკო ნიკოლაძის რჩეული ნაწერების პირველი ტომი, ს. თავაძის რომანი—გზა მეწამული, ილია ჭავჭავაძის 11 ტომი, ს. ეულის პოემა—დიად დღეებზე.

გარდა ამისა სექტემბრის პირველ რიცხვებში საბოლოოდ ჩამოყალიბდება გამომცემლობის სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობა და ახალი გეგმის შედგენის საბოლოო პერსპექტივები.

პაის გადიდების საკითხიც ზოგადად დამუშავებულ იქნა სათანადო ორგანოებთან შეთანხმებით და სრული უფლება გვაქვს ვივარაუდოთ რომ წლის დამლევისათვის ახალი წევრების მიერ გამომცემლობის თანხა 100000 მანეთამდე მიაღწევს.

4) გამომცემლობა მჭიდროდ დაუკავშირდა მწერალთა ფედერაციას. გადაწყვეტილია გამოიცეს ფედერაციის ათ-დღიური სალიტერატურო-საზოგადოებრივი ხასიათის გაზეთი, რომლის გამოცემა დაევალა „ქართულ წიგნს“. რასაკვირველია, ამისათვის გამომცემლობას მიეცემა წინასწარი სათანადო მატერიალური გარანტიები. ეს გაზეთი უფრო დაუკავშირებს გამომცემლობასა და ქართულ მწერლებს და მეორეს მხრივ, ამხანაგობის წევრებსაც მეტი საშუალება მიეცემა თვალყური ადევნონ გამომცემლობის საქმიანობას, ვინაიდან ეს მხარე საკმაო ადგილს დაიჭერს ფედერაციის ორგანოს ფურცლებზე.

5) გამომცემლობის მიერ შედგენილ იქნა საკუთარი სამკინძაო სახელოსნო, რომელიც წიგნის გაფორმების საქმეში გამომცემლობისათვის დიდ საჭიროებას წარმოადგენდა.

ამრიგად გვაქვს ყოველგვარი საბუთი, ვიფიქროთ, რომ „ქართული წიგნი“ს მუშაობა ამ ახალ ეტაპზე უსათუოდ ნაყოფიერი იქნება. ამ ეტაპზე „ქართული წიგნი“ გამოდის საბჭოთა საზოგადოებრივი მუშაობის ფართო ასპარეზზე და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ყოველი მოქალაქე ვინც კი დაინტერესებულია საბჭოთა საქართველოს წინსვლით კულტურული რევოლიუციის ფრონტზე, თავის თანაგრძნობითა და ყურადღებით ხელს შეუწყობს ამ გამომცემლობის საქმიანობას.

ნიკოლოზ მიწიშვილი.

შემოდგომის მატყლის დამზადების გეგმა

ვაჭრობის კომისარიატმა დაამტკიცა შემოდგომის მატყლის დამზადების გეგმა, რომლის მიხედვით მომავალ შემოდგომაზე უნდა დამზადდეს სულ 1147,7 ტონა მატყლი. აქედან ბატკნის მატყლი უნდა დამზადდეს 329,5 ტონა. დამამზადებელ ორგანიზაციათა შორის დამზადების გეგმა შემდეგნაირად არის განაწილებული: მერძევე-მესაქონლეთა კავშირმა უნდა დაამზადოს—1088,6 ტონა, ცეკავშირმა (მარტო ახალციხეში)—20 ტონა, საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა 31,2 ტონა და „სოიუზშიასი“-მ—7,9 ტონა.

მერძევე-მესაქონლეთა კავშირმა ახალქალაქის რაიონში უნდა დაამზადოს 12 ტონა, ბოგდანოვის რაიონში—18, ბორჩალოს რაიონში—4,1, სტალინისის—7,7, გორის—11,5, კასპის რაიონში—6,1, სამხრეთ ოსეთში—39,8; არაგვის-ხევში—128,4, თერგის ხევში—133, თიონეთში—16; თბილისის რაიონში—46, მანგლისის რაიონში—4,4, ალბულაღში—9,5, წალკაში—40,7, სანდარში—82,5 ბაშკიჩეთში—44.2, ყარაიაში—64,1; საგარეჯოში—34,5, გურჯაანში —52.6; სიღნაღში—130, თელავში—138 და აფხაზეთში —5.5 ტონა მატყლი.

დამამზადებელი ორგანიზაციები ვალდებული არიან დამზადების გეგმები რაიონში მუშათა ბრიგადების თანადასწრებით დაყონ ცალკე პუნქტებზე.

თუ მესაქონლეთა კავშირმა ვერ შესძლო თავის რაიონებში ბაზარზე გამოტანილ მატყლის მთლიანად დამზადება, იგი ვალდებულია ამ საქმეში დაიხმაროს სამომხმარებლო კოოპერაცია.

მატყლის კერძო დამამზადებლების წინააღმდეგ მიღებული იქნება გადამჭრელი ადმინისტრატიული ზომები.

მესაქონლეთა კავშირს ევალება მისცეს განკარგულება თავის დამამზადებელ პუნქტებს, რათა მათ მჭიდრო კავშირი იქონიონ სავაჭრო განყოფილებებთან და რაიაღმასკომებთან, რომლებსაც დამზადების მსვლელობის შესახებ სისტემატიურად უნდა მიაწოდონ დეკადური ცნობები. ასეთივე ცნობები უნდა მიაწოდონ სისტემატიურად ვაჭრობის კომისარიატს.

ცეკავშირის წინადადება მიეცა გეგმის გარეშე, მომხმარებელ რაიონებში მოაწყოს მატყლის თავისუფალი დამზადება.

მეცნიერება და ტეხნიკა

როგორ დავიცვათ კვერცხი გაფუჭებისაგან*)

სანამ საკითხის უშუალოდ განხილვას შევუდგებოდეთ, ინტერეს მოკლებული არ იქნება მოკლედ შევჩერდეთ იმაზე, თუ რა იწვევს კვერცხის გაფუჭებას. ძირითადი მიზეზები შემდეგია:

1) აორთქლება, რის შედეგსაც წარმოადგენს შემცირება წონისა და მოცულობის, რასაც თან სდევს ჰაერის მოცულობის შესაფერი გადიდება კვერცხის შიგნით. ეს პროცესი საგრძნობლად ჩქარდება ტემპერატურის გადიდებისა და კვერცხის გარშემო მყოფი ჰაერის სინესტის შემცირების დროს.

2) კვერცხის ნაჭუჭის ნასვრეტებიდან მიკრობების შეჭრა კვერცხის შიგნით, რაც წარმოადგენს ბინძური ბუდეების, კვერცხის ბინძურათ შენახვის ან ბინძური ხელის შეხების შედეგს.

3) წყალი სპობს ბუნებრივ წებოვან ფენას, რომელიც ფარავს კვერცხის ნაჭუჭს და გაფუჭებისაგან იცავს მას განსაზღვრული დროის განმავლობაში. ამიტომ შემთხვევით დასველებული ან გარეცხილი კვერცხები ჩქარა ფუჭდება და არ უნდა იქნას დატოვებული შესანახად.

კვერცხის შენახვა ისე, რომ არ გაფუჭდეს, უკვე დიდი ხანია იპყრობდა სპეციალისტების ყურადღებას და ამ პრობლემის გადასაჭრელად მრავალი ცდები იქნა ჩატარებული. ამ ცდების შედეგად შემუშავებული იქნა მრავალი მეთოდი კვერცხის შენახვისა, რომელთაც მრავალი დადებითი მხარეები ახასიათებს, მაგრამ კომერციულად არ არის ხელსაყრელი. ყველაზე საინტერესო და ყველაზე ძვირფას მეთოდს წარმოადგენს კვერცხის დაფარვა ზეთის ფენით, რომელიც ხურავს ნასვრეტებს კვერცხის ნაჭუჭში.

ამ უკანასკნელ ხანებში ამ უბრალო მეთოდმა დიდი კომერციული მნიშვნელობა მოიპოვა შეერთებულ შტატებში და დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამჟამად ასეთი დამცველი ფენით არ იფარება მხოლოდ უმცირესი ნაწილი იმ კვერცხებისა, რომელიც იგზავნება შესანახად მაცივრებში ან სხვა შესანახ საწყობებში. ამ მეთოდის უპირატესობის დამტკიცება ადვილად შეიძლება ცდით: ხანგრძლივი შენახვისაგან ხელოვნურ დეგიდრატორების გამოყენების დროს ზეთოვანი ფენით დაუფარველი კვერცხები ათჯერ უფრო ადრე ორთქლდება, ვიდრე ის კვერცხები, რომლებმაც ეს პროცესი გაიარეს.

რაში მდგომარეობს ეს პროცესი? კვერცხის ნაჭუჭში არის ნასვრეტები, რომლებიც საშუალებას აძლევენ ჰაერს შეიჭრას კვერცხში და გამოვიდეს იქიდან. როცა კვერცხის ზედა პირი იფარება ზეთის ფენით, იგი ავსებს ნასვრეტებს. თუ ზეთი არ ორთქლდება ოთახის ტემპერატურის პირობებში, იგი ხურავს კვერცხის ნაჭუჭის ნასვრეტებს და ხელს უშლის კვერცხის აორთქლებას და უცხო სუნის შეჭრას მასში. ასეთია მთავარი ფაქტორები, რომლებზედაც დამოკიდებულია ზემოთ აღწერილ პროცესის წარმატება.

ვინაიდან ზეთი გათბოშის დროს კარგავს წებოვან თვისებებს, კვერცხზე რჩება უფრო თხელი ფენა ზეთისა რომელიც ადვილად იჭრება ნაჭუჭის ნასვრეტებში, გაცივების შემდეგ კი ზეთი კვლავ წებოვანი ხდება და ამრიგად ხურავს კვერცხის ნაჭუჭის ყველა ნასვრეტებს.

ზემოთქმულიდან ნათელია, რომ შესაფერი ზეთის შერჩევა მეტად მნიშვნელოვანი საკითხია. ამ მიზნისათვის გამოსადეგია ყველა ხარისხის ზეთი, რომელსაც შესაფერი წებოვანი თვისებები აქვს და არ ფუჭდება. მცენარეულობის ზეთები არ ვარგა, ვინაიდან განსაზღვრული დროის შემდეგ მათ მჟავე გემო ეძლევა. ასევე გამოუსადეგარია აგრეთვე, სუნის, გემოსა და ფერის გამო, ჩვეულებრივი მინერალური ზეთები.

ყველაზე უფრო გამოსადეგია შესაფერი წებოვნობის მქონე გაწმენდილი მინერალური ზეთი, რომელსაც არა აქვს სუნი, გემო და ფერი. უკანასკნელ დრომდე დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ზეთის ტემპერატურასა და დროს, რომლის განმავლობაში კვერცხი მოთავსებულ იყო მასში.

მაგრამ ცივი ზეთის გამოყენება და კარგი შედეგების მიღება, ამტკიცებს, რომ ზეთის ტემპერატურა არ თამაშობს პირველხარისხოვან როლს ამ პროცესში. ამტკიცებდენ აგრეთვე, რომ მაღალი ტემპერატურის დროს კვერცხში მყოფი ჰაერი ფართოვდება და მისი ნაწილი გამოდის გარეთ, გაცივების დროს კი კვერცხში შედის წმინდა ჰაერიო. მაგრამ შემცდარი იქნებოდა ასეთი მოვლენები ხელსაყრელად დაგვესახა. პირიქით, კვერცხში შემავალ ჰაერში შეიძლება იყოს ობის ბაქტერიები, რითაც, ალბად, აიხსნება შავი ლაქები კვერცხში, რომლებსაც ხშირად ხვდებით მაღალი ტემპერატურის დროს ზეთში ამოვლებულ კვერცხებში.

კიდევ ერთ ნაკლს მაღალი ტემპერატურის დროს ზეთში ამოვლებული კვერცხისას, წარმოადგენს გამაგრება შინაგანი გარსის, რომელიც კვერცხის ხორცს ედება მისი მოხარშვის დროს. ეს ხდება მხოლოდ კვერცხის ხარშვის დროს და ცხელ წყალში, მაგრამ არ არის შემჩნეული მისი მომზადების დროს სხვა წესით.

მაღალი ტემპერატურის მომხრეები იმ აზრს გამოსთქვამდენ, აგრეთვე, რომ მაღალი ტემპერატურა იწვევს ალბუმინის დაშლას ნაჭუჭს ქვეშ და რომ ალბუმინის ეს ფენა იცავს კვერცხს გაფუჭებისაგან. რომ ეს მართალი იყოს, ისეთივე ტემპერატურის გავლენის ქვეშ მოქცეულ კვერცხებს ისეთივე ეფექტი უნდა მოეცა, როგორც ზეთში ამოვლების დროს, რაც ცდებით არ დადასტურდა.

არც იმას აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენ ხანს დავტოვებთ კვერცხს ზეთში. ცდებმა დაამტკიცა, რომ ზეთი, რომელიც შეიცავს ადვილად დასაშლელ საღებავებს, გადის კვერცხის ნასვრეტებში და კვერცხის შიგნით შეიძლება შენიშნულ იქნას გარეშე იმ დროისა, თუ რამდენხანს დავტოვოთ კვერცხი მასში. პროცესი კვერცხის ამოვლებისა ზეთში შეიძლება შევადაროთ მავთულის ბადის შეღებვას: თუ ბადე წვრილია, საღებავის თხელი ფენა დარჩება ჭუჭრუტანებში და ისე დაფარავს მას, რომ აღარ გაატარებს წყალსა და ჰაერს.

ამ წერილში მოყვანილი აზრები დამყარებულია მთელ რიგ ლაბორატორიულ ცდებზე და მათ პრაქტიკულ გამოყენებაზე მრავალი წლების განმავლობაში.

ბ. ე. კენნედი.

---

*) ეს წერილი, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ამერიკელ სპეციალისტს გ. კენნედის, მოღებულია „ამტორგის“ საკვებ ნივთიერებათა ბიუროს ბიულეტენიდან „პიშჩინდუსტრია“ (№ 10, ნიუ-იორკი).

ეტილენი და ხილის დამწიფება მოკრეფის შემდეგ

ჟურნალში „ჩელოვეკ ი პრიროდა“ მოყვანილია მეტად საინტერესო ცნობები ხილის ხელოვნურად დამწიფების შესახებ მოკრეფის შემდეგ და კერძოთ იმ ცდების შესახებ, რომელსაც ამ მიმართულებით აწარმოებს აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო სადგური.

მცენარის ზრდის დაჩქარების და კერძოდ მოკრეფილი ხილისა და ბოსტნეულის ხელოვნურად დამწიფების წესის ძებნა, — სწერს შენიშვნის ავტორი დ. ვ., — უკანასკნელ წლებში სწარმოებს ორი მიმართულებით: 1) ცვლიან გარემოს ფიზიკურ პირობებს (ტემპერატურის, განათების), — ეს არის გზა, რომლითაც პროფ. მაქსიმოვის ლენინგრადის სკოლამ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია, 2) ან ნაყოფზე მოქმედობენ ქიმიურ საშუალებით. ამ უკანასკნელ საშუალებათა შორის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ხილზე და ბოსტნეულზე გაზისებურ ელემენტით — ეტილენით ზეგავლენის მოხდენის მეთოდს, რომელიც 1927 წ. შეიმუშავა გარვეიმ*) (ამერიკა). ვ. მ. კოზლოვმა აფხაზეთის სასოფლო - სამეურნეო საცდელ სადგურში იმავე 1927 წ. ეტილენიზაცია გამოიყენა დაუმწიფებელ პამიდორის, მანდარინების, იაპონური ხურმისა და შემდეგ ბანანების დასამწიფებლად. სადგური მიზნად ისახავდა — არა მარტო შეემოწმებია ფაქტი ზრდის აქტივიზაციისა საბჭოთა სუბტროპიკების პირობებში, არამედ, თუ ეს შესაძლებელი შეიქნებოდა, ამასთან ერთად გაედიდებია ეთეროვან ზეთების შემადგენლობა ციტრუსოვან მცენარეთა ქერქში.

გარვეის მეთოდი მდგომარეობს გაზისებური ეტილენის გამოყენებაში (შეფარდება 1:1.000) იმ ჰაერის მიმართ, რომელიც გარს აკრავს ხილსა და ბოსტნეულს. ეტილენი საგრძნობათ აჩქარებს დამწიფებას: ხილი მწიფდება 3-4 დღეში, ზოგიერთ შემთხვევებში კი (ატამი, ხურმა) 24-42 საათში. გარდა ამისა, ეტილენიზაცია აძლიერებს და აუმჯობესებს ხილის სურნელობას, მრავალ შემთხვევებში კი საგრძნობლად აუმჯობესებს მათ გემოსაც.

გარდა იმისა, რომ ეტილენიზაციას დიდი მნიშვნელობა აქვს ხილის ტრანსპორტის საქმეში, განსაკუთრებით — სუბტროპიკული ხილისათვის, რომელიც ვერ უძლებს დიდხანს შენახვას და გადაზიდვას, მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმ გარემოებას, რომ დაუმწიფებელი ხილისათვის მავნებლები ნაკლებ საშიშია და ამიტომ იგი დიდხანს ინახება. თუ, როგორც შეიძლება ვიფიქროთ, დამწიფების დაჩქარება გავლენას ახდენს მთელს მცენარეზე, მაშინ ეტილენიზაციას შეუძლია დიდი როლი ითამაშოს მრავალ სხვა სასოფლო - სამეურნეო დარგებშიაც, მაგალითად თამბაქოს მცენარის უკანასკნელ (წვეროს) ფოთლების დამწიფებაში, ყურძნის სურნელების გაძლიერებაში და ღვინის ხარისხის გაუმჯობესებაში.

დაბოლოს, ის გარემოება, რომ ეტილენის ხვედრითი წონა უახლოვდება ჰაერის ხვედრითი წონას, აადვილებს და, სავსებით მისაწვდომათ ხდის მისი გამოყენების ამოცანას. ეტილენის მიღება შეიძლება, როგორც დამატებითი პროდუქტის, სხვადასხვა წარმოებიდან. ეს გარემოება განსაზღვრავს ამ გაზის სიაფეს. მაღალი ხვედრითი წონის გამო ეტილენი ძლიერ ნელა ვრცელდება ჰაერში.

ეტილენს იღებენ ან ძველი წესით — სპირტის დამუშავებით უწყლო, (შესაძლებლობის ფარგლებში) გოგირდმჟავათი (შეფარდება 1:5) ან აკადემიკოს იპატიევის წესით: ღვინის სპირტის ორთქლს ატარებენ ალიუმინის ჟანგს ან კაოლინს (ფაიფურის თიხა) ზევით, საეტილენიზაციო კამერებში (ამ მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას უბრალო ფანერის ყუთები, ზომით 60×60×60 სანტიმეტრი) დაცული უნდა იქნას თანაბარი ტემპერატურა 18-22 გრადუსის ფარგლებში (ცელსიუსით).

ცდების ზემოხსენებული პირველი სერიის ჩატარების დროს (1927 წ.), არა მარტო დადასტურდა ეტილენის აქტიური ზეგავლენა ხილზე და ბოსტნეულზე, არამედ აგრეთვე გამოირკვა, რომ ეტილენმა გამოიწვია ეთეროვან ზეთების 21-9 პროც. გადიდება გერანში და 11-12 პროც., როზმარინში. კიდევ უფრო განსაკუთრებული შედეგები იქნა მიღებული თურქეთის ფორთოხლის მიმართ: ეთეროვან ზეთების რაოდენობა ეტილენის ზეგავლენით საკონტროლო ხილთან შედარებით, გაიზარდა 20,3-დან 104,3 პროცენტამდე. ეთეროვან ზეთის ასეთი სხვადასხვა რაოდენობით გადიდება აიხსნება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით ცალკე ცდების დროს.

უფრო გვიანი ცდები (1929 წ.), რომლებიც მიმდინარე წელს იქნება განმეორებული, შეეხებოდა ტყის მჟავე ვაშლს და ბანანებს. ცდები ჩატარებულ იქნა პრო. ლ. ნ ვოსკრესენსკის გეგმით (მაიმუნების ფერმში დამწიფების თვეები უნდებოდა, ეტილე გარემოებამ, რომ მაიმუნებმა არ სჭამეს ადგილობრივი ტყის ვაშლი და უცხოეთიდან ჩამოტანილი დაუმწიფებელი ბანანები. მიღებულ იქნა განსხვავება დამწიფების ვადებში. იმ დროს, როცა ბუნებრივ პირობებში დამწიფების თვეები უნდებოდა, ეტილენის ზეგავლენით დამწიფებას დასჭირდა 3-6 დღე. უკვე მეექვსე დღეს მწვანე ბანანებს ყვითელი ფერი ჰქონდა და კანი ადვილად სძვრებოდა. ამასთან ერთად, ეტილენით დამწიფებული ბანანები თავისით დამწიფებულ საკონტროლო ბანანებისაგან გაირჩეოდნენ მშვენიერ გემოთი და სასიამოვნო სურნელობით.

შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ეტილენის გამოყენებას საბჭოთა მებაღეობა - მებოსტნეობაში, განსაკუთრებით სუბტროპიკულ რაიონებში, ფართო პრაქტიკული პერსპექტივები ეშლება. მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სურნელოვან მცენარეთა ეტილენიზაციას, რომელიც, როგორც ჩვენ დავინახეთ, იწვევს ეთეროვან ზეთების რაოდენობის საგრძნობათ გადიდებას მცენარეებში. ეს ეთეროვანი ზეთები. როგორც არომატით, ისე ქიმიური შემადგენლობით სავსებით დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა.

---

*) ეტილენის საშუალებით ხილის დამწიფების ცდებზე თავის დროზე მოთავსებული გვქონდა ცნობა „კომუნისტი“-ს მეცნიერებისა და ტეხნიკის განყოფილებაში.

ულტრაიისფერი სხივები მწერების წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში ულტრა-იისფერმა სხივებმა გამოყენება ჰპოვა კიდევ ერთ დარგში, სახელდობრ — სხვადასხვა მავნებელ მწერებთან ბრძოლის საქმეში. წინააღმდეგ ადამიანისა, რომელიც მხედველობის აპარატს ამ სხივების შეგრძნობა არ შეუძლია. მწერები მათ (ულტრა-იისფერ სხივებს) მშვენივრად ხედავენ და მიეშურებიან მისკენ გაცილებით უფრო ენერგიულად, ვიდრე ჩვეულებრივ სინათლეზე.

ასე მაგალითად, პეპლები, რომლებიც კლაკნილი გზით დაფრინავენ და წამდაუწუმ იცვლიან მიმართულებას, ულტრა-იისფერი სხივების მოქმედების სფეროში ერთბაშად სცვლიან თავისი ფრენის ხასიათს და მიეშურებიან პირდაპირ სხივების წყაროსაკენ, სწორი მიმართულებიდან გადაუხრელად. შემდეგ, სრულიად მოულოდნელად აღმოჩნდა. რომ მწერები მეტად თავისებურად განიცდიან ოზონის გავლენას. ოზონი ჩვეულებრივ ჟანგბადიდან წარმოიშობა ელექტრონულ დაცლის ან ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით.

მარსელში,, გამოფენაზე, მოთავსებული იყო სამკურნალო მიზნებისათვის დანიშნული კვარცის ლამპა. ერთი-ერთი ლამპის სხივები ეცემოდა იატაკზე დაგებულ ფარდაგზე. თანდათანობით სინათლის არეში ფარდაგზე თავმოყრა იწყეს ჩიანჩველებმა, რომლებიც ყოველი მხრიდან მოეშურებოდნენ სინათლის არეში მოხვედრისთანავე, ჩიანჩველები თითქო გრძნობას ჰკარგავდნენ და უძრავად რჩებოდნენ ერთ ადგილზე.

ჩქარა ფარდაგზე იმდენი ჩიანჩველები შეგროვდა, რომ ახლად მოსულები წინად მოსულებს ალაგდებოდნენ ზოგზე და სულ მოკლე ხანში ფარდაგზე წარმოიშვა რამდენიმე სანტიმეტრის სისქე ჩიანჩველების ფენა. მწერებისაგან თავის დაღწევის მიზნით საჭირო შეიქნა მტვერის შემსრუტავი აპარატის ამუშავება. აღსანიშნავია, რომ ჩიანჩველები ამ შემთხვევაშიც უძრავად დარჩნენ და არ უცდიათ გაქცევა.

მწერების ასეთი მდგომარეობის მიზეზს წარმოადგენდა ოზონი, რომელიც კვარცის ლამპის ულტრა-იისფერი სხივების ზეგავლენით წარმოიშვა. ამ დასკვნას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ ქარიშხალის შემდეგ, როცა ოზონის რაოდენობა ჰაერში მატულობს, ყველგან ვხვდებით გრძნობა-დაკარგულ მწერებს, რომლებიც გონს მოდიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა ნიავი გაჰფანტავს ოზონს.

დაკვირვებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ ოზონს გამოუცნობი მიმზიდველი ძალა აქვს მწერებისათვის. მახვილი ყნოსვის გრძნობით აღჭურვილი მწერები შორ მანძილზე გრძნობენ ოზონს და მიეშურებიან, რომ დათვრენ მისი სუნით.

ყველა ეს დაკვირვებები ამჟამად გამოყენებულია მწერების მოსასპობად დანიშნულ სპეციალური მოწყობილობის დასამზადებლად. ეს მოწყობილობა შესდგება ლითონის ცილინდრისაგან, რომლის ზედა ნაწილში მოთავსებულია ულტრა-იისფერი სხივების გამომყოფი კვარცის ლამპა. ლამპის ქვეშ არის ძაბრი სარქველით, რომელიც ცილინდრის მხარეზე იხსნება. თვით ცილინდრი შესდგება: 1) გარეთა ლითონის გარსისა და 2) ბადიდან გაკეთებული შინაგანი გარსისაგან.

პატარა ელექტრო-მოტორის საშუალებით განუწყვეტლივ სწარმოებს ჰაერის გამოქაჩვა ცილინდრიდან, როგორც კი კვარცის ლამპა აინთება, აპარატის გარშემო წარმოიშობა ოზონი. ოზონის სუნზე იმ წამსვე ყოველი მხრიდან იწყებენ თავმოყრას მწერები, რომლებიც მიეშურებიან ულტრა-იისფერი ლამპისაკენ, სადაც მათ დაუყოვნებლივ იტაცებს ჰაერის შემსრუტავი ნაკადი და მიაქანებს ჯერ ძაბრში და შემდეგ ბადის ცილინდრის შიგნით. რადგან სარქველი მხოლოდ ერთი მხარეზე იხრება, მწერები ველარ ახერხებენ გამოსვლას გარეთ, დროგამოშვებით ბადეს იღებენ დაბერტყავენ, რის შემდეგ აპარატი კვლავ მზად არის შემდგომი მუშაობისათვის.

ზემოთ-აღნიშნული მოწყობილობა ელექტრო-ენერგიის ძლიერ მცირე რაოდენობას ხარჯავს და ამავე დროს მშვენიერ შედეგებს იძლევა. მწერების მოსასპობი მოწყობილობა სხვადასხვა ზომის მზადდება. დიდ აპარატებს დგამენ ბაღ-ბოსტნების მავნებელ მწერების მოსასპობათ, უფრო პატარა ზომისას კი — ბინებში, კოლოებში, ბუზებისა და ადამიანის მსგავსი მტრების მოსასპობათ.

ხმაურობის გავლენა ადამიანის ტვინზე

უკვე დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ხმაურობის პირობებში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად კლებულობს. განსაკუთრებით ითქმის ეს გონებრივ მუშაობაზე, რომელიც ტვინის დიდ დაძაბვას მოითხოვს. რასაკვირველია, ყველასათვის კარგად არის ცნობილი, თუ როგორ ძნელია მუშაობა, როცა ოთახში ხმაურობაა და როგორ მცირე შედეგებს იძლევა შრომა ასეთ პირობებში, დახარჯული ენერგიის რაოდენობასთან შედარებით.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს შეეხება არა ლაპარაკს, რომლისთვისაც ყურის დაგდება უნებლიედ ადუნებს მუშაობის ტემპს, არამედ ხმაურობას, რომელიც თავის თავად არ წარმოადგენს არავითარ ინტერესს (მაგ. მოტორის და მანქანების გუგუნი და სხვ.).

მეტად საინტერესო ცდები მოახდინა ადამიანის ტვინზე ხმაურობის გავლენის გამოსაკვლევად ნიუ-იორკის ჰოსპიტალის ნერვიულ სნეულებათა განყოფილების ექიმმა კენნედიმ. ვინაიდან ჰოსპიტალში იმყოფებოდა რამდენიმე ავადმყოფი, რომელთაც ქირურგიული გზით მოცილებული ჰქონდათ თავის ქალას სხვადასხვა ნაწილები. კენნედიმს აზრათ მოუვიდა გამორკვევა იმისა, თუ ხომ არ ხდება ხმის შემგრძნობ ნერვების გაღიზიანების ზეგავლენით რაიმე ცვლილებები ტვინის სითხეში, რომელიც ავსებს ტვინის პარკუჭებს და სივრცეს ტვინსა და ტვინის მაგარ გარსს შორის.

ჩვეულებრივ ამ სითხისათვის თვალყურის დევნება შეუძლებელია, ვინაიდან ტვინი დაცულია ტვინის მაგარი კოლოფით. პაციენტებზე კი, რომლებსაც ტვინის ზოგიერთი ადგილები დაფარული ჰქონდათ მხოლოდ კანის ფენით, ასეთი დაკვირვების მოხდენა სავსებით შეიძლებოდა.

ტვინის ღია ადგილებზე კენნედი ათავსებდა სპეციალურ აპარატს, შეერთებულს თვითჩამწერ მოწყობილობასთან. ტვინის სითხის წნევის ოდნავი შეცვლაც კი გადაეცემოდა აპარატს და იქიდან თვითჩამწერ მოწყობილობას, რომელიც განსაკუთრებულ მოძრავ ლენტზე ხაზავდა ამ წნევის შესაფერ მრუდეს.

ამ ცდების შედეგად ექიმი კენნედი დარწმუნდა, რომ ხმაურობა ძლიერ გავლენას ახდენს ტვინის სითხის წნევაზე, რომელიც შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს, მსგავსად სისხლის წნევისა. ასე მაგალითად, თუ პაციენტის ახლო აფეთქებდნენ ჰაერით გაბერილ ქაღალდის პარკს, ტვინის სითხის წნევა დაახლოებით ოთხჯერ იზრდებოდა.

ადვილი შესაძლებელია, რომ შრომის უნარის შესუსტება ხმაურობის დროს აიხსნება სწორედ ტვინის სითხის წნევის გაძლიერებით.

საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების არჩევნები

ქარხ-მაღარკომების გადარჩევის შედეგები ჭიათურაში

ჭიათურის სამთამადნო პროფკავშირის საგადარჩევო კამპანია უკვე დამთავრდა. პროფორგანოების გადრჩევაში მუშები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ.

მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი შავი ქვის ტრესტის ყველა ქარხ-მაღარკომის პირველი იენისისათვის უდრიდა 5.284 კაცს, ფაქტიურად სამუშაოზე გამოდიოდა 4.796 (დანარჩენი 483 მუშა, ზოგი შვებულებაში იყო და ზოგიც საავადმყოფოში). კრებებს დაესწრო სულ 4.215 მუშა ანუ მომუშავეთა 92 პროც.

კრებებზე გამოყოფილ იქნა 226 თვითგამომრკვევი ბრიგადა, 1867 მუშით. მუშათა 38,9 პროც. ბრიგადების შედგენა სწარმოებდა სრული ნებაყოფლობით. არავითარ სურვილის გარეშე არჩევას და ზევიდან დანიშვნას ადგილი არ ჰქონია. გამოყოფილ იქნა აგრეთვე ქარხ-მაღარკომების წერილობითი ანგარიშების ხმამაღლა მკითხველთა ჯგუფი, რომელსაც დაევალათ ცვლების მიხედვით, მუშაობის დამთავრების შემდეგ, ქარხმაღარკომების წერილობით ანგარიშების წაკითხვა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ წერილობითი ანგარიში შედგენილი იყო ცალმხრივად. პროფორგანოების ნაკლოვანებანი მიჩქმალული იყო და მეტი ადგილი დათმობილი ჰქონდა მიღწევებს. ეს ნაკლი თუმცა დაგვიანებით, მაგრამ ზოგიერთ ადგილებზე გამოსწორებულ იქნა სამთამადნო რაიკომის ჩარევით.

მოსამზადებელი პერიოდი დამთავრდა 18 იენისისათვის, რის შემდეგაც დაიწყო საანგარიშო კამპანია. საანგარიშო მოხსენებები ტარდებოდა ყველგან ცვლების მიხედვით, მუშათა მონაწილეობა საანგარიშო კრებებზე დიდი იყო. მომუშავეთა რიცხვი ამ პერიოდისათვის უდრიდა 4445 კაცს, კრებებზე დაესწრო 3910 ანუ მომუშავეთა 87,9 პროც. კამათში მონაწილეობა მიიღო 234 მუშამ ანუ დამსწრეთა 6,7 პროც.

საარჩევნო პერიოდი დაიწყო 26 იენისიდან. ისე, როგორც მეორე პერიოდში, კრებები იწვეოდნენ ცვლების მიხედვით. ყველგან ისმებოდა საარჩევნო და ნაკაზის დამმუშავებელი კომისიების მოხსენებები. საარჩევნო კრებებს დაესწრო 3.773 მუშა, ანუ მომუშავეთა საერთო რიცხვის 84 პროც. ჩამოყალიბდა 4 ახალი მაღარკომი: ამხ. ელიავას სახელობის მაღაროებში, საფარში, რგანის ქარხნებში და ლაშე მაღაროებში (გადარჩევამდე იყო 12 ქარხმაღარკომი, გადარჩევების შემდეგ არის 16).

ქარხმაღარკომების შემადგენლობაში არჩეულია სულ 146 წევრი და 31 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში 48 წევრი და 16 კანდიდატი.

ქარხ-მაღარკომების შემადგენლობის განახლება მოხდა 86,41 პროც. ახალ შემადგენლობაში დამკვრელი მუშების რაოდენობა უდრის 54 პროც.

კამპანიის მსვლელობის დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთი მაღარკომები სოცშეჯიბრების და დამკვრელობის საქმეს, არ აქცევდა ჯეროვან ყურადღებას. ადმინისტრაციაც ერთგვარ უყურადღებობას იჩენდა. დროულად არ სწარმოებდა შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა; შეჯიბრების ხელშეკრულებებიც ზოგიერთ ადგილას შედგენილია ზოგადათ: არ არის გათვალისწინებული კონკრეტული მაჩვენებლები თუ რა უნდა გაკეთდეს და თუ იმ ღონისძიების გასატარებლად და სხ.

სოცშეჯიბრების საქმის ფართოდ გაშლას ხელს უშლის ზოგიერთი ინჟინერ-ტეხნიკოსთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაც შეჯიბრებისადმი. არც პროფკავშირების და არც ადმინისტრაციის მიერ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ადგილებზე დღემდე არაფერი გაკეთებულა.

პროფორგანიზაციებმა ვერ შესძლეს მოეხდინათ გარდატეხა ადმინისტრაციის მუშაობაში, ისე, რომ შეცვლილიყო „კაზიონური" დამოკიდებულება საწარმოო თათბირების მიმართ. წინადადებათა 50 პროც. გაუტარებელია, ინჟინერ-ტეხნიკოსთა მონაწილეობა სრულიად არა სჩანს, გამომგონებელთა ფონდი (ცენტრალიზაცია ქმნილია (ტრესტის მთავარი კანტორა აძლევს ქაღალდს), რაც საქმეს აჭიანურებს.

თითქმის არც ერთ ქარხმაღარკომს არ მიუღია რაიმე ზომები შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად. მაღაროებში ხშირია დისციპლინის დარღვევის უხეში შემთხვევები. არ სწარმოებდა შრომის დისციპლინის დარღვევის აღრიცხვა, რაც ხელს უწყობს დისციპლინის შესუსტებას, თვითღირებულების გადიდებას, შრომის ნაყოფიერების დაცემას და უბედურ შემთხვევების გახშირებას.

საწარმოო განათლების საკითხი ვერა დგას თავის სიმაღლეზე და კადრების მომზადების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია. მოუწესრიგებელია მუშათა კვებაც. არსებული სასადილოები ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.

აღნიშნულ ნაკლთა გამოსწორების საქმეში გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს სამკუთხედის ნორმალურმა მუშაობამ ადგილებზე, განსაკუთრებით კი განახლებულმა პროფაპარატებმა უნდა შესძლონ დაშვებული შეცდომების დროზე გამოსწორება.

პ. ჩაჩიბაია.

საქარხნო კომიტეტის არჩევნები მთავრდება

ამხ. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში, საქარხნო და საამქრო კომიტეტების გადარჩევისათვის სამზადისი დაიწყო ჯერ კიდევ მაისში. კამპანიის დაწყებისას თითქმის არავინ იყო ისეთი პასუხისმგებელი მუშაკი, რომელიც მოგვცემდა სწორ ინსტრუქციას, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაგვეწყო მუშაობა. მიუხედავად ამისა, ადგილობრივ ძალებით მაინც დაიწყო სამზადისი მუშაობა.

მუშაობის დაწყების შემდეგ, ქარხანაზე მოიაგრებული იქნა პროფმუშაკები პროფსაბჭოდან და საგზაო კომიტეტიდან, მაგრამ მათ ისევ მალე შესწყვიტეს მუშაობა, მათ დაიწყეს დაწყებული მუშაობა და არც თითონ გაუწიეს ხელმძღვანელობა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ პროფსაბჭოდან ხელმძღვანელობა პირველ ხანებში სრულებით არ იყო, მხოლოდ ბოლო ხანებში იყო სუსტად. საგზაო კომიტეტის ხელმძღვანელობა არ იყო, საუბნო კომიტეტის ხელმძღვანელობა შედარებით უკეთესი იყო. ადგილობრივ გაზეთს „ჩვენი საყვირი"-ს, არავითარი მუშაობა არ უწარმოებია საგადარჩევო კამპანიის ირგვლივ. იგი ფაქტიურად არ არსებობდა. სუსტი იყო აგრეთვე ცენტრალური გაზეთების დახმარებაც. მიუხედავად ამისა, მოსამზადებელი მუშაობა მაინც ფართოდ გაიშალა. ადგილობრივი მუშეები აქტიურად ჩაებნენ საგადარჩევო კამპანიაში.

საქარხნო კომიტეტის გადარჩევა არ ყოფილა 2 ნახევარი წლის განმავლობაში, მაგრამ ქარხკომის შემადგენლობა ხუთჯერ გამოიცვალა. ასე, რომ საგადარჩევო კამპანიის ჩატარება წილად ხვდა ახალ ხელმძღვანელებს, რომლებიც ვერ ერკვეოდნენ გზას და რომლებსაც ადგილობრივი მუშების გარდა არავინ ეხმარებოდა.

ზოგიერთ საამქროებში ძალიან სუსტად მიმდინარეობდა საარჩევნო კამპანია. კრებები ზოგ ადგილას სამჯერ იქნა ჩაშლილი, ამწყობთა, საამქრო და სატენდერო საამქროში მოისუსტებდნენ ცენტრ. ბიუროები. ამიტომ საქარხნო კომიტეტმა დაშალა ამ საამქროების კომიტეტები და შექმნა დროებითი ორგბიუროები.

კლუბის ხელმძღვანელობა პირველ ხანებში ძალიან მოისუსტებდა, მაგრამ შემდეგში გაუმჯობესდა. ყოველ საამქროების კრებების დამთავრების შემდეგ, კლუბი მართავდა კონცერტებს და უშვებდა უფასო კინოებს. აგრეთვე საამქროებს რთავდნენ ლოზუნგებით და სხვ.

კრებებზე გამართულ კამათში, მუშების დიდი ყურადღება ექცეოდა საწ. საფ. გეგმის ჩაშლას ზოგიერთ საამქროში. მოკამათენი უმთავრესად ეხებოდნენ ჩაშლის მიზეზებს და უგეგმო მუშაობას. კამათმა გამოიღო დიდი ნაყოფი. კრებების შემდეგ დანაკლისი შევსებული იქნა. გარდა ამისა კრებებზე ადგილი ჰქონდა ოპორტუნისტულ გამოსვლებსაც (ამწყობთა საამქრო) კრებებს მოსამზადებელ კამპანიის პერიოდში, დაესწრო მუშების 81 პროც. საანგარიშო კრებებს 83 პროც. საგადარჩევო კრებებს 87 პროც.

საამქრო კომიტეტები გადახალისებულ იქნა 79 პროც. კონფერენციისათვის საამქროებიდან, ყოველ 10 მუშაზე არჩეულ იქნა 1 დელეგატი. ასე, რომ საქარხნო კონფერენციას უნდა დაესწროს 330 დელეგატი. კონფერენციაზე საარჩევნო კომისია გამოიტანს საქარხნო კომიტეტების ახალ შემადგენლობის სიას, რომელიც უკვე გამოკრულია საამქროებში.

ი. რუხაძე.

საყოველთაო სავალდებულო სწავლება

როგორც აღნიშნული გვქონდა საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების გეგმა და ვადები საფუძვლიანად შეიცვალა. საყოველთაო-სავალდებულო სწავლება გატარდება 1930-31 სამოსწავლო წლიდან. ამასთან დაკავშირებით განათლების სახ. კომისარიატმა შეიმუშავა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა მიხედვით ჰასაკ გადაცილებულებს 11, 12, 13 და 14 წლიდან ბავშვებს წერა-კითხვა უნდა შეასწავლონ 1930-31 და 1931-32 წლის ბოლომდე. ამ მიზნით, საქართველოში პირველ წელს გაიხსნება 500-მდე სკოლა. როგორც ამ სკოლებში, ისე 4 წლიან სკოლებში შემოღებული იქნება ორმაგი მიღება და გამოშვება, რათა არც ერთი ბავში არ დარჩეს სკოლის გარეშე.

ბავშვები უზრუნველყოფილი იქნებიან

1930-31 სასწავლო წლიდან სავალდებულოა 4 წლიან და 7 წლიან სკოლების სრული კურსის დამთავრება. რომ ბავშვები იძულებულნი არ გახდნენ შესწყვიტონ სწავლა და გულმოდგინეთ იმეცადინონ, გადაწყვეტილია სავსებით უზრუნველყოფილნი იქნენ ღარიბესი მოწაფეები.

ღარიბეს მოწაფეთა უზრუნველსაყოფად ადგილობრივ ცენტრალურ ორგანიზაციებს, აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებს, პროფკავშირებს და კოოპერატიულ ორგანიზაციებს ევალებათ თავიანთ საფინანსო გეგმებში გაითვალისწინონ საჭირო თანხები.

ამ თანხებით მოწაფეები უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმძღვანელოებით, ტანისამოსით, ცხელი საუზმით და სხვ. სკოლებზე დიდი მანძილით დაშორებულ ბავშვებისათვის სკოლებთან მოეწყობა ინტერნატები.

მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესება

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღებასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა მასწავლებელთა მდგომარეობის გაუმჯობესებას.

მასწავლებელნი მომარაგების დარგში გათანასწორებული იქნებიან მუშებთან. ამ მიზნით ფინანსთა სახ. კომისარიატს ევალება ვაჭრობის და განათლების კომისარიატებთან ერთად მიიღოს საჭირო ზომები მასწავლებლების მუშების თანაბრად მოსამარაგებლად.

გარდა ამისა გაუმჯობესებული იქნება მასწავლებელთა უფლებრივი მდგომარეობა.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების წარმატებით ჩასატარებლად, ყველა ორგანიზაციებთან, როგორიცაა პროფესიონალური, კოოპერატიული, სამეურნეო და საზოგადოებრივ - კულტურული ორგანიზაციები, კოლექტივები, საბჭოთა მეურნეობები და სხვ. მოეწყობა დამხმარე კომიტეტები.

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღებისათვის საერთო ხელმძღვანელობის გასაწევად განათლების კომისარიატთან არსდება ცენტრალური შტაბი, ასეთივე შტაბი დაარსდება ადგილებზე განათლების ორგანოებთან. ეს უკანასკნელნი იმოქმედებენ ცენტრ. შტაბის დირექტივების მიხედვით და იმავე დროს ხელმძღვანელობას გაუწევენ დამხმარე კომიტეტების მუშაობას, მიიღებენ ზომებს, რათა სათანადო ორგანიზაციებმა დროზე გაიღონ მოსწავლეთა დასახმარებლად საჭირო თანხები, უზრუნველყოფილნი იქნენ სკოლები საჭირო ინვენტარით, შენობებით და სხვ.

სკოლების პოლიტეხნიზაცია — დაკვრითი ამოცანაა

სკოლების მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისა და სახალხო მეურნეობის საჭირო კადრებით უზრუნველყოფის მიზნით სკოლების პოლიტეხნიზაცია აღიარებულია დამკვრელ ამოცანად.

სკოლებში სწავლება დაუკავშირდება ფიზიკურ შრომას, რისთვისაც სკოლებთან მოეწყობა სახელოსნოები და კულტურული მეურნეობა. ზედმეტი ხარჯების თავიდან ასაცილებლად ერთიმეორის მოსაზღვრე რამოდენიმე სკოლისათვის მოეწყობა ერთი მთლიანი დიდი სახელოსნო. გარდა ამისა სკოლების პოლიტეხნიზაციის წარმატებით ჩასატარებლად, შემოღებული იქნება ჯგუფების მიმაგრება წარმოებებზე და წარმოებების შეფობა სკოლებზე.

პედაგოგიური კადრები

პედაგოგიური კადრების მომზადების მიზნით გაფართოებული იქნება პედინსტიტუტები და პედაგოგიური ტეხ. გარდა ამისა მოეწყობა მოკლე და გრძელვადიანი კურსები მასწავლებელთა მოსამზადებლად და გადასამზადებლად. პედაგოგიური სასწავლებლები პოლიტეხნიზაციის მიზნით გადაყვანილი იქნებიან საწარმოო ბაზებზე. ამასთანავე მოეწყობა დაუსწრებელი პედინსტიტუტი და პედტეხნიკუმები.

სად იქნება შემოღებული საყოველთაო - სავალდებულო სწავლება

საყოველთაო - სავალდებულო სწავლების შემოღება მოხდება 2 წელში—1930-31 და 1931-32 წლებში. პირველ წელს საყ.-სავ. სწავლება შემოღებული იქნება ყველა ქალაქში, სამრეწველო რაიონში, ქალაქის ტიპის ადგილებში, მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში და აგრეთვე შემდეგ ადმინისტრატიულ რაიონებში: ლანჩხუთის, ოზურგეთის, ჩოხატაურის, აბაშის, სენაკის, მარტვილის, ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის, ფოთის, ამბროლაურის, ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, ონის, ოკრიბის, სამტრედიის, ქუთაისის, ჩხარის, ცაგერის, ხონის, ხარაგოულის, გორის, სტალინისის, თელავის, გურჯაანის, სიღნაღის, გარე-კახეთის და მცხეთის რაიონებში. 1931-32 წლიდან საყოველთაო - სავალდებულო სწავლება შემოღებული იქნება დანარჩენ რაიონებში.

სტუდენტთა ქალაქი

განათლების კომისარიატმა, ამიერ-კავკასიის სახ. მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ და ამიერ-კავკასიის მიწსახკომმა გადასწყვიტეს აგონ სტუდენტთა ქალაქი—საერთო საცხოვრებელი. ქალაქი სამი ათას კაცზეა ნავარაუდევი.

ქალაქის მშენებლობის ხელმძღვანელობისათვის დაარსებულია სპეციალური კომიტეტი ამხ. ს. ჯულელის თავმჯდომარეობით. კომიტეტმა სტუდენტთა ქალაქისათვის ამოარჩია ადგილი წყნეთის გზის მარჯვენა მხარეს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობის უკან. საესკიზო პროექტი და სამუშაო ნახაზები უკვე მზად არის. ნაკვეთი უკვე აზომილ-დაგეგმილია.

ამოთხრილია მიწა ორი კორპუსისათვის. დაწყებულია დამხმარე შენობების აგება.

პროექტით გათვალისწინებულია ორ სართულიან ოცი სახლის აგება. სახლები მარტივი კონსტრუქციის იქნება. თითო ოთახში ორ-ორი კაცი მოთავსდება. ამას გარდა სტუდენტთა ქალაქში იქნება დიდი სასადილო, სასპორტო მოედანი, ბაღი და სხ. კომიტეტის ვარაუდით ქალაქის მოწყობა ხუთ თვეში დამთავრდება. აგურის კედლების ამოყვანა შეიძლება ას დღეში დამთავრდეს, მაგრამ იმ პირობით კი, თუ ყოველდღიურად მშენებლობას 50 ათასი აგური ექნება. მუშაობა უკვე დაწყებული და გაშლილი იყო, მაგრამ გუშინ უეცრივ შეაჩერეს. მიზეზი ის არის, რომ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტმა განაცხადა, რომ ის ნაკვეთი, რომელზედაც სტუდენტთა ქალაქი შენდება, მას ეკუთვნის. შეუთანხმებლობის გამო ესოდენ საჭირო მშენებლობა შეიძლება დიდი ხნით შეფერხდეს. სათანადო ორგანოებმა ეს საკითხი დაუყოვნებლივ უნდა გადასწყვიტონ.

ამ სადაო ადგილზე საამშენებლო მასალას უკვე ზიდავენ. მარტო ხე-ტყეა ცხრა ვაგონი მიზიდული.

ანძების დამზადება ქარხანა „მაჩტოსტროი"-ში

ქრონიკა

კოლმეურნეების მისალმება ამხ. ფ. მახარაძეს

საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძეს სახელზე ახალსენაკის რაიონის კოლმეურნეობათა კავშირის პირველ კონფერენციისაგან მიღებულია შემდეგი მისასალმებელი დეპეშა:

„ახალსენაკის კოლმეურნეობათა კავშირის პირველი კონფერენცია მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, საქართველოს კომპარტიის ბელადს, ძველ ბოლშევიკს და კომუნიზმის საქმისათვის თავდადებულს. გვწამს, რომ თქვენი ხელმძღვანელობით ჩვენ სრულის გამარჯვებით ჩავატარებთ სოფლის კოლექტივიზაციას და საბოლოოდ მოვსპობთ კლასობრივ წინააღმდეგობას.

გაუმარჯოს სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას!"

სპეციალურ ტეხნიკურ კულტურების კავშირის დაარსება

სას. სამ. კოოპერაციის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით საქართველოს მეთამბაქოეთა კავშირს გადაეცა მემინდვრეობის კავშირისაგან გამოყოფილი ბამბა, კენაფი, რამი, შაქრის ჭარხალი, სოია და სხვ. სპეციალური ტეხნიკური კულტურები. გაერთიანებულ კავშირს ეწოდა საქართველოს სპეციალურ ტეხნიკურ კულტურათა კოოპ. კავშირი.

აღნიშნული კავშირის გამგეობაში არჩეული არიან ამხ. ი. მარღანია (თავმჯდომარე), ვ. კუდუხაშვილი, ალ. ბალაშვილი და ს. წერეთელი.

ახალი კავშირის ძირითადი ქსელის რეორგანიზაცია უნდა დამთავრდეს 1 ოქტომბრისათვის.

სპეციალურ ტეხნიკურ კულტურათა კავშირი მოთავსებულია „სოფლის კავშირი"-ს შენობაში — ევანგულოვის ქ. 8.

შაბიამანის ქარხანა ამიერ-კავკასიაში

დღემდე შაბიამანის საგრძნობი ნაწილი ამიერ-კავკასიაში შემოდიოდა უცხოეთიდან, ნაწილი საბჭოთა კავშირის სამრეწველო ცენტრებიდან. გარდა იმისა, რომ უცხოეთიდან შაბიამანის შემოზიდვა ვერ ხერხდებოდა თავის დროზე, მას სჭირდებოდა დიდძალი ვალიუტა. შაბიამანის ადგილობრივ დამზადების მიზნით, ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭომ გადასწყვიტა აგებულ იქნეს ა.-კავკასიაში შაბიამანის ქარხანა. ქარხნის აგების პროექტი უკვე დამტკიცებულია. ქარხანა აგებული იქნება ალავერდში. წინასწარი მუშაობა დაწყებულია.

მოქალაქეთა საყურადღებოდ

ქალაქ თბილისის და მისი მიდამოების კომენდანტი აცხადებს მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ 24 აგვისტოს 3 ს. 30 წუთიდან დილის 10 საათამდე სოფელ კრწანისში, შინდისში და ოქროყანაში იწარმოებს სასწავლო სროლა შაშხანა თოფებიდან, მაშხალების სროლა და ყუმბარების აფეთქება.

ხურდა ფულის შესყიდვისა და გადამალვისათვის

მოსკოვი, 22 აგვისტო. გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიამ განიხილა იმ პირთა ჯგუფის საქმე, რომლებიც ეწეოდნენ ვერცხლის ფულის და აგრეთვე უცხოეთის ვალიუტის და ოქროს შესყიდვას და გადამალვას. ყველაზე უფრო გამოუსწორებელ ბოროტმოქმედთ — რომანოვს, რაბინოვიჩს, მარკოვს, მამონოვს, ვოლნობიკოვს, ლეონტიევს, კოროლიოვს და მაქსაკოვს, რომლებიც ფულის გადამალვის გარდა აქტიურად ავრცელებდნენ კონტრ-რევოლიუციონურ ხმებს და რომელთაც აღმოაჩნდათ ხურდა ვერცხლის ფულის დიდი რაოდენობა, სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიამ მიუსაჯა დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში (ადს).

უმუშევრები ბამბის ასაკრეფად

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა „ზაქსელსოიუზ"-თან დასდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით შრომის კომისარიატმა „ზაქსელსოიუზ"-ს 1 ოქტომბრამდე უნდა მისცეს 8.850 უმუშევარი ბამბის ასაკრებად.

აზერბეიჯანისათვის საჭიროა 6.000 კაცი, სომხეთისათვის—1.850, საქართველოსათვის—1.000 კაცი.

მუშების შეგროვება დაიწყება აგვისტოს დამლევიდან.

დაუსწრებელი პროფ-ტეხნიკური ინსტიტუტი

კვალიფიციურ მუშა-ხელის მოსამზადებლად და მუშების თვითგანვითარებისათვის ხელის შესაწყობათ პროფსაბჭოს საკავშირო სექტორთან გაიხსნა დაუსწრებელი პროფტეხნიკური კურსები.

მარგარინის და საპნის ახალი ქარხანა

თბილისში დაიწყო მარგარინის და საპნის ახალი დიდი ქარხნის აგება. მარგარინი იხმარება კარაქის ნაცვლად და მარგებლობით არ ჩამოუვარდება კარაქს.

მზეჭდავთა კავშირის ექსკურსია

პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება 23—25 აგვისტოს აწყობს მბეჭდავთა კავშირის წევრთა მასიურ ექსკურსიას სამთავისის კომუნაში. ექსკურსანტები კომუნაში ჩაატარებენ ახალი სესხის—„ხუთწლედი—4 წელიწადში" პოპულარიზაციის კამპანიას, გარდა ამისა ექსკურსანტები გაეცნობიან კასპის ცემენტის ქარხნის მშენებლობის მსვლელობას.

ექსკურსიაში მონაწილეობას ღებულობს 150-მდე მუშა.

სხვადასხვა

◆ **გეოლოგების თათბირი.** დღეს, დილის 10 საათზე, სახალხო მეურნეობის მუშაკთა კლუბში შესდგება გეოლოგების თათბირი, რომელზედაც მოხსენებას გააკეთებს აკადემიკოსი გუბკინი.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 23 აგვისტო.

დილით: (8 ს. 30 წ. 10 საათამდე) ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე", პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი: 10 კილოვატიანი რადიო-სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: გადაცემა ბავშვებისათვის, ქართულ ენაზე; რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე; გადაცემა სოფლისათვის: ლიტერატურული და მუსიკალური საათი, დროის შემოწმება, მეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობები; ჟურნალი „წითელი ფიზკულტურელი" რადიოთი. რუსულ ენაზე; კონცერტი, რეკლამა, უკანასკნელი ცნობები.

შემთხვევები

მკვლელობა

ტერდატ მიკირტიჩიანმა ორთაჭალის კლუბის მახლობლად ხანჯლით მოჰკლა ვასო მაჭაიძე, მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია. ბოროტმოქმედი შეიპყრეს.

თევზით მოწამვლა

19 აგვისტოს თევზით მოიწამლა ტიგრან გრიგორიანი (მნათობის ქუჩა № 26).

ჯიბგირობა

იოსებ ხაჩიანს ბაზარში ჯიბიდან ამოაცალეს 125 მან.

ქურდობა

გაქურდეს ივანე კოვალენკოს ბინა (მურავიოვის ქუჩა № 4), წაიღეს 250 მან. საოჯახო ნივთები.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

საქ. ს.ს.რ. შრომის სახ. კომისარიატისა და თბილისის აღმასრულებელ კომიტეტისა

ქ. თბილისში მდებარე დაწესებულ. ებში, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეცადი ნეობის დაწყების დროს შესახებ

1930 წ. აგვისტოს 15.

საქ. ს.ს.რ. სახ. კომისართა საბჭოს მიერ 1930 წ. ივლისის 26-ს თარიღით „სახელმწიფო დაწესებულებებში მეცადინეობის დაწყების დროის შესახებ" (გაზეთი „კომუნისტი" № 182 1930 წ.) გამოცემულ დადგენილების თანახმად, საქართველოს სსრ შრომის სახკომისარიატი და თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი ადგენენ:

1. ქ. თბილისში ყველა დაწესებულებასა და საზოგადოებრივ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში მეცადინეობის დასაწყებად განსაზღვრული იქნეს სამი ვადა:

ზაფხულის პერიოდში, ე. ი. მაისის 1-დან სექტემბრის 30-მდე დილის 8, 2 ნახ. და 9 საათზე და ზამთრის პერიოდში, ე. ი. ოქტომბრის 1-დან აპრილის 30-მდე დილის 8, ნახ. 9 და ნახ. საათზე.

2. მუშაობის დაწყების ვადების მიხედვით ქ. თბილისის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციები განაწილებული იქნეს სამ ჯგუფად:

3. 1-ლი ჯგუფი (მუშაობის დაწყების ვადა ზაფხულობით დილის 8 საათი, ზამთრობით დილის 8 ნახ. საათი). 1) თბილისის აღმასრულებელი კომიტეტის და მისი ორგანოები, 2) სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ტრესტები, 3) საქართველოს სახ. ვაჭრობა და მისი სავაჭრო ერთეულები, მუშკოოპის ცენტრალური აპარატი, 5) ცეკავშირი, 6) „სოფლის კავშირი", 7) მესაქონლეობის კავშირი, 8) „ა.-კ. წიგნის" სავაჭრო ერთეულები, 9) პოლიგრაფტრესტის სავაჭრო ერთეულები, 10) სახელგამი და მისი სავაჭრო ერთეულები, 11) გზატკეცილების სამმართველო, 12) ა. კ. გზ. ტრანსპ., 13) საბჭოთა მეურნეობების ტრესტი და მისი ორგანოები, 14) პურის დამზადების საკავშირო სამმართველო ა.-კ. საწყობებით, 15) ხორცპროდუქტის სამმართველო, 16) სარეწკოოპკავშირი, 17) ინვალიდთა კოოპკავშირი, 18) სახმედვაჭრობა და მისი საბაზისო საწყობები და სავაჭრო ერთეულები, 19) სააფთიაქო სამმართველო და მისი აფთიაქები, 20) ჯანმრთელობის სახკომისარიატისა და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების საქალაქო ორგანოები, ქალაქის საავადმყოფო და აფთიაქები, 21) თბილისის შრომის ბირჟა და კოლექტივთა სამმართველო თავის წერტებით, სოცდაზღვევის კომიტეტის პუნქტები.

მეორე ჯგუფი (მუშაობის დაწყების ვადა ზაფხულობით დილის 8 ნახ. საათი, ზამთრობით დილის, 9 საათი) ყველა სკოლა და უმაღლესი სასწავლებლები (მასწავლებლობა, მოსამსახურეები და მოსწავლე ახალგაზრდობა).

მესამე ჯგუფი (მუშაობის დაწყების ვადა ზაფხულობით დილის 9 საათი, ზამთრობით დილის 9 ნახ. საათი) ა.-კ. და საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები, 2) სახკომსაბჭოები, 3) საგეგმო კომისიები, 4) სახალხო კომისარიატები, 5) სოცდაზღვევის კომიტეტი, 6) საქ. სსრ მიწად-მოქმედების კომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, 7) შინსახკომისარიატის ადგილობრივი ორგანოები, 8) ა.-კ. და საქ. სსრ სტატისტიკის სამმართველოები, 9) სახკინმრეწვი, 10) ა.-კავკასიის და 11) საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველო, 12) ა.-კ. და საქ. სსრ კოლმეურნეობათა ცენტრები, 13) ა.-კ. რკინის გზების სამმართველო და მისი საქალაქო [illegible], 14) ა.-კ. კავშირგაბმულობის სამმართველო, 15) ა.-კ. [illegible] სამმართველო, 16) რედაქციები, 17) ა.-კ. და საქართველოს ცენტრალური საამშენებლო კომიტეტები, 18) ა.-კ. ნავთსადგურის სამმართველო, 19) ა.-კ. და საქართველოს სსრ მებამბეობის კომიტეტები, 20) ლითონსინდიკატი, 21) ბანკები, 22) ა.-კ. სოფლის კავშირი, 23) საკავშირო ორგანიზაციების წარმომადგენლობანი, 24) პარტორგანიზაციები, 25) ა.-კ. და საქართველოს პროფკავშირები, 26) მუზეუმები, ბიბლიოთეკები, სამკითხველოები და კლუბები, 27) ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობა, 28) „საქართველოს ღვინო", 29) ა.-კ. კოოპერატიული კავშირი, 30) „საქართველოს ჩაი", 31) საბაჟო, 32) ზომა-წონის პალატები, 33) პროკურატურა და სახ. სასამართლოები, 34) შემნახველი სალაროები, 35) ა. კ. და საქ. სახელმწიფო დაზღვევა.

3. ის დაწესებულებანი და სამეურნეო ორგანოები, რომლებიც იწყებდენ მუშაობას დილის 8 საათიდან და არ არიან მოქცეულნი ამ დადგენილებაში, ვალდებულნი არიან დაუყოვნებლივ, მაგრამ არა უგვიანეს 5 დღისა, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა წარმოუდგინოს საქ. სსრ შრომის სახკომისარიატს, ცნობა თავიანთ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობის შესახებ და აგრეთვე აცნობონ თუ რომელ წუთებში მიაჩნიათ მიზანშეწონილად მუშაობის დაწყება.

აღნიშნული დადგენილება შემოღებულ უნდა იქნეს მისი გამოქვეყნების დღიდან.

საქ. სსრ შრომის სახკომისარი
მზარეულიშვილი.
თბილისის აღმას. კომიტეტის თავმჯდომარე **ბოლქვაძე.**
შეთანხმებულია საქ. პროფსაბჭოსთან
მაშკევიჩი.

დებულება

ყრუ-მუნჯთა რეგისტრაციისა და სამუშაოზე გაგზავნის შესახებ

1. ყრუ-მუნჯთა გადარჩევას, მათი სამუშაოზე გაგზავნის მიზნით, აწარმოებენ სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა გაერთიანების ადგილობრივი განყოფილებანი შრომის ბირჟასთან ერთად, რომლებიც ითვალისწინებენ წინანდელ სამუშაოს, ან მათ შრომის პროცესების გამოცდილებას და სოც. ქონებრივ მდგომარეობას.

2. საწარმოსთან შეთანხმებით შრომის სტაჟის არა მქონე ყრუ-მუნჯნი შეიძლება გაგზავნილნი იქნენ წინასწარ გამოცდაზე ორი კვირის ვადით, უჯამაგიროთ, (სასწავლი გაგზავნა სკოლებიდან და სხვა)

3. ყრუ-მუნჯნი, რომელთაც მრეწველობაში 6 თვის მუშაობის სტაჟი აქვთ, გამოცდასა და შრომის ბირჟის აღრიცხვაზე საერთო წესით მიიღებიან, ისე როგორც ყველა მშრომელი თავიანთ პროფესიისა და კვალიფიკაციის მიხედვით.

4. გამოცდის პროცესში საწარმოოს ეძლევა უფლება ყრუ-მუნჯნი გადაიყვანოს სხვა სამუშაოზე, რომელიც გათვალისწინებულია თანამდებობათა ჩამოთვლაში (მუხ. 9), ე. ი. იქ, სადაც მათი გამოყენება უფრო მიზანშეწონილი იქნება.

5. სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა გაერთიანებანი შრომის ორგანოებთან ერთად რეგულიარულად უწევენ მეთვალყურეობას ყრუ-მუნჯთა საწარმოებში მუშაობას, საწარმოს მდგომარეობასთან და გარემოებასთან შეგუებას.

6. დავა, რომელიც აღმოცენებულ იქნება საწარმოს მიერ უარის თქმის გამო მე-9 მუხლში გათვალისწინებულ ყრუ-მუნჯთა გამოსაცდელად მიღების ნიადაგზე, გადაწყდება შრომის ბირჟასთან არსებულ კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაში შედიან შრომის განყოფილების, ადგილობრივ მეურნეობისა და სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა გაერთიანების ადგილობრივ განყოფილების წარმომადგენელნი და მიიწვევიან კომპეტენტური პირნი და სათანადო წარმოების საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები და საბოლოოდ გადაწყდება შრომის კომისარიატის, ს.მ.უ.ს და სოც. უზრუნ. სახ. კომისარიატის ადგილობრივ ორგანოების შეთანხმებით.

7. საწარმოებში გაგზავნილ ყრუ-მუნჯს ხელზე ეძლევა სრულიად საქართ. ყრუ-მუნჯთა გაერთიანების განსაკუთრებული განწესი შრომის ორგანოს ბეჭდის დასმით, განაწესს შრომის ბირჟის აღსრულების ფურცელის ძალა აქვს.

ს.მ.უ. საბჭოს დავალებით ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებანი, ტრესტები და საწარმონი ვალდებულნი არიან მიიღონ ზომები, რათა საწარმოში შექმნილ იქნეს სამუშაოზე მიღებულ ყრუ-მუნჯთათვის სათანადო საწარმოო პირობები: სამუშაო ადგილი, დაზგები, ინსტრუმენტები, ინსტრუქციები და სხვა.

9. კონკრეტული დასახელება თანამდებობის, რომელზედაც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყრუ-მუნჯთა შრომა და აგრეთვე თანამდებობანი, რომელზედაც არ შეიძლება მათი შრომის გამოყენება, რადგან საჭიროა სმენა ანდა ამ თანამდებობაზე მუშაობამ შეიძლება გამოიწვიოს ყრუ-მუნჯთა თვალთახედვის დაკარგვა, დამუშავდება სრულიად საქართველოს ყრუ-მუნჯთა გაერთიანების ადგილობრივ განყოფილების მიერ ადგილობრივ მეურნეობის განყოფილებებთან და შრომის ორგანოებთან შეთანხმებით ამ საკითხის საწარმოში გამოკვლევის საფუძველზე.

საქ. შრომის სახალხო კომისარი
მზარეულიშვილი.
სმუს თავმჯდომარე **საბაშვილი.**
სოც. უზრ. სახ. კომისარი **ვაშაკიძე.**

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

დღეს, 23 აგვისტოს, დილის სრულ 11 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ცეკას განმანაწილებელ განყოფილებაში (ოთახი № 50) შესდგება ყველა ინსტიტუტების დირექტორების და სათანადო სამეურნეო ორგანოების კადრების განყოფილების გამგეთა თათბირი. დღის წესრიგში სდგას საკითხი მიმღებ კომისიების მუშაობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის და საქართველოს ყველა ინსტიტუტების დირექტორებს და სათანადო სამეურნეო ორგანოების კადრების განყოფილების გამგეებს სთხოვენ გამოცხადდნენ თათბირზე დაუგვიანებლივ.

—:—

პარტმუშაობის ცენტრალური კაბინეტი და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ბიბლიოთეკა-სამკითხველო 16 აგვისტოდან ღიაა ყოველდღე 4 ნახ. საათიდან საღამოს 10 საათამდე.

ორშაბათს, 25 აგვისტოს, საღამოს სრულ 6 საათზე ფიზკულტურის კლუბში (ეორესის ქ. № 3) მოწვეულია საქ. ა. ლ. კ. კ. თბილისის საოლქო კომიტეტის პლენუმი რაიონულ კომიტეტების წევრებთან და ს. ა. ლ. კ. კ. თბილისის საქალაქო ორგანიზაციის აქტივთან ერთად.

ა. ლ. კ. კ. ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, ცეკას, თბილისის საოლქო კომიტეტის და რაიონული კომიტეტების წევრები და კანდიდატები შეიდიან თავისი მანდატებით, დანარჩენები რაიკომების მიერ დარიგებულ ბილეთებით.

—:—

საქ. ცენტრ. საკონტროლო კომისია სთხოვს ამხ. ქუნია ბერიძეს, იუანე კოშორიძეს და სერგო ყრუაშვილს გამოცხადდნენ 27 აგვისტოს დილის 10 საათზე საკონტროლო კომისიაში (რუსთაველის პრ. 24, მესამე სართული, ოთახი № 6) ამხ. კვიციანაძესთან.

საზაფხ. ე თ ე რ ი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. 50 წ., III ს. 11 ს. 10 წ.

პრემიერა
მოჩვენება, რომელიც არ ბრუნდება
ანრი ბარბიუსის ნოველის მიხედვით. რეჟ. ალ. როომი.

საზაფხ. ა პ ო ლ ო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ. II ს. 9 ს. და 50 წ. III ს. 11 ს. და 10 წ.

ე. ოლგინა და კ. გრადაპოლოვი ახალ კომედიაში
დ ი დ ი
უსიამოვნება

უფასო კინო-ეკრანი ფუნიკულიორზე
I სეანს. დასაწყ. 9 ს. და 15 წ.

ყვირილი ღამეში

საზაფხულო პ ა ლ ა ს ი
1-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.

ოლგა ჟიზნევა, ი. შტრაუხი იშვიათ სურათში
მ ო ჩ ვ ე ნ ე ბ ა,
რომელიც აღარ ბრუნდება
რეჟ. ალ. როომი.

რ. ლიუქს.
სახ. კინო
(ყ. მინიონი)
I-ლი სეანსის დას. 7 ს. 30 წ.

მხატვრული სურათი
ს ა მ ი ჯ ი მ ი
რეჟ. რიხარდ ეიხბერგი.
ოპერ. ჰენრიხ გერტნერი.
თეატრში ვენტილაციაა.

მიმდინარე წლის 5 სექტემბრისათვის „ზაკელექტროტოკ"-ის მომარაგების განყოფილებასთან

დანიშნულია ვ ა ჭ რ ო ბ ა

ზაჰესის გასაფართოებელ სამუშაოებისათვის 14.000 კ. მ. ხრეშის და 8.000 კ. მ. ქვიშის მიწოდებაზე

მიღების კონდიციების და ტეხნიკური პირობების გაგება შეიძლება „ზაკელექტროტოკ"-ის მომარაგების განყოფილებაში, ლენინის ქ. № 11, ან სამუშაოების მთავარ მწარმოებლის კანტორაში ზაჰესში.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა „ზაკელექტროტოკ"-ის სალაროში უნდა შეიტანონ ბე განცხადებული თანხის 10 პროც. რაოდენობით ან უნდა წარმოადგინონ მოწმობა ბეს შეტანისაგან განთავისუფლების შესახებ.

განცხადებები დახურულ კონვერტებში მიიღება „ზაკელექტროტოკ"-ის მომარაგების განყოფილებაში 5 სექტემბრის 12 საათამდე.

სამუშაოების მთავარი მწარმოებელი **ფარსადანოვი.**
„ზაკელექტროტოკ"-ის მომარაგების განყ. გამგე **გელაშვილი.**
3—1 ნ. 1260

სადირექტივო ორგანოების ა. წ. 19 აგვისტოს დადგენილების თანახმად მეხილეობა-მებოსტნეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად საქართ. კავშირი

„მეხბოსტკავშირი"

და მევენახეობა-მეღვინეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სრულიად საქართველოს კავშირი

„საქართველოს ღვინო"

გაერთიანდნენ მთლიან სას.-სამ. კოოპერატიულ მეხილეობა-მებოსტნეობა-მევენახეობა-მეღვინეობის კავშირში

(„გრუზპლოდოვინსოიუზი")

მისამართი: ელბაქიძის დაღმართი, № 12. ტელეფ. №№ 24—89 და 18—33.
გამგეობა.

მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის კურსდამთავრებულთა

ს ა ყ უ რ ა დ ღ ე ბ ო დ

ვინაიდან უმაღლეს სასწავლებლებში მივლინების საქმე მოითხოვს დაჩქარებას, საჭიროა კურსდამთავრებულები და ისინიც, ვისაც გამოცდები აქვს, გამოცხადდნენ მუშფაკში და წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტები. დაყოვნება გამოიწვევს უმაღლესი სასწავლებლის გარეშე დარჩენას.

4657 **ადმინისტრაცია.**

მეუღლე თეკლე, შვილები სარდიონ, ისაკი, კაპიტონი, უშანგი, ივტიხი, აკაკი და მარო აუწყებენ ნათესავ-ნაცნობთ საყვარელ

სიმონ გიგილოს-ძე ნინიძეს

გარდაცვალებას. დაკრძალვა კვირას, 24 აგვისტოს, 12 საათზე, სოფელ ასკანაში. ნ. 1261

გაუბედურებული მეუღლე მარიამ პავლეს ასულ წერეთლისა აუწყებს ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ კვირას, 24 აგვისტოს, 6 საათზე, კუკიის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

დიმიტრი (მიტუა) ვიაჩესლავის-ძე წ ე რ ე თ ლ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 4650

გულმოკლული დები: მარო (გუხი) და ელენა წერეთლები, ძმები: ივანე, ბიქტორი, გიორგი, ჯულა და ლუტუ გულითადი მწუხარებით აუწყებ ნ მეგობართ და ნათესავთ, რომ კვირას, 24 აგვისტოს, 6 საათზე კუკიის სასაფლაოზედ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი მათთვის დაუვიწყარ

დიმიტრი (მიტუა) ვიაჩესლავის-ძე წ ე რ ე თ ლ ი ს

ხსოვნის აღსანიშნავად. 4650

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვ. მოედნის მახლობლად). სპეციალური საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილი და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე საღამონ 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ, დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914" ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით—7—8 ს. საღ.—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 3—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს; ენაბლუებს ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25-4

მწუხარებაში მყოფნი მშობლები: ამინისე და გიორგი კანდელაკი აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგებს და მეგობრებს—წითელ არმიელებს, რომ სოფ. სუფსაში 24 აგვისტოს დღის 2 საათზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენი ერთად-ერთი იმედის

ვარდენ გიორგის-ძე კანდელაკის

ხსოვნის აღსანიშნავათ. 2—2 4582

გორდის თემის მეფრინველეთა არტელის გამგეობა და წევრები ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, ნაცნობთ და მეგობრებს, რომ 21 აგვისტოს უდროოდ გარდაიცვალა ამავე არტელის გამგეობის თავმჯდომარე, ენერგიული მუშაკი და ყველასათვის ძვირფასი ამხანაგი

ისაკი ივანეს-ძე გახოკიძე

დაკრძალვა შაბათს, 23 აგვისტოს, სოფ. დიდლვაბუნაში. ნ. 1265

თბილისის საფეიქრო საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში

მისაღები და განმეორებითი

გამოცდები დაიწყება

ა. წ. 25 აგვისტოს,
სწავლა კი—1 სექტემბრიდან

მიმდინარე წელს მიღებულ იქნება 150 კაცი.

მიღება სწარმოებს შრომის ბირჟის საშუალებით. მიღებულნი უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიებით, მისაღები პირები უნდა იყვნენ 14—18 წლისა. 7 წლედ დასრულებულნი მიიღებიან უგამოცდოთ. სწავლების კურსი ორწლიანია. განცხადებები მიიღება უშუალოდ კანცელარიის მიერ—ხანაპირო ქ. № 19, მე-7 შრ. სკოლის შენობა.—საღამოს 6 საათიდან.

განცხადებებთან ერთად უნდა წარმოადგინონ: 1) განათლების მოწმობა, 2) სოციალური მდგომარეობის, 3) დაბადების, 4) ხმის უფლების და 5) ჯანმრთელობის მოწმობა. განმცხადებელნი საექიმო კომისიას გაივლიან ა. წ. 26 აგვისტოს დილის 9 საათიდან.

თბილისის საფეიქრო-საფაბრიკო საქ. სკოლის
4640 გამგე: **მამალაძე.**

საქ. ჯანმრთ. სახალ. კომისარიატი

აცხადებს,

რომ განცხადების მიღება თბილისის მედიკურ ტეხნიკუმებში გაგრძელებულია 1 სექტემბრამდე.

მედტეხნიკუმებში მიიღებიან ორივე სქესის პირნი 17-დან 30-წლამდე, რომლებმაც დაამთავრეს ცხრაწლედი. სწავლების კურსი 2-ნახ. წელიწადს.

1 და 3 მედტეხნიკუმები (სამეურნეო-პროფილაქტიური) ამზადებენ დაბალ მედპერსონალს სამკურნალო დაწესებულებებისათვის. ძე-3 მედტეხნიკუმში ორი სექტორია - ქართული და რუსული.

მე-2 მედტეხნიკუმი (ორი სექტორი - ქართული და რუსული) ამზადებს საშუალო პერსონალს სანიტარულ-პროფილაქტიური, დედობისა და ბავშვების დაცვის და სხვ. დაწესებულებებისათვის.

განცხადებების მიღება ს წარმოებს მედტეხნიკუმებში:

1. საზებიო გინეკოლ. (ლენინის ქ. № 50).
2. სოც. ჰიგიენის ინსტ. (ლუნაჩარსკის ქ. № 12).
3. კამოს ქ. № 53.

ნ. 1259 **საქ. ს.ს.რ. ჯანსახკომი.**

26 კომუნარის სახელობის ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტთან არსებული

დაუსწრებელ-კომუნისტური უნივერსიტეტი

დაიწყო მიღება

მიღების პირობები და ცნობები წერილობით თბილისი, შიო ჩიტაძის ქ. № 6, და ა.-კ. ყველა პარტიულ კომიტეტებში.

განცხადებათა შემოტანის ვადა გაგრძელებულია 10 სექტემბრამდე. ნ 1263 2—1

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად

- მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 62456 ანიკო თედოს ასული მაქაცარიას სახელზე.
- პურის წიგნ. № 20782 და რძის აბონემ.—ბენიამინ საბას-ძე კვირიკაძის სახელზე. 4654
- ზაკტპ. წიგნ. № 1648—იასონ გოგიჩაშვილის სახელზე. 4645
- რკ. გზ. კავშ. წიგნ. № 2802 - კონსტანტინე ძოწენიძის სახ. 1263
- პურის წიგნ.—აკაკი ჩიტოძის სახელზე. 4646
- პირად. მოწმ.—ივანე ალექსის-ძე ჰეიშვილის სახელზე. ნ. 1262
- პურის წიგნ.—ლიუდმილა წულაძის სახელზე. ნ. 1262
- დამხლ.-სალ. წიგნ. № 41—ნიკა გიორგის-ძე ჩახიძის სახ. 4648
- დამხლ. სალ. წიგნ. № 187—ნიკოლოზ რომანოზის-ძე ჯაფარიძის სახელზე. 4647
- პურის წიგნ.—დიმიტრი ბორისენკოს სახელზე. ნ. 1262
- საანგ. წიგნ.—მარტინ მურადოვის სახელზე.
- პროფკავშ. წიგნ. № 18809—მიხეილ მირიანაშვილის სახ. 4656
- ინვალიდ. მოწმ., სოციალურ მდგომარეობის მოწმ. და ხმის უფლების მოწმ. ვარდენ დავითის-ძე დავარაშვილის სახელზე. 4653
- მივლინების მოწმ., სამხ. წიგნ., მეტრ. ამონაწ., „მუზტრესტი"-ს ქვითარი (300 მან. დროებითი პირად. მოწმ. ხანანი ბოროდეხის-ძე დავარაშვილის სახელზე. 4652
- საბინაო დავთ. სახლის მდებარე, აბაშის ქ. № 15—იასონ თეთრაძის სახელზე. 4651
- ლომბარდის ქვითარი № 089792, მეტრიკული ამონაწერი № 947 და 45 მ. ობლიგაცია მარგალიტა ჰეფხოძის სახ. 4644
- ატესტატი – ბარბალე ჩუბინიძის სახ. 4642
- პურის წიგნაკი –სეიდ ქვარიანის სახ. 4643
- ს. კ. პ. პარტკანდიდატის ბილეთი № 10381 – ონიფანტე ბაბუციშვილის სახ. 4639
- პურის წიგნაკი ვალერიანე ლეკვეიშვილის სახ. 4638
- საანგარიშო წიგნაკი – ვანო აბუაშვილის სახ. 4649

ახალ ბინაზე
ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიულ სნეულებანი
ელექტ.-სინათლის კაბინეთი
პეტრიაშვილის ქ. (უდელის) № 11, მიღება საღ. 7 – 8 ს. ტელ. 21—45

ექიმი
ი. მჭედლიშვილი
წ ა ს უ ლ ი ა
ავადმყოფების მიღებას განაახლებს სექტემბრის პირველ რიცხვებში.
25 - 1

გაუბედურებულნი: შვილები გოგი, ნიკო და დარო ჩიგოგიძეები დედით ვერა ალექსის ასულით, ძმები: გიორგი და საშა შვილებით, დეიდა მარო გორდელაძე, ელენე შვილით სიმონ ჯანაშიათი, და ნინა, ბიძა დავით ჩიგოგიძე, ანტონ მუჯირი შვილებით აცნობებენ მეგობარ-ნაცნობთ, რომ ვერაგულად მოკლულ

ექიმ ივანე ელიზბარის-ძე ჩიგოგიძის

ხსოვნის აღსანიშნავათ გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი კვირას, 24 აგვისტოს, დაბა ჩოხატაურში. ნ. 1246

ღრმად დამწუხრებულნი: დედა მარიამ, მამა კირილე, ძმები: ხიტო ცოლით ლოლათი, ფუჩულა და მიშა ჯაიანები, და ნიაო, სიძე ივანე დიდია, დისწულები: ალექსანდრა, ხოდარ და თამაზ დიდიები აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 23 აგვისტოს, 5 საათზე ნაძალადევის სასაფლაოზე გ დახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ტრაგიკულად დაღუპულ მათთვის ძვირფას

ქსენია (ფაქა) კირილეს ასულ ჯაიანის

ხსოვნის აღსანიშნავად.

ტირაჟი—55.488 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904